5. Chan J. (2008): Developing a Meaning-focused and Task-based Virtual Learning Reality. Paper presented at CALICO. <https://www.calico.org/p-398-%20..html>

6. Jeffery A. & Collins M. (2008): Immersive Learning and Role Plays in Second Life. In K. McFerrin et al. (Eds.), *Proceedings of Society for Information Technology & Teacher Education International Conference 2008*, p. 2628-2632. Chesapeake, VA: AACE: Retrieved from <http://www.editlib.org/p/27616>, 2011-05-07

ვირტუალური სამყარო და ენის შესწავლა

რუსული გორილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 593 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

ლიანა გეღვევანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 593 935 662
E-mail: lianagedevanishvili@mail.ru

რეზიუმე

სტატიის ძირითადი თემაა ვირტუალური სამყარო და მისი განსაკუთრებული როლი განათლებაში, განსაკუთრებით კი უცხოური ენების შესწავლის პროცესში. სტატიაში გაანალიზებულია ვირტუალური სამყაროს დადგებითი მხარეები უცხოური ენების სწავლების პროცესში. ბევრი სასწავლო დაწესებულება უკვე იყენებს 3დ ვირტუალურ გარემოს უცხოური ენების სწავლების მიზნით.

ვირტუალური გარემოს გამოყენების გზით
სტუდენტებს სოციალიზაციისა და ენის
პრაქტიკული გამოყენების საშუალება ეძღვათ.
ვირტუალური სამყარო უზრუნველყოფს სტუდენტთა უფრო მოხერხებულ და
უფრო სასიამოვნო ურთიერთობას, ვიდრე ეს
რეალურ ცხოვრებაში იქნებოდა შესაძლებელი. ვირტუალური კომუნიკაცია XXI საუკუნის კულტურის უმთავრესი ნაწილი ხდება. შესაბამისად, გვერდს ვეღარ აუგლით მის
გამოყენებას სასწავლო პროცესში.

საკვანძო სიტყვები:

ვირტუალური სამყარო, ვირტუალური
გარემო, ვირტუალური კომუნიკაცია, 3D
ტექნოლოგია, სიმულაციები, დიდაქტიკური
პროცესი.

Виртуальный мир и изучение языка

Гоциридзе Рустдан Арчиловна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

Гедеванишвили Лиана Вахтанговна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 935 662
E-mail: lianagedevanishvili@mail.ru

Резюме

В статье рассматривается вопрос виртуального мира и его особенной значимости в образовании, особенно в процессе обучения иностранным языкам. В статье дан анализ позитивных

сторон виртуального мира в процессе обучения иностранным языкам. Многие учебные заведения уже используют 3D технологии с целью обучения иностранному языку. С помощью употребления виртуальных сред студенты имеют возможность социализации и практического использования языка. Виртуальная среда обеспечивает студентов более удобными взаимоотношениями, чем это было бы возможно в реальной жизни. Виртуальная коммуникация становится главной частью культуры XXI века. В соответствии с этим его употребление в процессе обучения становится необходимым.

Ключевые слова:

виртуальный мир, виртуальная среда, виртуальная коммуникация, 3D технологии, симуляции, дидактический процесс.

ლიტერატური ავანგარდიზმი ედუარდ კამინგსის პოეზიაში

თამილა დაგითაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ევროპისტიკის დეპარტამენტი

ნინო შვილის ქ. 35, 6010, ბათუმი, საქართველო
ტელ.: 593 326 550

E-mail: tamdav7511@mail.ru

რეზიუმე

ედუარდ კამინგსთან ეროტიკას ნატიფი, თამაშის ხასიათი აქვს. ძირითადი ნიშნები, რომელიც მის ლექსებს გამოარჩევს, არის მახვილონიერება, გამოხატული რითმითა და ბგერწერული კომბინაციებით, ასევე გამოკვეთილი, განსხვავებული რიტმული მდინარება, ოდნავი ირონია და თვითირონია, რომლის მიღმიდანაც გამოსჭვივის მსუბუქი ლირიზმი. ლექსების კითხვისას შეიგრძნობა უჩვეულო მელოდიკა და ინტონაცია.

ამგვარად, თუ დადაისტები, აკმეისტები, იმაჟინისტები და სხვა. ამგვარი სკოლის წარმომადგენლები ნებისმიერ სიტყვათშეხამებასა და სპონტანურობას ანიჭებდნენ მთავარ მნიშვნელობას, გრაფიკოსებმა მთლიანად უარყვეს ტექსტის, როგორც ასეთის, დანიშნულება და ყურადღება მთლიანად ფორმისეულ კონცეფციაზე გადაიტანეს, რამაც განაპირობა მათი პოეზიისთვის ერთგვარი დეკორატიული ფუნქციის შეძენა. XX საუკუნის პოეზიას კამინგსმა მიანიჭა ისეთივე დიდი თავისუფლება, როგორც უიტმენმა XIX საუკუნეში. ედუარდ კამინგსის ლექსები უარყოფს ეგრეთწოდებულ კითხვას „ისტორიის“ გულისათვის და კითხვას „აზრის“ გულისათვის, ალტერნატივის სახით კი სთავაზობს კითხვას „თამაშისებური“ ესთეტიკის გულისათვის. თამაშით კითხვის პრინციპი, მიღებული შეგრძნების გამოვლინება, ერთი მხრივ, გვაგონებს პოსტმოდერნიზმს, სხვა მხრივ კი იგი რიგით მკითხველში ავლენს რეკლამურ ესთეტიკას.

საკვანძო სიტყვები:

ავანგარდიზმი, ესთეტიკა, გრაფიკა, ვოზუალური ეფექტი, ექსპრისიურიზმი.

შესავალი

ავანგარდისტული ლიტერატურა, რომლის დროსაც გონების ადგილს ინტუიცია, ვოზუალი, ხილვა იკავებს და აპოკალიფსური, სიმბოლისტური ემოციები, კონფლიქტის, ეგზალტაციის, გამოფიტვის, ემოციური უკიდურესობის ინტონაციები ახასიათებს, სათავეს გერტუდა სტაინის, ჯონის, ბრეტონის, ცარას და სხვათა მემკვიდრეობიდან იღებს. თუმცა, ლიტერატურის თანამედროვე მკელევარებს მიაჩნიათ, რომ „ამერიკა – ესაა სახელმწიფო, საიდანაც მთელი თანამედროვე კულტურის სულის ინსპირაცია“ ხდებოდა, ამის მაგალითად კი ალან გინზბერგი და კატულუსის შესანიშნავი მთარგმნელი, კამინგსი მოჰყავთ.

ძირითადი ნაწილი

ედუარდ კამინგსის პოეზიის ნიმუშების კითხვისას მკითხველი, რომელიც მის პოეზიას საკუთარი სიამოვნებისთვის ეცნობა, მზად უნდა იყოს ამავდროულად სირთულეების დაძლევისათვის, რომელსაც მისი პოეზიის გაცნობის დროს გადააწყდება, პოეზიისა, სადაც მრავლად შეხვდება ალტივიებს, კალამბურს, განახლებულ კლიშეებს, მრავალმარცვლიან ზედსართავებს, ახალ და არაფამილარულ სიტყვებს და მეტრიკულ ვარიაციებს. კამინგსის პოეზიის ასევე ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ანტიკური მითოლოგიის თანამედროვე ეპოქასთან დაკავშირება, რაც მის შემოქმედებას კიდევ უფრო ორიგინალურს ხდის. თუმცა ჩვენს მიზანს ამჯერად მკითხველზე

ეფექტის მოხდენის კამინგსისეულ საშუალებათა კვლევა წარმოადგენს. სირთულეს, რომელსაც მკითხველი მისი პოეზიის ნიმუშების კითხვისას ხვდება, დაკავშირებულია არა მხოლოდ მხატვრულ ხერხებსა და ფორმებთან, არამედ, უპირველესად, გრაფიკასა და ვიზუალურ მხარესთან. პოეტური ქმნილების ერთდროულად ფორმითა და შინაარსით მკითხველზე ეფექტის მოხდენა არახალია, მაგრამ თვით ლექსის ფორმა, რომელიც ვიზუალურად განსხვავებულია ჩვეულებრივისაგან, მიუთითებს გრაფიკულის საწყისზე, რომელიც აუცილებლად იყერობს ყურადღებას და მაღალი ინტერესის საგანი ხდება.

პოეზია შემოქმედების გრძნობების პროდუქტია, და როგორც კამინგსი წერს („Six nonlectures“. 1952) „პოეზია ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად იყო, არის და იქნება ინდივიდუალურობის მყაცრი და განსაკუთრებული გამოხატულება“. კამინგსმა მოახერხა პოეზიაში გამოეხატა პირადი თავისუფლება. მისი წიგნთა სათაურები არარეალური სიტყვებისაგან შედგება. ის იშვიათად წერდა ასომთავრულით იმ სიტყვებს, რომელთა წერისას ჩვეულებრივ ასომთავრულს ვიყენებო (მაგალითად, მის სახელს). ხანდახან იგი მას (ასომთავრულს) იყენებდა სიტყვის შეა ნაწილში, ან სიტყვის ბოლოში, რითაც ცდილობდა ცალკეული ასობგერა სიტყვაში ინდივიდუალურად ეჩვენებინა. ამიტომაც მისი პოემები ფურცელზე ძალზე უცნაურად გამოიყერებიან. მასთან ტრადიციული ლექსი უწვეულოდ პატარ-პატარა ნაწყვეტებადაა დანაწევრებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექსპერიმენტალური ზედაპირის ქვეშ კამინგსის პოეზიის თემები საკმაოდ ტრადიციულია.

კამინგსს ნაკლებად აინტერესებდა თანამედროვე ცხოვრების დიდი მოვლენების, ძალაუფლების მქონე ძალების, პოლიტიკის ან თუნდაც საექლესიო თემები. ის თავის პოეზიაში ძირითადად საუბრობს სიყვარუ-

ლისგან გამოწვეულ ღრმა გრძნობებზე, რომელთა ჩაწვდომაც ასევე ღრმა ინტელექტუალურ ცოდნას მოითხოვს. იგი ლექსში სიტყვას ხშირად იყენებს არა მნიშვნელობისთვის, არამედ ვიზუალურად ეფექტის მოსახდენად და მუსიკალურობისთვის. ეს კი ართულებს მის სწორად გაგებას და აღქმას.

კამინგსის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ლექსის ვიზუალურ მხარეზე განსაკუთრებული უურადღების მიქცევა. ეს აიხსნება მისი მრავალმხრივი ნიჭით, რომლითაც იგი იყო დაჯილდოვებული, კამინგსი არა მარტო შესანიშნავი პოეტი, არამედ შეუდარებელი მხატვარიც იყო, და როგორც მისი თანამედროვენი ამბობენ, ხშირად თავდავიწყებით, მთლიანად ეძლეოდა შემოქმედებით წვას, ხოლო ლექსს უფრო მეტად ხატავდა, ვიდრე წერდა. თავად პოეტს სურდა მის შემოქმედებაში დაენახათ პოეზიისა და ფერწერის სინთეზი.

კამინგსის პოეზიის ნიმუშების კითხვისას ერთდროულად თვალწინ წარმოგვიდგება ლექსი, ნახატი, სურათი (პოეტის გამოთქმა – „picturepoems“), როგორც ორი საწყისის – პოეტურისა და ვიზუალურის ექსპერიმენტი, რომელიც თითქოს უახლოვდება და იმავდროულად სცილდება ეზრა პაუნდისა და უილიამ კარლოს უილიამსის მხატვრულ მიებებს და უმთავრესად დაკავშირებულია არატრადიციულ წერის მანერასთან, დაშიფრულ სიმბოლო-ნიშნებთან, რომლის დროსაც მკითხველი იძულებულია ნაწარმოებს საგულდაგულოდ ჩაუდრმავდეს და ამოიცნოს. შემთხვევითი არ არის, რომ კამინგსს ერთი ექსპერიმენტის ექსპერიმენტატორს უწოდებდნენ. ყველა მისი პოეტური კრებული უურადღებას იქცევს ან ფორმის ორიგინალურობითა და ბანალური შინაარსით, ან კიდევ ორიგინალური შინაარსითა და ფორმის ტრადიციულობით.

უპირველესად უნდა შევჩერდეთ კამინგსის გრაფიკულ ექსპერიმენტზე, უფრო ზუსტად, ვიზუალური ეფექტის მოხდენის

მიზნით მის მიერ გამოყენებულ საშუალებებზე. კამინგსის მთავარი მხატვრული საშუალებებია: გამოტოვებული ადგილები, სასვენი ნიშნების უქონლობა, ერთოველად ასომთავრული და წუსხური ასობგერების გამოყენება. კამინგსის პოეტური ნიმუშები არ ემორჩილებიან ორთოგრაფიულ ნორმებს. შედეგად კი კარგად ნაცნობი და, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვეულებრივი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები ძნელად შესაცნობი ხდებიან, ხოლო ლექსის კითხვის ტემპი ყოვნდება, ნელდება. ამასთან ერთად თვალსაჩინო ხდება ვიზუალური ნიშნები, როგორც ახალ აზრთა წარმოშობის ერთგვარი სპეციფიკური ასპარეზი. აზრის ალოგიკურობას კი ფორმის თავისებურება ამართდებს და დროისა და სივრცის კანონების დარღვევის უფლებასაც ანიჭებს ავტორს.

კამინგსის ლექსებთან მიმართებაში შეიძლება ვისაუბროთ გრაფიკულ პიკებოლაზე, მეტაფორასა და მეტონიმიაზე. ანალიზისთვის ორიგინალის ფორმით მოვიტან ერთ მაგალითს: ლექსი „mOOn Over tOwnsmOOn“, კითხულობა:

mOOn Over tOwnsmOOn

whisper

less creature huge grO

pingness

whO perfectly whO

flOat

newlyalOne is

dreamest

oNLY THE MoonNo

VER Towns

SLoWLY SPRoUTING SPIR

IT

(No Thanks, 383)

დავაკვირდეთ ასობგერა „O“-ს, რომელიც სტრიქნის სიტყვის თავში კი არაა მოქცეული, არამედ შუაში. ასეთი ბგერწერა პროვოცირებას ახდენს მკითხველის უფრო

ვიზუალურ მხარეზე, ვიდრე შინაარსზე. ასობგერა „O“-ს გრაფიკული სახე ასოცირდება საგსე მთვარესთან. ამასთან ტექსტის კითხვის დროს სტრიქონში სხვა ასობგერები ენაცვლება რა „O“-ს, ჩნდება შეგრძნება, თითქოს ეს მზერა უძრავია და მიჯაჭვულია დაკვირვების საგანზე (მთვარე), რომელიც თითქოს ხელშესახებად, მინანაობს სტრიქონში („mOOn Over tOwns mOOn“), როგორც მთვარე, რომელიც ხან გამოჩნდება, ხან კი დრუბლებში იმალება. ლექსის ამგვარი სახე ამყარებს ზმის მნიშვნელობას – „ცეცებით სიარული“, რიგმი მონაცვლებს, მოკლე და გრძელი სტრიქონების ურთიერთმონაცვლეობის ხარჯზე, ისე როგორც მთვარის შუქი პოულობს ხვრელებს ლრუბლებს შორის. სინამდვილეში საქმე გვაქვს გადატანით მნიშვნელობასთან, რომლის მიზანიც გრაფიკული სახისა და ობიექტის ურთიერთმიმსგავსებაა, ანუ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ გრაფიკულ მეტონიმიაზე, ამასთან ტექსტის კითხვის დროს სიტყვებისა და ბგერების აღქმისას გვიჩნდება ერთგვარი დაძაბულობა, რაც გამოწვეულია ნაირმრავალმნიშვნელობითა და შესაძლო ასოციაციების სიმრავლით, თუმცა პირველი მიზანმიმართულად იზღუდება, ხაზი ესმება სიტყვის უშუალო, პირდაპირ მნიშვნელობას. ყოველივე ეს აუცილებელი ხდება, მატერიალური სივრცისა და სახის წარმოსახვისათვის, სივრცისა, სადაც იშლება მოქმედება და იქმნება დაწერილისა და აღქმულის მნიშვნელობის მჭიდრო ურთიერთკავშირის ილუზია.

ბგერათა მოსალოდნელი წყობა, თხზვანებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს ავტორის თვითნებობით. ეს კი ქმის ერთგვარ პარადოქსს, საწინააღმდეგო ეფექტს – უშეალოდ გრაფიკულად ხილულისა და წარმოსახულის მჭიდრო ურთიერთკავშირის შეგრძნებას.

ქვემოთ საილუსტრაციოდ მოგვაქვს ლექსი, რომელშიც პოეტი აღწერს მთვარის

გამოჩენას. პოეტის მეგობართაგან ერთ-ერთმა გაიხსენა, რომ მზის ჩასვლის დროს კამინგსთან მრავალრიცხოვანი სტუმარი უნდა შეკრებილიყო, თანაც აუცილებლად ტერასაზე, რათა მასპინძელთან ერთად ეც-ქირათ ამაღლევებული სანახაობისათვის, რომელსაც ამ ლექსის წაკითხვის დროს თვით მკითხველიც უერთდება „this (let's remember) day died again and again...“

this (let's remember) day died again and again; whose golden, crimson dooms conceive anoceaning abyss of orange dream
 larger than sky times earth: a flame beyond soul immemorially forevering am –
 and as collapsing that grey mind by wave doom disappeared, out of perhaps (who knows?) eternity floated a blossoming
 (while anyone might slowly count to soon) rose – did you see her? darling, did you (kiss me) quickly count to never? you were wrong – then all the way from perfect nowhere came (as easily as we forget something)
 livingest the imaginable moon

(XAIPE, 599)

სირთულე, რომელსაც მკითხველი აქ აწყდება, დაკავშირებულია ხილვის ვიზუალურ მხარესთან. ლექსი აქ თითქოს გამოცანას ემსგავსება, მასში ასახულია რაღაც, რომელსაც ზუსტ სახელს ვერ დაარქმევ. ლირიული გმირი მიმართავს მოსაუბრეს (darling) და უხმობს თავისკენ, რათა ერთად გაიხსენონ რომელიდაც საღამო. ერთი მხრივ, იგი მიანიშნებს ამ საღამოზე, მეორე მხრივ, ცდილობს არაფერი წამოსცდეს მასზე. ამიტომ საერთო სურათი, მიუხედავად მრავალი აბსტრაქტულ-კონკრეტული დეტალისა (ამოუცნობი ობიექტის ფერი, ადგილი, მისი გამოჩენის დრო, და სხვ.), მაინც ბუნდოვანია. ლირიკული გმირის რეპლიკები საკმაოდ ართულებს ხილვის გამოცნობას, მას ხშირად მოსაუბრის (მკითხველის) ყურადღება

სხვაგან გადააქვს და ამოწმებს, – ხომ არ გამოიცნო აღწერილი, ან სულაც მის შეცდომაში შესაყვანად ასოცირებულ პროვოცირებას ახდენს, და როდესაც მკითხველს პგონია, რომ თითქოს უკვე მიხვდა, რაზეა საუბარი, მოულოდნელად ლირიული გმირი წარმოთქვამს სიტყვას – „mOOn“ (მთვარეს) – და ყველაფერი ისევ გაუგებრად იქცევა. ეს სიტყვა აკავშირებს „day died“, „ocean“, „wave“, „earth“, „sky“, – რომლებიც მეორეხარისხოვანია და თითქოს ნაჯლებად მნიშვნელოვანია სახის ამოსაცნობად, ვიდრე „doom“, „abyss“, „eternity“, „flame“, „soul“, „am“. საბოლოოდ კი აბსტრაქტული არსებითი სახელები კონკრეტულ მნიშვნელობებს იღებენ: „oceania abyss“ – შეიძლება გავიგოთ როგორც „ზღვა“, ხოლო „orange dream“ – როგორც მზე, „Immemorially forevering am“ – გვახსენებს მზის ბილიკს, რომელიც პორიზონზე (eternity) ეშვება, ხოლო „perfect nowhere“ – სრულ სიბნელეს, საიდანაც ერთსა და იმავე დროს ჩნდება ირეალური („darling,did you... quickly count to never?“) და ამავდროულად რეალური („livingest the imaginable moon“) მთვარე.

კამინგსი „ეთამაშება“ მკითხველის კონცენტრირების უნარს, რომელიც, ერთი მხრივ, ართულებს გამოსახულების აღქმას და მკითხველის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის უნარის გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ, იძულებულს ხდის მიიღოს, ჩათვალოს იგი ჩვეულებრივ მოვლენად, (მთვარის გამოჩენა, ყოველდღიური ცხოვრება და ა.შ.) ყველაფერი, როგორც შემთხვევა (ავანტიურა, თავგადასავალი).

კამინგსის პოეზიაში ყველაზე თვალშისაცემია პუნქტუაციის წესების გამოყენების თავისებურება, მართლწერის თავისებურება, რაც უფრო ამ წესების დარღვევაში, კანონების, შეიძლება ითქვას, უგულებელყოფაში გამოიხატება, რომლის დროსაც სიტყვები, რომლებიც თანმიმდევრობით მიჰყვებიან ერთმანეთს, მოულოდნელად და უერად წყდებიან. მაგ:

one
 t
 hi
 s
 snowflake
 (a
 li
 ght
 in
 g)
 is upon a gra
 v
 es
 t
 one*

კამინგსი მუდამ იყო დაინტერესებული მოღერნისტული ხელოვნებით, აცნობიერებდა რა, რომ სწორედ ეს იყო მისი მოწოდება, იგი ახლოს ეცნობოდა კუბიზმსა და იმპრესიონისტულ ხელოვნებას. წლების განმავლობაში იგი მისდევდა და განავითარებდა ამ სტილს და დღეს მის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება. კამინგსი დრმად აკვირდებოდა საკუთარ მხატვრულ ნამუშევარს, მის თითოეულ სიტყვას თუ სტრიქონს და ისე ამუშავებდა, ხვეწდა, ეპურობოდა, შეისწავლიდა, განიხილავდა და ბოლოს აღიქვამდა, როგორც ხელოვნების ნიმუშს. იგი, როგორც მსახიობი, ისე კითხულობდა და გამოთქვამდა სიტყვებს, ფრაზებს, ავსებდა, აძლიერებდა მათ მიმიკით და აზვიადებდა ხმათა გამეორებით. მაგ.:
 l(a
 le
 af
 fa
 ll
 s)
 one
 l
 iness*

*აქ და ყველგან კამინგსის პოეზიის ნიმუშები მოტანილია კრებულიდან: Cummings E. E. Complete Poems . N.Y.: Harcourt Brace, 1968.

კამინგსის დრმა ლირიზმსა და ეროტიკული პოეზიის ნიშნებს შეიცავს ლექსი „I Like My Body When It Is With Your ...“. ამ ლექსშიც, ისევე როგორც სხვა ლექსებში, ავტორი იყენებს ნუსხურ ასობგერებს, იმეორებს ფრაზებს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რომელიც ლექსს მუსიკალობას სქენს. ლექსიკური თვალსაზრისით ლექსი მარტივია და ძირითადად შეგრძნებებს წარმოაჩენს:

I Like My Body When It Is With Your ...

i like my body when it is with your
 body. It is so quite new a thing.
 Muscles better and nerves more.
 i like your body. i like what it does,
 i like its hows. i like to feel the spine
 of your body and its bones, and the trembling
 -firm-smoothness and which i will
 again and again and again
 kiss, i like kissing this and that of you,
 i like, slowly stroking the shocking fuzz
 of your electric furr and what-is-it comes
 over parting flesh....And eyes big love-crumbs,
 and possibly i like the thrill
 of under me you so quite new *

დასკვნა

ამგვარად, კამინგსმა როგორც გრაფიკოსმა, უარყო ტექსტის, როგორც ასეთის, დანიშნულება და აქცენტი მთლიანად ფორმისეულ კონცეფციაზე გადაიტანა. მისი შემოქმედება, ორი საწყისის – პოეტურისა და ვიზუალურის ექსპერიმენტია. როგორც კვლევდან ჩანს, კამინგსის პოეტური ნიმუშები არ ემორჩილებიან ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ ნორმებს; ვიზუალური ეფექტის მოხდების მიზნით ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია გამოტოვებული ადგილები, ერთდროულად ასომთავრული და ნუსხური ასობგერები; მხატვრული საშუალებებიდან

კი – გრაფიკული პიპერბოლა, მეტაფორა და
მეტონიმია. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ
კამინგსის პოეზია წარმოადგენს მოდერნის-
ტული ხელოვნებისა და ლირიკული ავან-
გარდიზმის ნიმუშს.

связан не только с художественными примерами и формами, а также, в первую очередь, с графикой и визуальной стороной.

Ключевые слова:

авангардизм, эстетика, графика, визуальный эффект, экспериментатор.

ლიტერატურა

1. Cummings E. E. (1968): Complete Poems 1913 – 1962. N.Y.: Harcourt Brace. P. 673 [95 Poems (1958)]
2. Laurence P. (1986): Poetry. The Elements of Poetry. Southern Methodist University

Лирический авангардизм в поэзии Эдварда Каммингса

Давитадзе Тамила Эмельяновна
Батумский Государственный университет
им. Шота Руставели
Департамент европеистики
ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия
Тел.: 593 326 550
E-mail: tamdav7511@mail.ru

Резюме

Поэзии XX века Каммингс придал такую же свободу, как Уитмен в XIX веке. Его стихи отрицают так называемое чтение ради „истории“ и ради „смысла“, альтернативой он предлагает чтение ради „игровой“ эстетики. В поэзии Эдварда Каммингса читатель встречает множество примеров аллюзий, каламбура, обновленных клише, многосложных прилагательных, новых и нефамильярных слов и метрических вариаций. Целью нашей работы является изучение эффекта, оказываемого на читателя, который

Lyrical Avangardism in E. E. Cummings' Poetry

Tamila Davitadze

Shota Rustavelis' University

Europeistics Department

35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia

Tel.: 593 326 550

E-mail: tamdav7511@mail.ru

Abstract

E. E. Cummings gave such freedom to the XX century poetry as W. Whitman did in XIX century. His poetry rejects so called reading for getting known the history and reading for understanding the content. He alternatively suggests readers to read for aesthetic purposes. In E. E. Cummings' poetry one can come across many allusions, puns, genuine clichés, new and unfamiliar words and metrical variations.

Our research paper aims to study how E. E. Cummings makes impact on the readers. The research revealed that he achieves his aim not only with the help of stylistic devices but with its graphical and visual forms.

Keywords:

avantgardism, esthetics, graphics, visual effect, experimentator.

ქართულ-თურქული ფუძეები ფოცხოვის ხეობის გვარ-სახელებში

კობაიძე ლამზირა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
შ. რუსთაველის ქ. №106, ქ. ახალციხე,
საქართველო

ტელ.: 599 611 681

E-mail: lamzira.kobaidze@mail.ru

რეზიუმე

ფოცხოვის ხეობის მოსახლეობის გვარ-სახელის ფუძეთა გარკვეული ნაწილი თურქულენოვანი ლექსემების შემცველია, რომლებიც წარმოშობილია საუკუნეთა განმავლობაში პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგად. ამიტომაცაა, რომ ამ ანთროპონიმულ არეალში შეინიშნება თურქიზმების სიუხვე, რომელიც აისახება არა მარტო გვარ-სახელებში, არამედ საგვაროვნო სახელწოდებებშიც.

საქვანძო სიტყვები:

ანთროპონიმია, ონომასტიკა, პატრონიმი, საგვაროვნო სახელი, გვარ-სახელი, შტოგვარი, ეპონიმი.

შესავალი

ქართული ენის ლექსიკური ფონდი დღითიდღე მდიდრდება სიტყვათა მარაგით. მასზე დიდ ზეგავლენას ახდენს უცხო ენობრივი გარემოც, რომელიც თურქულენოვან სალხთან საუკუნეთა განმავლობაში პოლიტიკურ - ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგია.

ცნობილია, რომ „სესხებისათვის“ ანთროპონიმია ლია იყო და ამიტომაც ყველა ენაში ეროვნული საკუთარი სახელების გვერდით აღმოჩნდა უცხოური საკუთარი სახელები. გამონაკლისი არც ქართველური ენებია. უცხოური საკუთარი სახელების დამკვიდრე-

ბა უცავშირდება რელიგიას, პოლიტიკურ ვითარებას, ლიტერატურულ გავლენას, ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობებს, ხალხთა კონტაქტებს და სხვა. ამიტომ გვხვდება ქართველურ არეალში ასე უხვად ებრაულ-ბერძნულ-რომაული სახელები, რომელთა ძირითადი ფონდის გავრცელება ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. ისტორიულ ურთიერთობათა შედეგია ირანული, თურქული, არაბული სახელები. შედარებით გვიანდელია XIX-XX საუკუნეებისა - რუსული და ევროპული სახელების ფენა [მ. ჯიქია. 2008:4].

ზოგიერთი უცხოური საკუთარი სახელი, დროთა ვითარებაში ენათა ზეგავლენის შედეგად იმდენად მორგებია ქართული ენის სტრუქტურულ მოდელს, რომ უჭვსაც ვერ შეიტან მის არაქართულობაში. ნასესხებ ანთროპონიმთა ბევრი ნიმუში შესწავლილი აქვს მრავალ მეცნიერს. ამ თემაზე მუშაობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ექვ. თაყაიშვილი, კ. ქეკელიძე, ს. ჯიქია, ი. აბულაძე, ალ. დლონტი, ზ. ჭუმბურიძე, ს. ყაუხებიშვილი, მ. ანდრონიკაშვილი და ა. შ. ალ. დლონტის აზრით, „ქართველ ტომებს საკუთარ სახელთა თავიანთი სისტემა შეუქმნიათ ჯერ კიდევ ადრე, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ეპოქაში... უცხოური წარმოშობის ანთროპონიმები ქართველ ტომებს შეუთვისებიათ ხურიტულ, სპარსულ, ბერძნულ, არაბულ და რუსულ ენათა მეშვეობით. [ალ. დლონტი. 1967: 18-19].

ძირითადი ნაწილი

„ჩვენში ამჟამად გავრცელებული ბევრი სახელი წარმოშობით ქართული არ არის, ნასესხებია. ბევრი მათგანი ასევე ნასესხები აქვს მსოფლიოს სხვა ენასაც. ადამიანის სახელი ასევე შეიძლება გადავიდეს ერთი ხალხიდან მეორეში, როგორც სხვა სიტყვა,

მაგრამ ნასესხებ სიტყვასაც და სახელსაც ეგუება ენა, იცვლება მისი ფონეტიკური კანონების მიხედვით და ძნელი გამოსაცნობიც კი ხდება, რომ სხვადასხვა ხალხში გავრცელებული სახელები ერთი და იგივე“ [ზ. ჭუმბურიძე. 1966: 14-15].

„XV საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაუმეზობლდა ახალი თურქული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – ოსმალეთი. 1979 წლიდან ჭანეთი და აჭარა არაერთგზის დაილაშქრა ოსმალთა მიერ. სამცხის დასავლეთ ნაწილშიც გამოჩნდნენ ოსმალები. 1578 წელს კი, გამოეყო რა ახალციხის საფაშოს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად, შეიქმნა ჩილდირის ვილაიეთი. ისლამი ამ რაიონში სწრაფად გავრცელდა. ოსმალთა და სპარსთა შორის არაერთგზის საომარი მოქმედებების მიუხედავად, ეს კუთხე ტერიტორიის სახელმწიფო ნაწილად რჩებოდა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ახალციხე, ფოთი, ახალქალაქი და სამცხე გამოვიდა ოსმალთა ზედამხედველობის ზონიდან. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი, ყარსი, არტაანი, ართვინი, არტანუჯი, ბორჩხი, შავშეთი და ხოფის ქემალფაშის ნაწილი რუსეთს დარჩა. გამამადიანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება, მიეღო რუსეთის ქვეშვერდომობა ან ოსმალეთში გადასახლებულიყო. ეს პროცესი გრძელდება 1921 წლამდე.

„ყოველივე ამან განაპირობა თურქიზმების სიუხვე ქართველურ ანთროპონიმულ არეალში [მ. ჯიქია. 2008:7-8], განსაკუთრებით კი ვალეში. ვალის გვარები და მეტგვარები საკმარის მრავალფეროვანია საგვაროვნო სახელებით. ყველაზე ხშირად გვარ-სახელი ნაწარმოებია სახელისაგან, ცხადია, ასეთ შემთხვევაში აღებულია წინაპრის სახელი, ზოგჯერ – მეტსახელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვალეში გავრცელებული გვარები და მეტგვარები იწარმოება მამაკაცის სახელისაგან (ეპონიმისაგან), ქალისა

– იშვიათია. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გახვდება, მაგ. თამარაშვილი. მეტად საინტერესოა უცხოენოვანი შინაარსის მქონე ფუძე, რომელიც გვარსახელს საფუძვლად ედება და საგვაროვნო სახელშიც აქტიურად იჩენს თავს. ძირითადად, ლექსიკა თურქულია. ეროვნული საკუთარი სახელების გვერდით ყველა ენაშია უცხოური საკუთარი სახელები. გამოდის, რომ თურქული სიტყვა შემოდის მესხეთში და მკვიდრდება როგორც მისი ორგანული ნაწილი. მსგავსი ტიპის გვარ-სახელებად შეიძლება დასახელდეს გვარები, რომელთაც ფუძე უცხოენოვანი სემანტიკის მქონე აქვთ: **გოზალ-გözel „ლამაზი, გოზალი** (დოკ. I, 57:დლI, 68). შდრ. გავრცელებული ქართული პატრონიმი გოზალიშვილი (1448. 22226, 1796წ). სიტყვის გახმოვანების მიხედვით ივარაუდება, რომ ის ან აზერბაიჯანიდანაა შემოსული, ან ანატოლიის დიალექტებიდან, რომელთაც ხმოვნის გაფართოება ახასიათებთ (**gözel – gözel**). ალ. ლლონტი აღნიშნავს, რომ **გოზალა** შემონახულია ბეიტრიშვილის გვარის სახინჯარში; (დლ, I, 204). **გოზალიშვილის** ფუძე თურქულია და „ლამაზის“ უნდა ნიშნავდეს. აქედან შემდეგ ნაწარმოებია საკუთარი სახელი გოზალა, რომელმაც სუფიქსაციის შედეგად გვარ-სახელი ჩამოაყალიბდა. (ბრძ. კილო, II პირის მხოლობითი რიცხვის უარყოფითი ფორმა).

გოზალიშვილთა გვარის ერთ-ერთი საგვაროვნო სახელწოდებაა – **აბაზათები.** **აბაზა** – ფორმის გვერდით შესაძლებელია მისი ფონეტიკური ვარიანტი აბასა. **აბაზა-საქართველოში**, კერძოდ, მესხეთში ფართოდ გავრცელებული, როგორც სახელი, ასევე მეტსახელიც ყოფილა, საიდანაც უნდა მოდიოდეს შტო-გვარი **აბაზათები.** მსგავს ინფორმაციას იძლევა რუსული ლიტერატურაც, სადაც აბაზა თარიღდება 1843 წლიდან. ის მომდინარეობს თურქული „**სულელ**“ სიტყვიდან, რომელიც თვდაპირველად უკავშირდებოდა მეტსახელს, შემდეგ კი გვარად გაფორმდა [Баскаков. 1992:253].

aglamak—თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: **ნუ ტირი** (ბრძ. კილო, II პირის მხოლობითი რიცხვის უარყოფითი ფორმა). **ტირილი, დარდი, წუხილი** [თურქულ-ქართული ლექსიკონი. 2001:32]. ვალეში გვხვდება აგრუთვე გვარი აღლემაშვილი, რომელიც არაქართული წარმოშობისაა, მსგავსად თავისივე შტო-გვარებისა: **ირგლიანთი//ირილანთი** და **ტგრნალიანთი.** **ირილი - igri** მრუდე, მოგრეხილი, მოხრილი. [თურქულ-ქართული ლექსიკონი. 2001:662].

ინფორმატორები საგვაროვნო სახელწოდებასთან- **igri** დაკავშირებით რამდენიმე ვერსიას გვთავაზობენ: 1) თურქული წარმოშობის სიტყვაა და „**დალიანს“** უნდა ნიშნავდეს. 2) ვაჭრები ყოფილან, თურქეთში პქონიათ მიმოსვლა და იქ დაურქმევიათ ეს სახელი. 3) კაცს რქმევია **ირილა**, ტუჩის ზედა ნაწილში ჭრილობა პქონია და ამიტომ შეარქვეს მეტსახელი. საფიქრებელია, შტო-გვარმა სახელწოდება მიიღო მეტსახელისაგან, პიროვნების გარეგნული ნიშნის მიხედვით. არანაკლებ საინტერესოა ტგრნალიანთი - **tirnak** – „**ფრჩხილი**“, „**ბრჭყალი**“, „**ჩლიქი**“. თურქული წარმომავლობის სიტყვაა [თურქ-ქართ. ლექსიკონი. 2001:1364]. აღლემაშვილთა გვარის ერთ-ერთი განაყრის სახელწოდებაა .

ასპან- ფუძედ გვხვდება ასპანიძეთა გვარში. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა სპარსულ **asp-**ს „უპავშირდება, მაგრამ არაბული ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულია **usping** ან **spij.**

ასპანას ლეონტი მროველი რამდენჯერმე ხმარობს: „მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთს ქალაქსა შინა, რომელსა ერქვა სახელი ფარნავაზ. ეს ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთიოსის ძისა და დედულად სპარსი ასპანელი“. „შვილო ჩემო, დაუტევე სამყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსას ასპანს. „და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსვლა ასპანისა“, ქართლის ცხოვრების

„ასპანში იგულისხმება **ისპაპანი**“. ერთ ქართულ ლექსში ვკითხულობთ: „თავფარავნებლი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა“.

ს. ჯიქიას სწორ ფორმად მიაჩნდა **ასფარა** და ფიქრობს, რომ **ასპანის** მაგივრად უნდა იყოს **ასფარაო.** რადგან ხალხურ ლექსში მირითადად ასპანა იხმარება (ექ. ოყაიშვილი, მ. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი). ჩვენი აზრით, ძირითადი ვარიანტი ასპანა უნდა იყოს. სოფლის სახელად გვხვდება „**ასპარაცი**“: ამ სახელის გაჩენის ორი გზა არსებობს: 1) შემოვიდა მზა გეოგრაფიული სახელი ირანიდან, **ისპაპანის** სახელი შემოიტანეს, 2) ან ადგილობრივ შეიქმნა და ამოსავალი ფუძე არის სწორედ ზემოთ დასახელებული **asp.** [მ. ბერიძე, 2008:267]. **ი. ახუაშვილი** ასპანიძეთა გვარის წარმომადგენლებს ფანასკერტელებადაც მოიხსენიებს, რადგან ისინი იყვნენ ფანასკერტის მფლობელნიც [ი. ახუაშვილი. 1994:50].

მეტად საინტერესოა **ბებნაძეთა** გვარ-სახელის ფუძე „**ბებნა**“, რომლის პარალელურად გვხვდება **ბებან** – წარმოშობით თურქული სიტყვაა და ნიშნავს **უწყლო ადგილს** ან **უდაბნოს**, რომელიც ტოპონიმშია დადასტურებული – „**ბებნისი**“. „**ბებანის-ი**“ „**ბებნ-ის-ი**“, ეს სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციებით ქართულშიც გვხვდება აღორძინების ეპოქის მწერალთა თარგმანსა და ორიგინალურ თხზულებებში [ქილილა და დამანა], მაგრამ საბოლოოდ მან ფეხი ვერ მოიკიდა და ვერ განდევნა ძველისძველი ქართული სიტყვა „**უდაბნო**“ და ოვითონ დატოვა ასპარეზი. დღეისათვის ქართულ ენას შემორჩა მხოლოდ ამ სიტყვისგან ნაწარმოები „**ბებნისი**“, რომლის მნიშვნელობაა „**უწყლო ადგილი**“, „**უდაბნოისი**“. [ზ. ჭუმბურიძე. 1987:431]. დასახელებული ფუძე „**ბებნა**“ აწარმოებს არა მარტო გეოგრაფიულ სახელს, არამედ გვარ-სახელსაც „**ბებნაძესა**“. გვარსახელის ფუძეში დაფიქსირებული თურქულენვანი ლექსიკა გვხვდება საგვაროვნო სახელწოდებებშიც. მაგ. „**გიორგაძე**

თა“ გვარის ერთ-ერთი შტო-გვარის სახელ-წოდებას „პოლიბეგინთი“.

„პოლიბეგინთი“ კომპოზიტური წარმოშობისა ჩანს. ინფორმაციორთა გადმოცემით, წინაპარს, კერძოდ, პაპას კავშირი პქონია მუსლიმანებთან და ნახევრად ბატონი ყოფილაო. აშკარაა, რომ ამგვარი ახსნა შტო-გვარის სახელწოდებისა სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა. სიტყვის მეორე ნაწილის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ შემდეგს: „**ბეგი-ბეგი**“ (თურქ „Beg“, „bey“ – მბრძანებელი, მთავარი, ბატონი, წარჩინებული სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო დარგის მაღალი თანამდებობის პირთა საპატიო ტიტული – ესაა ამ ლექსემების ლექსიკონებიდან ამოკრეფილი განმარტებები, ოსმალთა იმპერიაში „bey“ („beg“, – გვიანდელი ფორმა) დაქროვოდა დიპლომატების, თარჯიმნებისა და დიდი მოხელეების სახელებს. დროთა განმავლობაში იგი მიმართვის ფორმის კომპონენტად იქცა. თანამედროვე თურქულისათვის „beg“ ძველია ან დიალექტისეული, მაშინ როცა ქართულისათვის უპირატესია ფორმა „**ბეგი**“. ყარაჩაულსა და ბალყარულში კი „bi“ გგაქს (სჯ. !. 6) [გ. ჯიქია. 2008:66] სავარაუდოა, რომ შტო-გვარის სახელწოდებას მესხმა დაუდო სათავე, რომელსაც კარგი ქონებრივი მდგომარეობის გამო შეარქვეს სახელი „**ბეგი**“.

„**ხითარიშვილთა**“ გვარიდან, რომელიც მრავალრიცხოვანია სტატისტიკური მონაცემებით ვალის ისტორიაში, ცალკე გამოიყოფა გვარის ერთ-ერთი განაყოფი, რომელიც ჩახალიანთების სახელით არის ცნობილი და დროთა ვითარებაში გვარად ყალიბდება, რაც სიახლედ უნდა ჩაითვალოს. „**ჩახალი**“ – „caxel“ თურქული წარმომავლობის სიტყვაა და ქართულად მისი შესატყვისი „ჭრელი“, იქნება. გვარებში ხშირად გვხვდება პიროვნების დახასიათება ფერის მიხედვით, სწორედაც აღვილი შესაძლებელია ამ გვარის მატარებელ პიროვნებას ჭრელი თვალები პქონოდა.

ვალეში გეხვდება გვარები, რომლებიც ახასიათებს ადამიანს რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგ. „**სარიშვილი**, – „sari“ სიტყვა, არაქართულია, კერძოდ, თურქული ჩანს, რომელიც „ქერას“, „ყვითელს“ უნდა ნიშნავდეს. ასეთი შემთხვევები ხშირია ვალის ონომასტიკისათვის.

უცხო სიტყვა, რომელიც გვარის ფუძედარის გამოყენებული, სათავეს უდებს ახალი გვარსახელის წარმოებას.

„**თელიაშვილთა**“ გვარში ვხვდებით თურქული წარმომავლობის შტო-გვარის სახელწოდებებს: „**ჩობანიანთი**“ და „**ზიფირათი**“.

„**ჩობანი**“ – ცხვრის მწყემსს ნიშნავს, საგარაუდოა, ამ საგვაროვნო სათავის დამდები მწყემსი უნდა ყოფილიყო, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ქვეგვარის სახელწოდება.

„**ზიფირათი**“ – zifir თურქული წარმომავლობისაა და მისი მნიშვნელობა. „**დაღვრე-მილს**“, „**მოწყენილს**“ უნდა უკავშირდებოდეს. ზოგჯერ გვარს საფუძვლად უდევს სიტყვა, რომელიც იძლევა ადამიანის დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით, როგორიცაა გარეგნობა, ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა და ასე შემდეგ. [ზ. ჭუმბურიძე. 1987:304].

ცალკე აღსანიშნავია, რომ გვარსახელში „**ყულიჯანიშვილი**“ ფუძედ შეიძლება გამოიყოს „**ყულიჯანა**“// „**ყულიჯან**“, რომელიც თავდაპირველად საკუთარი სახელი ან მეტსახელი უნდა ყოფილიყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საგვაროვნო სახელს. კომპოზიტური აგებულების ანთროპონიმი **ყული+ჯანი+შვილი**, სავარაუდოა, რომ სამი სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. პირველ კომპონენტად შეიძლება გამოვყოთ „**ყული**“, არაქართული წარმომავლობისა. თურქული კომპონენტი „**ყული**“ </kuł/ (მონა ყული) (პ. ა. ლ. I) **ყულა** (1793 დოკ. I) **ყულები** საქართველოში მეფის პირადი მცველი და ზედამდგომელები იყვნენ [გაბაშვილი. 2000]. გვხვდება გვარ-სახელები „**ყულასაშვილი**“ (1448წ. 1448. 266. III), „**ყულაშვილი**“, „**ყულია**“

„შვილი“, „ყულოშვილი“ (თბსც). „ყული“ განსაკუთრებით პროდუქტიულია კომპოზიტური წარმოების გვარ-სახელებში. მისი შემცველი ოცდაათამდე თხზული ანთროპონიმი დაგვიდასტურდა. ამათგან „ყული“ მხოლოდ ოთხშია, პირველი კონკონენტად: „ყული ბეგ“ (*kuli beg*) „მონა მისი ბატონი“. „ყულოლი“ (*kuloglu*): მონის ვაჟიშვილი“, „ყულიჯანა“ < თხპ. *kulizan*/ | | „მონა მისი სული“, ყულიჯანაშვილი და ყულარალსი. მეორე კომპონენტია ამ სიტყვის შემცველ ანთროპონიმთაგან „დვოის მონა“ გვარში „თანდრიყულაშვილი“ (პ. ა. ლII) და დელი ყული, „*deli kulu*“ „გიჟის მონა“ [პ. ჯიქია. 2008:268]. რაც შეეხება გვარის მეორე კომპონენტს „ჯანა“, მისი მნიშვნელობა „სული//სულს“ უკავშირდება.

დასკვნა

ვალის მოსახლეობის გვარ-სახელების ფუძეთა გარკვეული ნაწილი თურქულია, რომელიც უკავშირდება საუქუნეთა განმავლობაში პოლიტიკურ – ეკონომიკურ ურთიერთობას თურქულენოვან ხალხთან.

ქართველურ ანთროპონიმიაში უხვადაა დადასტურებული თურქული წარმოშობის ლექსემები, რომლებიც აქტიურად აისახება დღესაც ვალის მოსახლეობის გვარ-სახელებში და საგვაროვნო სახელწოდებებშიც.

ლიტერატურა

1. ი. ახუაშვილი (1994): ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I თბ. გამომცემლობა „განათლება“

2. მ. ბერიძე (2008): მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის. თბილისი

3. ზ. ჭუმბურიძე (1966): რა გქვია შენ გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი

4. ზ. ჭუმბურიძე (1987): დედაენა ქართული. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი

5. ალ. ლლონბეგი (1967): ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი

6. მ. ჯიქია (2008): თურქიზმები ქართულ ანთროპონიმიაში. თურქულ-ქართული ლექსიკონი (2001): (ია ჩლაიძის რედაქციით). თბილისი

7. ბასკაკოვ ნ. ა. (1992): Русские фамилии тюркского происхождения. Москва

Грузино-турецкие основы в именах и фамилиях жителей Потховского ущелья

Кобайдзе Ламзира

Самцхе-Джавахетский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Ул. Ш. Руставели №106, г. Ахалцихе, Грузия

Тел.: 599 611 681

E-mail: lamzira.kobaidze@mail.ru

Резюме

Определенная часть основ фамилий населения Потховского ущелья включала в себя турецкоязычные лексемы, которые на протяжении веков появились в результате политическо-экономических отношений. Поэтому в этом антропонимическом пространстве можно заметить обилие турканизмов, которые выражены не только в фамилиях, но и в фамильных названиях.

Ключевые слова:

антропонимия, ономастика, патроним, фамильное имя, имя и фамилия, фамильные разветвления, эпоним.

Georgian-Turkish Bases in Names and Surnames of the Potskhovi Canyon People

Lamzira Kobaidze

Samtskhe-Javakheti's National University

Faculty of Humanitarian sciences

106 Shota Rustaveli str., Akhaltsikhe, Georgia

Tel.: 599 611 681

E-mail: lamzira.kobaidze@mail.ru

Abstract

Potskhovi canyon population's surnames has the specific part which bases includes Turkish lingual

lexemes and during centuries it appears as a result of political-economic relations. Therefore, in this anthroponymic space it is possible to note a lot of Turkisms, which are expressed not only in the surnames, but also in the family name.

Keywords:

anthroponyms, onomastics, patronyms, names of the surnames, name and surname, surnames branches, oponyms.

იტალიური ემოციური დისკურსი სტრუქტურ-სემანტიკური თვალსაზრისით

ნახა ლომია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
იტალიური კულტურის ცენტრი
ქ. ჩოლოვაშვილის N5, 0162, თბილისი,
საქართველო
ტელ. 597 292 960
E-mail: n.lomia@libero.it

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ემოციური დისკურსის კვლევას სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით. თუკი ტექსტის ვალიარები ენობრივი კომუნიკაციის სტრუქტურულად და შინაარსობრივად გაფორმებულ ძირითად ერთეულად, მაშინ აუცილებლად უნდა მოვახდინოთ ტექსტის, როგორც შიდა სტრუქტურის, ანალიზი, ასევე იმ ფაქტორების ანალიზი, რომელებიც განსაზღვრავენ კონკრეტული ტექსტის წარმოქმნას რეალური სიტუაციის პირობებში, რომელშიც მოქმედებენ კონკრეტული კომუნიკანტები. ტექსტის სტრუქტურის ძირითადი კატეგორიებია შინაარსი და ფორმა. სტატიაში მოცემული კატეგორიები განიხილება იტალიური მხატვრული ტექსტის მასალაზე.

საკვანძო სიტყვები:

მხატვრული დისკურსი, ემოციური დისკურსი, სემანტიკა, პრაგმატიკა, ემოტივი.

შესავალი

თუკი მხატვრული დისკურსის მიმართ გამოვიყენებთ სემიოტიკურ დაყოფას სემანტიკად, სინტაქტიკად და პრაგმატიკად, შეიძლება შესაბამისად ვიმსჯელოთ ნაწარმოების სემანტიკურ, სინტაქტიკურ და პრაგ-

მატიკულ დონეებზე. სემანტიკური დონე იკვლევს აღწერის ურთიერთობას აღსაწერი სინამდვილისადმი, სინტაქტური დონე იკვლევს აღწერის აგების შიდა სტრუქტურულ კანონზომიერებებს, ხოლო პრაგმატიკული დონე – აღწერის ადამიანთან დამოკიდებულებას, ვისთვისაცაა ის განკუთვნილი [უსპენსკი. 1970:168].

მხატვრული დისკურსის პრაგმატიკული დონე მის სტრუქტურაში რეალიზდება. მხატვრული ტექსტის ავტორის პრაგმატიკული დამოკიდებულება ძირითადად განსაზღვრავს ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას, რომელიც გაცილებით რთულია ჩვეულებრივ ენასთან შედარებით.

არსებობს უამრავი მიდგომა მხატვრული დისკურსის განხილვასთან დაკავშირებით. თანამედროვე ლინგვისტიკაში ტექსტის შინაარსის წარმოდგენა სტრუქტურის სახით, შეგვარენ შემუშავებული ტექსტის კვლევის საშუალებაა [ვინოგრადოვი. 1962; ლოტმანი. 1969; უსპენსკი. 1970; რეფეროვსკაია. 1989].

ამგვარად, ტექსტი როგორც სისტემა, ეფუძნება სტრუქტურირების პრინციპს, რომელიც გულისხმობს როგორც ერთ დონეზე მყოფ, ასევე სხვადასხვა დონეზე მყოფი ტექსტის ერთეულებს შორის კავშირს.

ძირითადი ნაწილი

ტექსტის სტრუქტურის ძირითადი კომპონენტია შინაარსი და ფორმა. შინაარსი, თავის მხრივ, ორ ცნებას გულისხმობს: თემის და თავად შინაარსს. შინაარსი არის თემის მოცემული კონკრეტული გადაწყვეტილება, სინამდვილის მასალა, რომელიც გამოყენებულია თემის გასაშლელად და განისაზ-

ლვრება, როგორც ის ფაქტები, რომლებიც მეტყველებაში დამუშავებას ეძვემდებარება (20. გვ. 42).

ნებისმიერი ლიტერატურულ-კროზაული ნაწარმოები მრავალ სიტყვიანია და შედგება კომპოზიციური, სტილისტიკური და ფორმალურ-საგნობრივი შრეებისაგან. მხატვრული ნაწარმოების ფორმა იწყება კომპოზიციიდან, რომელიც ყველაზე ღრმა შრეს წარმოადგენს. შეა შრე სტილისტიკურია, ზედა შრე კი - ფორმალურ-საგნობრივი [ბრანდესი. 1968: 457].

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მხატვრული ტექსტის სტრუქტურის ელემენტებს განეკუთვნება: თემატური შინაარსი, ხატოვანი სისტემა, კომპოზიცია (ზოგჯერ მას უკავშირებენ ასევე სიუჟეტს) და ენა (სტილი), რომელიც მხატვრული ტექსტის პრაგმატიკული რეალიზაციის დონეს განეკუთვნება [დომაშნევი. 1989: 28].

თემატური შინაარსი წარმოადგენს შინაარსის გეგმას, მას ექვემდებარება გამოძხატველი ელემენტები (კომპოზიცია და ენა). მხატვრული ნაწარმოების იდეა ეს-თეტიკურია, რომელიც წარმოადგენს არა განვენებულ აზრს, არამედ შთაბეჭდილებების, გრძნობების, განცდების, განწყობის, ფიქრების ერთობლიობას, ადამიანს რომ უჩნდება მხატვრული ტექსტის აღქმისას. ამავე დროს, მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური იდეის განსახიერება ხდება კონკრეტულ მხატვრულ ხატში. თანაც იდეა ნაწარმოების ერთიანი არსია, რომელიც წარმოიქმნება თემატური და ემოციური მხარეების შეფასების შედეგად [ლოტმანი. 1970:19; ბრანდესი. 1983: 238].

მხატვრული სისტემის ჩარჩოში, მხატვრული ხატის შინაარსი პრაგმატიკული და აქსიოლოგიური ფუნქციების მატარებელია, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებში ესთეტიკურ/ემოციურ გამოხატვლებას დატვირთობს.

როდესაც მხატვრული ტექსტის ენაზე
კაუბონით, უნდა მივუთითოთ იმ ფაქტზე,

ორმ მხატვრული ლიტერატურის ენის შესწავლას ორი ძირითადი ასპექტი აქვს – ლინგვისტიკური და ლიტერატურათმცოდნეობითი. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუმცა როგორც ლინგვისტებს, ისე ლიტერატურათმცოდნეებს, პირველ რიგში, აინტერესებთ ამ მიმართებების და კავშირების საკითხი.

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია
წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც შედ-
გება ერთმანეთთან დაკავშირებული კომპო-
ნენტებისაგან. ჩვენი აზრით, კომპოზიცია
მხატვრული ტექსტის ამ კომპონენტების
სტრუქტურული დაკავშირების საშუალებად,
რომელიც აგებულია გარკვეული სქემე-
ბით და არეგულირებს ტექსტის შინაარსო-
ბრივ-აზრობრივ შიდა კავშირებს.

თემა ერთიანი შეტყობინების კომპონენტია, რომელიც შედგება სხვადასხვა ქვეთმებისაგან. თემა ცენტრია, რომელიც აპაგ-შირებს ქვეთმებებს.

ჩვენთვის საინტერესოა ქვეთემების ის კომ-
პოზიციური ნაწილები, რომლებიც ემოციის
აღნიშვნას შეიცავენ. მოცემული ქვეთემები
წარმოადგენს ემოციურ ქვეთემებს, რომელთა
შემაღებელობაში შედის სხვადასხვა სახის
მქონე ნომინაციის პარალინგვისტური და
ფსიქოფიზიოლოგიური სიგნალები, რომლე-
ბიც გამოხატავს ემოციებს: მიმიკები, უს-
ტები, სხეულის მოძრაობა, პოზა, ფონაციუ-
რი პარალინგვიზმი და სხვა.

ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანია ადამიანის ემოციური მდგრამარეობისა და რეაქციის ნომინაციები, დგება საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს ემოციას, რა როლს ასრულებს იგი და რა პრაგმატიკული პოტენციალი აქვს მას მხატვრული დისკურსის სტრუქტურაში. საანალიზოდ ვიღებთ მიკროტექსტებს, რომლებშიც ემოცია ან უშუალოდაა გადმოცემული ენობრივი საშუალებებით, ანდა მოქლეობით მიკროტექსტი თავად შეიცავს ემოციას.

ემოციური ძველემები, ანუ ტექსტის კომპოზიციური ნაწილები, რომლებიც გმოციას

შეიცავენ, დამოკიდებულია „ავტორის ხატის“ პატეგორიაზე, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მხატვრული ტექსტის ყველა კომპონენტი, რომლებითაც ხდება მისი თქმის გაშლა, ფუნქციურად ურთიერთგანპირებებული იყოს.

ემოციური დისკურსის სემანტიკური ანალიზის სპეციფიკა უმეტესწილად დამოკიდებულია ემოციების გამომხატველი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის განხილვაზე. ასეთი ლექსების დისკურსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ჩვენი კვლევის საგანია ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ემოციებს გამოხატავენ.

იმ კონტექსტებში, რომლებშიც ემოციის გამომხატველი სიტყვები სუბიექტის ფუნქციას ასრულებენ, დენოტაციურ სიტუაციას ხშირად მოსაუბრე ვარაუდობს. ნომინაცია საშუალებაა, რომ გააზრებულ იქნას პროცესი, რომელსაც მიაწერენ სხვადასხვა თვისებებს, რაც საშუალებას იძლევა დეტალურად იქნას აღწერილი ფსიქიკური ქმედებები.

პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ დაუნაწერებლად, თითქოს განყენებულია იმ ადამიანისაგან, რომელიც იმყოფება ამა თუ იმ ემოციურ მდგომარეობაში, მაგრამ მისგან მოწყვეტილი არ არის. ამ დროს, ემოციის გამომხატველი სიტყვების მნიშვნელობა ხშირად მეტაფორაში გადადის. მაგალითად: **La tristezza mi rode il cuore-ნადველი გულს** მიღრღნის. მაგალითად: **Sentiva proprio che il cuore gli si sfaceva in petto, strizzato dall'angoscia, macerato dalla pena** [პირანდელო. 1992:8]. გრძნობდა, რომ მწუხარებისაგან შეკუმშული, დარდისაგან ტანჯული გული მკერდში უდნებოდა.

ემოციის გამომხატველი სახელები, რომლებიც სუბიექტის სემანტიკურ ფუნქციას ასრულებენ, ხშირად ქვემდებარის პოზიციაში გამოიყენება. მაგალითად: - **La puara s'impadronì di lui** [კალვინო. 1997:34] – შიშმა შეიპყრო იგი.

პრედიკატის ფუნქციაში ემოციის გამომხატველი სახელები წინადადებაში იკავებენ შემასმენლის როლს (ხშირად როგორც აღწერის ხერხი). მაგალითად: **È la gioia, certo, che la fa sbiancare così; ed egli prova un tremito, un desiderio d'inginocchiarsi davanti a lei e dirle: sì, sì, una grande gioia, donna Noemi, piangiamo insieme** [დელედა. 1965:130] – ეს სიხარულია, სიხარულია, რა თქმა უნდა! ეფიქსმა დაუძლეველი სურვილი იგრძნო, დაწოქილიყო ნოემის წინაშე და ეთქვა: – ბედნიერებაა, სიხარულია, დონა ნოემი, ერთად ვიტიროთ! [მთარგმნ. ზარდიაშვილი. 2009: 125].

ყველა ზემოაღნიშნული წინადადებისათვის დამახასიათებელია სიტყვათა პირდაპირი წყობა, რომლის დროსაც თემა (სუბიექტი) წინ უსწრებს რემას. შემასმენლის პრეპოზიციაში გადატანისას, ემოციის გამომხატველი სიტყვა (სუბიექტი) ხდება რემა. მაგალითად: **-Dopo quel fatto, era presa dallo sdegno** [კალვინო. 1997:72] – იმ შემთხვევის შემდეგ, ის გამაოგნებელმა რისხვამ მოიცვა.

წინადადების შედარებით გავრცელებული ტიპი, გასაანალიზებელი ლექსებმა ფუნქციონირებს როგორც პროპოზიციული სუბიექტი, ემოციური განცდა გააზრებულია სუბიექტისაგან განყენებულად. ამ შემთხვევაში ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა ღებულობს გადატანით მნიშვნელობას და ხდება მისი „გასაგნობრივება“. მაგალითად: **Dopo la prima sorpresa, una gran risata** [პირანდელო. 1992: 59] -პირველმა გაოცებამ რომ გაუარა, გოგონამ გადაიხარხარა [მთარგმნ. გოგოლაშვილი. 1964:367].

განვიხილოთ დადებითი და უარყოფითი ემოციების გამომხატველი ზოგიერთი ლექსებმა. მაგალითად, „შიშმა“ სუბიექტის ფუნქციით ახდენს თავისი ძირითადი მნიშვნელობის რეალიზებას ძლიერი მდელვარების, წუხილის, სულიერი აღელვების, მოსალოდნელი საფრთხის გამო. სიტყვა შიშმი, ხშირ შემთხვევაში ადამიანის სხვა მდგომარეობის ან მოქმედების კაუზატორს აღნიშნავს. მაგა-

ლითად: **A Mergherita faceva paura, ma come fa paura un elefante di circo, che viene voglia di toccarlo** [პრატოლინი. 1960:42] – მარგარიტაში იგი უნებურ შიშს იწვევდა, აი, ისეთს, როგორსაც ცირკში ნახახი სპილო იწვევს ხოლმე, თან გეშინია და თან ხელით გინდა შეეხო [მთარგმნ. ერაძე. 1967: 33].

სიტყვას „შიში“ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ძირითადი მნიშვნელობა და პრედიკატის ფუნქცია. ამ შემთხვევაში ემოციის გამომხატველი სიტყვა გამოიყენება მყარ შესიტყვებებში ისეთ ზმნებთან, როგორებიცაა: „განცდა“, „გრძნობა“, „შეგრძნება“, ასევე ზმნასთან „ყოფნა“, ვერბალური ან ნულოვანი ფორმით. მაგალითად: **Era più la paura verso le persone sconosciute** [კალვინი. 1997: 43] – ეს უფრო უცხო ადამიანების მიმართ შიში იყო.

ლექსემა „შიში“ ხშირად ფუნქციონირებს ერთწევრიან ნომინაციურ წინადაღებებში. მაგალითად: **-All'improvviso s'impaurì e sentì un vuoto. La paura! La paura!** [კალვინი. 1997: 12] – უცებ მას შეეშინდა და სიცარიელე იგრძნო. შიში!... შიში!“ [კალვინი. 1997: 6].

სიტყვა „საშინელება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობის რეალიზებას ახდენს ძლიერი შიშისაგან გამოწვეული გრძნობითი მდგომარეობით იმ შემთხვევაში, როდესაც წინადაღების სუბიექტის როლში გამოდის. მაგალითად: **Stupore, dolore, orrore, vergogna assaltarono e sconvolsero Bebè a questa rivelazione inattesa** [პირანდელო. 1990:96] – „განცვიფრება, ტკივილი, საშინელება, სირცხვილი მოაწვა და შეძრა ბებე ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ“.

არსებითი სახელი „სიხარული“, როგორც დადებითი ემოციის გამომხატველი, შედის წინადაღების სტრუქტურაში პრედიკატის სახით უფრო ხშირად, ვიდრე სუბიექტის სახით. მაგალითად: **-È la gioia, certo, che la fa sbiancare così** [დელედა. 1995:130] – ეს სიხარულია, სიხარულია, რა თქმა უნდა! (ზარდიაშვილის თარგმანი); ამ წინადაღებაში მოცე-

მული ლექსემის ძირითადი მნიშვნელობის რეალიზება ხდება შემდეგი გრძნობებით: სიხარული, კმაყოფილების გრძნობა, სასიამოვნო შეგრძნებები და განცდები.

არსებითი სახელი „ტკბობა“ იშვიათად გვხვდება სუბიექტის როლში. რომლის დროსაც ხშირად ადგილი აქვს მეტაფორიზაციას. მაგალითად: **-Dal grande piacere provato dalla libertà nascosta il cuore le è salito in gola** [კალვინი. 1997:124] – ფარული თავისუფლებისაგან მიღებული ძლიერი სიამოვნება ყელში ჰქონდა მოწოლილი.

დასკვნა

მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში ემოციის გამოხატვა ძირითადად გახხვდება მთხობელის მეტყველებაში (დისკურსში), რომელიც ემსახურება დიალოგის ბუნებრივი მსვლელობის აღდგენას, რომელიც მას ავსებს აუცილებელი დეტალებით. ამავე დროს ემოციის გამოხატვა მთხობელის მეტყველებაში ხელს უწყობს გმირების მრავალფეროვანი მახასიათებლების შექმნას, გვეხმარება შევაღწიოთ მათ შინაგან სამყაროში, რაც დაკავშირებულია მხატვრული ტექსტის შეფასებით სემანტიკასთან.

ემოციის გამომხატველი არსებითი სახელების სემანტიკური ანალიზი მნიშვნელოვანია ემოციური დიკურსის კვლევისათვის. ის საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ემოციების გამომხატველი სახელების აზრობრივი სტრუქტურების ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები. არსებითი სახელების სემანტიკური ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს ლექსიკის კვლევის სხვა ეტაპზე, ანუ მისი პრაგმატიკული მახასიათებლების დონეზე.

ლიტერატურა

1. დელედა გ. (2009): ლერწამი ქარში. მთარგმნ. ნ.ზარდიაშვილი. თბილისი: ინტელექტი
2. ეკო უ. (2011): ვარდის სახელი. მთარგმნ. ხ.ცხადაძე. თბილისი: დიოგენე
3. კალვინი ი. (1966): კატა და პოლიციელი. მთარგმნ. ნ. სამუქაშვილი. თბილისი: ნაკადული
4. პირანდელო ლ. (2010): მოთხოვბები, მთარგმნ. ნ.ლადარია. თბილისი: სულაკაური
5. პირანდელო ლ. (1964): ქორწინების დამე (ნოველები). მთარგმნ. ე.გოგოლაშვილი. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“
6. პრატოლინი ვ. (1967): ლარიბ შეკვარებულთა ქრონიკა. მთარგმნ. ლ.ერაძე. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება
7. Calvino I. (1997): I racconti. Milano: Oscar Mondadori
8. Deledda G. (1965): Canne al vento. Milano:Arnoldo Mondadori
9. Eco U.(1995): Il nome della rosa. Milano:Fabbri editore
10. Ortony A. and T.J. Turner. (1990) : What's Basic about Basic Emotions? *Psychological Review*
11. Pirandello L. (1990): Dal naso al cielo. Milano:Arnoldo Mondadori
ენაში უცხო სიტყვათა სესხების აუცილებლობით არის განპირობებული ასიმილაციის სხვადასხვა გზები, ფორმები, ესენია: 1. პირდაპირი სესხება. მაგალითად, weekend, facebook; 2. პიბრიდი. მაგალითად, გააjazzza, გაrapa; 3. კალკა, როდესაც სიტყვა სრულად ინარჩუნებს ფონეტიკურ ჟღერადობას. მაგალითად, menu, disc, virus; 4. ე. წ. „ეგზოგრიზმები“ – სიტყვები, რომლებიც ასახავენ ერთი ენისთვის სრულიად უცხო სინამდვილეს. მაგალითად, cheeseburger, hot-dog, chips; 5. არის შემთხვევები, როდესაც ხდება არაცალკვეული სიტყვის, არამედ მთლიანი კომპოზიტების გადმოღება. მაგალითად, second-

hand, video-salon; 6. ბარბარიზმი, რომელიც შედის და მკვიდრდება ენაში ამ ენისათვის შეუსაბამო ფონეტიკური და ხშირად გრაფიკული ფორმითაც. მაგალითად, happy end, face control, know how. თანამედროვე ქართულ ში ინგლისურიდან შემოსული ბარბარიზმების ძირითადი წყაროა სატელევიზიო გადაცემები, უცხოური კომპანიები და სხვა მისთ. მაგალითად, talk show, show business, fan club, call centre.

ქართულ ში ანგლიციზმების სიუხვიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება მათი დაჯგუფება მეცნიერებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროების მიხედვით. **ეკონომიკა:** სოციალისტური ეკონომიკის მოშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია წარმოების ამ წესისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის არნახული სიჭარბით შემოჭრა ქართულ სამეცნიერო და საქმიან ლექსიკაში, მაგალითად, marketing, management, clearing. **პოლიტიკა:** საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს გასვლამ საერთაშორისო ასპარეზზე, ქართული დიპლომატიის და პოლიტიკის ენის განვითარებამ ბუნებრივად გაზარდა ინგლისური ენიდან, და ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკის ენიდან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ნასესხობათა რაოდენობის ზრდა, მაგალითად, rating, electorate, speaker.

კულტურა: ხელოვნების ახალმა მიმდინარეობებმა, სპეციალობებმა, დარგებმა და დასავლური მასობრივი კულტურის წარმატებამ გააჩნია ახალი ცნებები/ტერმინები, როგორებიცაა: triller, clipmaker, designer.

გასტრონომია: უცხოური დასახელების პროდუქციის მატების გამო და ქართულ სავაჭრო ქსელებში დიდი სავაჭრო ცენტრების (supermarket, market) გახსნის შედეგად მომხმარებელს უშუალო შეხება აქვს უცხოურ, მეტწილად კი – ინგლისური დასახელების ნაწარმთან, რაც აისახა კიდევ ქართული ენის ლექსიკაზე. მაგალითად, catch up, muffin.

ქართულში ინგლისურ ნასესხობებს არ აქვთ მხოლოდ ფონეტიკური ან ლექსიკური ფორმა. თუ ქართული ენის უნივერსალური ფონეტიკური შესაძლებლობები იძლევა საშუალებას, რომ ზედმიწევნით გამოითქვას ინგლისური წარმომავლობის სიტყვები ქართული ანბანის ასო-ბგერების (ა, ც, ჭ) საშუალებით, მათი ზუსტი გრაფიკული გამოსახვა უფრო რთულდება (რაც ადგილი შესამჩნევია მაღაზიების, კომპანიების სახელწოდებების, სარეკლამო აბრების ლათინური ანბანით შესრულებულ ინგლისურ წარწერებში). ლექსიკასთან ერთად ქართულ ენაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს აგრეთვე მორფოლოგიური ნასესხობები (მაგალითად, ინგლისური სუფიქსით „-ing“ ნაწარმოები არსებითი სახელები bowling, rolling) ზემოჩამოთვლილი შემთხვევების მსგავსად ანგლიციზმები ქართულში მკვიდრდება როგორც ბიზნესმენების (businessman, manager), მეცნიერთა, ცალკეული დარგის სპეციალისტთა წრეებიდან (fiction, blogbuster, monitor) ასევე განსაბუთრებით მოსწავლეახლგაზრდობის (teenager) სასაუბრო ენიდან. უცხოეთში სასწავლებლად წასულ ქართველებს, უცხოური სახელმძღვანელოებით დაინტერესებულ სტუდენტების განსაკუთრებით ხშირი შეხება აქვთ ოანამედროვე ინგლისურთან, ამიტომ ათვისების ტენდენცია უფრო ზრდადია, ვიდრე კლებადი, რაც თავის მხრივ ამჟარებს ვარაუდს, რომ ინგლისურ ნასესხობათა რაოდენობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ბუნებრივია, აღნიშნული გარემოება ქართულის, როგორც სალიტერატურო ისე სალაპარაკო ენის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს. ერთი მხრივ, გამდიდრდეს ქართული სათანადო ლექსიკით (და შეუძლებელიც არის ხელოვნურად აღნიშნული პროცესის შეჩერება), ხოლო მეორე მხრივ, ენამ არ დაკარგოს თვითმყოფადი სახე და მისთვის ჩვეული გამომსახველობა.

დასკვნა

ამდგრად ქართული სასაუბრო მეტყველებაზე, ასევე სამწერლო-სალიტერატურო ენასა და დარგობრივ ენებზე აშკარაა ამერიკული ინგლისური ენის გავლენა და ინგლისურ ლექსიკურ ერთეულთა ქართულ ენაში შეჭრისა და დამკვიდრების მზარდი ტენდენცია. ამის მიზეზად ქართველთა განსახლების ადგილი, მოსახლეობის შედარებითი სიმრავლე და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები სახელდება.

ქართულ ენაში შემოსული ინგლისური ნასესხობები ხშირად საერთაშორისო ნეოლოგიზმად იწოდება. ისინი სხვადასხვა თანაფარდობითა და ემოციულობით დამკვიდრდა ქართულ ენაში. განსაკუთრებით გამოიყოფა ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: პოლიტიკა, კულტურა და გასტრონომია.

ლიტერატურა

1. Webster's Dictionary (2010): online
2. Robert Le Petit Robert (2009): Paris
3. Crystal D. (1997): A Dictionary of Language and Phonetics. 4th edition. Blackwell Publishers Ltd
4. Larousse (1994) : Dictionnaire de Linguistique et des Sciences du Langage. Paris

Современные английские заимствованные слова в грузинском языке

Чхеидзе Нана Георгиевна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 555 257 167
E-mail: davidchkheidze@hotmail.com

Резюме

Грузинский язык из-за особого места расселения говорящего на этом языке народа очень богат внешними заимствованиями. В грузинском языке много древнеперсидских, греческих, арабских... слов. В результате распада Советского Союза и сокращения влияния русского языка его место постепенно занимает английский язык. Сегодня очень большое количество слов английского происхождения, обозначающих разные понятия и вещи, усваиваются грузинским языком. Наша статья в основном посвящена выяснению, какими особенностями характеризуется сам лингвистический процесс заимствования грузинским языком слов английского происхождения, т. е. почему и каким образом усваивается терминология, лексические и морфологические элементы одного языка другим. По данным исследования оказывается, что рост количества заимствований впрямую обусловлен влиянием, политического экономического и культурного характера, что в свою очередь ставит новые, как языковые, так и социальные задачи перед грузинским обществом - поддерживать не только богатство языка, но и сохранить его самобытность и свойства.

Ключевые слова:

ассимиляция транскрипция, произношение, вариация, фонетика.

Contemporary English Borrowed Words in the Georgian Language

Nana Chkheidze
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 555 257 167
E-mail: davidchkheidze@hotmail.com

Abstract

Borrowings under the influence of the phonetic system of borrower language are gradually changed which is thoroughly depicted through transcription in the dictionaries. In other words, phonetic assimilation is accompanied by variations in pronunciation. The object of our research in the presented article is English borrowings in French and French borrowings in English. According to the degree of assimilation, borrowings can be divided into two groups: completely assimilated and partially assimilated. Borrowing and assimilation process is more vividly reflected in English dictionaries rather than in the French ones. The speedy process to determine the norm of the standard pronunciation of a French word can not be reflected in French publishings, whereas in English the adoption process of borrowings seems to be far longer and that's why English dictionaries are able to fix all pronunciation changes through transcription.

Keywords:

assimilation, transcription, pronunciation, variation, phonetic.

ფსიქოლოგიური პრედიკატები

თამარ ქაცანაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 595 223 723
E-mail: t_katsanashvili@yahoo.fr

რეზიუმე

ფსიქოლოგიურ ზმნებსა და ფსიქომობრაობის ცნებას სხვადასხვაგვარად აანალიზებენ ლინგვისტები. ისინი მათ მართვისა და ბმის თეორიის, ტრანსფორმაციული კონცეფციის, სემანტიკური და თემატური ანალიზის პოზიციიდან განიხილავენ. თითოეულ მიდგომას თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგები ჰყავს.

სტატიაში წარმოდგენილია ცნობილი ლინგვისტების: ბელეტისა და რიზის, გრიმშოუს, პესეცის, რიუგეს, პოსტალის, გუბერის, ჯეკენდროფის, ფილმორისა და ბურციოს მოსახრეები იმ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ფსიქოლოგიური პრედიკატების თემატური როლების დისტრიბუციას უკავშირდება ფრანგულ ენაში.

საქვანძო სიტყვები:

ფსიქოლოგიური ზმნები, ექსპერიენცერი, თემა, თეტა როლების ვარიაციები, ფსიქო-მოძრაობა.

შესაგალი

ფსიქოლოგიური ზმნები ხუთი ნიშნით განსხვავდებიან ტიპური აგენტური ზმნებისაგან : თეტა როლების განაწილებით, ინტერპრეტაციისა და მნიშვნელობათა ცვალებადობით, სუბიექტის არათემატურობით, ბრუნვის გაუქმებითა და უკანაფორით. ზმნები ხილული თემატური როლების განსხ-

ვაგებულ კონფიგურაციას გვთავაზობენ. ამ როლების სახელდება დღემდე სადაცოა და პირობითად მათ ექსპერიენცერი/თემა ეწოდება.

ძირითადი ნაწილი

თემატური (თეტა) როლის მატარებელი არგუმენტის, იგივე ექსპერიენცერის (Subject d'experience (ფრ.), Experiencer (ინგლ.), დისტრიბუციის მიხედვით, ფსიქოლოგიური ზმნები სამ ჯგუფად იყოფა :

1. გარდამავალი ფსიქოლოგიური ზმნები;
2. არამიცემითი ფსიქოლოგიური ზმნები;
3. არააკუთხატიური ფსიქოლოგიური ზმნები.

გარდამავალ ფსიქოლოგიურ ზმნათა ჯგუფში შედის ზმნები: admirer, adorer, aimer, apprécier, déplorer, détester, estimer, mépriser, redouter, regretter, supporter, craindre...

ისეთი გარდამავალი ფსიქოლოგიური ზმნები, როგორიცაა adorer, craindre détester ზედაპირულ სუბიექტად ექსპერიენცერს, ხოლო პირდაპირ ობიექტად თემას ფლობენ. ისინი ისე იქცევიან, როგორც ტიპური გარდამავალი ზმნები, რომლებსაც სუბიექტად აგენტი-ექსპერიენცერი, ხოლო პირდაპირ ობიექტად თემა აქვთ. მაგალითად :

- a. Paul (ექსპერიენცერი) aime Barbara.
- b. Paul (ექსპერიენცერი) déteste Barbara.

არამიცემით ფსიქოლოგიურ ზმნათა ჯგუფში ერთიანდება amuser, dégouter, préoccuper, effrayer, agacer, ennuyer, étonner, gêner, horrifier, humiliier, impressionner, intéresser, surprendre, terrifier და ა.შ. ზმნები. ისინი თეტა როლების დისტრიბუციით უპირისპირდებიან გარდამავალ ფსიქოლოგიურ ზმნათა კლასს და სუბიექტად – თემა, ხოლო პირდაპირ დამატებად პაციენტი აქვთ. არამიცემითებს

ხშირად უკუქცევითი ფორმაც გააჩნიათ. უკუქცევითი ვარიანტი პაციენტს სუბიექტად, ხოლო თემას ხშირად წინდებულიან ობიექტად წარმოადგენს. Se, რომელიც, რეფერენციის თვალსაზრისით, სუბიექტის იდენტურია, მნელად დასადგენია, რომელ თემატურ როლს შეესაბამება:

- a. Le spectacle amuse **Paul** (ექსპერიენციი).
- b. La soupe dégoûte **Marie** (ექსპერიენციი).
- c. Le son de la cloche a effrayé **les enfants** (ექსპერიენცერი).
- d. La philosophie préoccupe **Paul** (ექსპერიენციერი).

არააგუზატიური ზმნები ფსიქოლოგიური ზმნების მესამე ჯგუფს წარმოადგენენ. აქ შედის : manquer, plaisir, aller (bien), appartenir, arriver, déplaire, importer, manquer, dis/ap/paraître, répugner, rester, souffrir, tomber, sur/re/par/venir–s ტიპის ზმნები. აღნიშნულ ზმნებთან თემატური პაციენტის ზედაპირული სტრუქტურა მიცემითა, ხოლო მათი თემა ხშირად სუბიექტია:

- a. Le gâteau plait à **Paul** (ექსპერიენციერი).
- b. Ce travail déplaît à **Barbara** (ექსპერიენცერი).


მიცემითი პაციენტი აუცილებელია შესაბამისი ინტერპრეტაციისათვის. წინადადება არ არის უპირო, თუმცა თემა ხშირად სპეციფიკურია. ზემოთ მოყვანილი პირველი მაგალითი უფრო კონკრეტული ინტერპრეტაციის შემცველია, ვიდრე მეორე. არააგუზატიური ფსიქოლოგიური ზმნები, ძირითადად, ფიგურალურად იხმარებიან, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით. ამ ზმნებს ვხვდებით უპირო კონსტრუქციებში ზმნის მომდევნო თემით (პოტენციური პარტიტივით ენ). მათი თემა ზოგჯერ სუბიექტის პოზიციას იკავებს. მრავალი არააგუზატიური ზმნა იხმარება დამხმარე ზმნა ეტე-თან ერთად. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ ენაში

დამხმარე ზმნის სელექცია არ გამოდგება არააგუზატიურობის დასადგენად.

ფსიქოლოგიურ ზმნებსა და ფსიქომოძრაობის ცნებას სხვადასხვაგვარად აანალიზებენ ლინგვისტები. ისინი ფსიქოზმნებს განიხილავენ, როგორც მართვისა და ბმის თეორიის, ასევე ტრანსფორმაციული კონცეფციისა და სემანტიკური ან თემატური ანალიზის პოზიციიდან. თითოეულ მიდგომას თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგები ჰყავს.

ბელები და რიზი (1988) აღიარებენ ტრადიციული თეტა როლების სამწევრა დისტრიბუციას და მიაჩნიათ, რომ თემა და პაციენტის ორივე, VP-ს შიდა შემადგენლობაა D სტრუქტურაში; ისინი წერენ, რომ არააგუზატიურ და არამიცემით ფსიქოლოგიურ ზმნებს აქვთ არათემატური გარეარგუმენტი და თემა მიიწევს სუბიექტის პოზიციისაკენ. უკუნაფორა მათ სინტაქსურ ანომალიად მიაჩნიათ და გამოსავალს ბრუნვის გაუქმებაში ხედავენ.

ფსიქოლოგიური ზმნების სამი ჯგუფის წარმოსადგენად, ბელები და რიზი შემდეგ კონფიგურაციებს გვთავაზობენ :



პირველ კონფიგურაციაში თემა გენერიულ პოზიციას იკავებს, ხოლო ექსპრიენცერი ფრაზის თავში ექცევა. მეორეში თემა საწყის პოზიციაშია და სახელობით

ბრუნვას იწერს, გენერაციულ პოზიციაში მყოფი ექსპერიენცერი კი ბრალდებით (II კლასი) ან მიცემით (III კლასი) ბრუნვებს იღებს.

ბეჭედი და რიზი იტალიური ენისათვის შესაფერის არგუმენტებს ასახელებენ, სადაც ზედაპირული სტრუქტურის სუბიექტი მეორე ჯგუფში შემავალ წინადადებათა მსგავსად პასიური ან არააკუზატიური ზმნების ქვემდებარეს წარმოადგენს, პირველ ჯგუფში გაერთიანებულ სტრუქტურათა ქვემდებარების საპირისპირო. ამგვარი არგუმენტები, ხშირ შემთხვევაში, არ გამოდგება ფრანგული ენისათვის. მაგალითად, **მერვე (8) მაგალითის** ტიპის ფრაზები არაგრამატიკულად ითვლება ფრანგულში, რაც იმას ნიშნავს, რომ le plat გარე არგუმენტს არ წარმოადგენს:

- a. Jean aime Marie.
- b. Marie a été aimé par Jean.
- a. Le plat dégoute Marie.
- b. Marie a été dégoûtée par le plat.

ერთადერთი სწორი სტრუქტურა ფრანგულ ენაში, სადაც მეორე კლასში შემავალი ფსიქოლოგიური ზმნების ზედაპირული სუბიექტი ფრაზის თავში ექცევა, ასე გამოიყება :

- a. [Ces rumeurs sur lui] ont préoccupé Jean.
- b. *[Ces rumeurs sur lui] ont décrit Jean.

პირველი (a) ფრაზის სისტორე ისნება იმით, რომ ექსპერიენცერი Jean აბამს ანაფორას ლი (სიღრმის სტრუქტურაში) მსგავსად ზემოთ მოყვანილი მეორე სქემისა, სადაც ექსპერიენცერი (Expr) მართავს (c-commande) თემას. რაც შეეხება მეორე ფრაზას (b), არგუმენტი Ces rumeurs sur lui ამოსულია იმ პოზიციიდან, რომელიც მართავს არგუმენტს Jean. შესაბამისად, ანაფორა, სიღრმის სტრუქტურაში, არ არის დაბმული.

მაშასადამე, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ზმნას განვიხილავთ გარე (Ces rumeurs sur lui), ასევე შიდა (Jean) არგუმენტი, ხოლო პრეօცუების ტიპის ზმნები (ბეჭედისა და რიზის

თქმით), მხოლოდ ორ შიდა არგუმენტს ირჩევენ (იხ. სქემა 2).

გრიმშოუ ფსიქოზმნების თემატური დისტრიბუციის ვარიაციების კვლევისას მიმართავს როგორც სინტაქსურ სტრუქტურებს, ასევე სემანტიკურ მოსაზრებებს. იგი ფიქრობს, რომ თემატური სტრუქტურების სინტაქსურ სტრუქტურებში მოქცევა ორი განზომილების – თემატურის და ასპექტურის ფუნქცია, რითაც შეიძლება აიხსნას განსხვავება წყვილში fear (ინგლ. „შიშის ქონა“)/frighten (ინგლ. „შეშინება“). დისტრიბუცია მომდინარეობს უშუალოდ თემატური იერარქიიდან (პაციენსი ხდება სუბიექტი). Frightening-ის სინტაქსური შეტრიალება გამოწვეულია თემატური და ასპექტური განზომილებების არასწორი განლაგებით. არამიცემითები არ არიან არააკუზატიურების მსგავსნი და არ აქვთ არათემატური გარეარგუმენტები. აქ არ განიხილება უკუანაფორის საკითხი.

პესეცი როლების კლასიფიკაციის დახვეწის საკითხში სემანტიკას ეყრდნობა. მეცნიერს მიაჩნია, რომ განსხვავებას fear და frighten-ს შორის, მათი თეტა როლების სხვადასხვაობა იწვევს. მისი ანალიზის თანახმად, ზმნებს, რომლებიც უკავშირდებიან პაციენს ობიექტებს, ე.წ. c კაუზატივის ნულოვან მორფემას, რომელიც ზმნის სიღრმისეულ მნიშვნელობას ემატება. ამდენად, fear – მარტივი, ხოლო frighten – როული ზმნაა, რომელსაც აქვს აღნიშნულ მორფემა. პესეცი აღიარებს უკუანაფორის ანალიზს, მაგრამ უარყოფს არამიცემითებისადმი არათემატურ მიღგომას.

რიუვეს მიაჩნია, რომ თემატური როლების თანკვეთა მხოლოდ გარეგნულია, ხოლო თითოეული კლასის სელექციური შეზღუდვები არ ემთხვევა ერთმანეთს. ლინგვისტი ემხრობა ჯეკენდროფისეულ თემატურ იერარქიას სინტაქსური იერარქიის საპირისპიროდ. ლინგვისტი ფიქრობს, რომ მართვის ანომალიები უნდა განიხილებოდეს პრაგმატიკის ცნებებზე და არა სინტაქსზე

დაყრდნობით. „უკუანაფორებს რიუვე აუხსნელ პრობლემათა რიგს მიაკუთვნებას.

ტრანსფორმაციული გრამატიკა ფსიქოლოგიური ზმნების ანალიზისას ე.წ. „ფსიქოკური გადაადგილების“ ტრანსფორმაციას იყენებს და ამბობს, რომ დასახელებული ზმნები აღიჭურვებიან [+PSYCH – MVT]-ის წესის მახასიათებელი ნიშნით. **ფსიქომოძრაობის** ტრანსფორმაციის გამოყენებას მხარს უჭერდა **პოსტალი**. მის ძირითად ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ბუნებრივი კავშირის არსებობა NP-სა და სიღრმის სუბიექტის პოზიციას შორის. საერთო მახასიათებლის ქვეშ სიღრმის სუბიექტის, აგენტისა და NP-ს გაერთიანება არ აღმოჩნდა საკმარისი ფსიქო-მოძრაობის პრინციპის ერთმნიშვნელოვნად აღსაღიარებლად, ვინაიდან აღნიშნული კავშირი ხშირად ირლვევა და სუბიექტი არ ინტერპრეტირდება როგორც აგენტი. მოცემული თეორია ვერც ზოგიერთი ზმნიზედის (მაგ.: „personnellement“) დისტრიბუციის საკითხს წყვეტს, როდესაც ეს უკანასკნელი სიღრმისულ სტრუქტურაში სუბიექტს, ხოლო ზედაპირზე ობიექტს უკავშირდება.

ტრანსფორმაციულ ანალიზს უპირის-პირდება **სემანტიკური**, იგივე თემატური ანალიზი, კერძოდ კი **გუბერის**, **ჯეპენ-დროფისა** და **ფილმორის** კონცეპციები, რომელთა თანახმად, სემანტიკურად მსგავსი და ხშირად ომონიმური ზმნები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველი (A) ჯგუფი ზმნის „mépriser“-ს, ხოლო მეორე (B) – „dégouter“-ს მსგავსად იქცევა. ტრანსფორმაციული მიდგომის მიხედვით, განსხვავებები, ძირითადად, ზედაპირული სტრუქტურის დონეზე აისახება.

თემატური პიპოთეზის მიხედვით კი, ყმალა განსხვავება სიღრმის სტრუქტურაში აისახება და ზმნის მკაცრი ქვეპატეგორიზაციის მახასიათებლებზე დაყრდნობით მუშავდება. A და B კლასის ზმნებს შორის არსებული ურთიერთობიმართვა გამოხატავს

პროცესს, რომლის NP სუბიექტი მოცემული პროცესის მიზეზია, თვით პროცესი კი NP-თი გამოხატულ ობიექტზე ახდენს გავლენას. A ჯგუფში ზემოქმედება ფიზიკურია, ხოლო B ჯგუფში – ფსიქოლოგიური, მენტალური. მაგრამ, საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ჯგუფებს შორის არსებული მკაფიო დიქოტომია ხშირად ირლვევა სემანტიკურად გარდამავალი ზონების არსებობით.

ფილმორი ზმნათა შორის სემანტიკურ განსხვავებებს ბრუნვათა თეორიის ფარგლებში იხილავს. მეცნიერი A ჯგუფის ანუ ფიზიკური მოქმედების ზმნების კლასში ორ სემანტიკურ კლასს გამოიყოფს. ესენია: „მდგომარეობის შეცვლის ზმნები, (როდესაც ობიექტი იცვლის მდგომარეობას) და „ზედაპირთან შეხების ზმნები“. პირველი ჯგუფის ზმნებს კაუზატიური ხასიათი აქვთ და საქმე „ობიექტურ“ ბრუნვას, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – „ლოკატივს“ ეხება. დიქოტომია დასახელებულ კლასებს შორის ნაკლებ მკვეთრია, ვინაიდან საერთო მახასიათებლები და განსხვავებები ორივე კლასში მოიპოვება. A ტიპის ზმნები ხშირად იყენებენ წინდებულიან ლოკატივებს, ხოლო B ტიპისა – ნაკლებად. თუმცა, ზოგჯერ, A ტიპის „ზედაპირის კონტაქტის“, გამომხატველ და „მდგომარეობის შეცვლის“, ზმნებს შორის განსხვავების პოვნა საკმაოდ ჭირს და ბრუნვათა შორის, ან თემატური განსხვავებანი ხშირად იშლება.

რიუვე არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს ე.წ. მარკირების თეორიაში ხედავს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ზმნას მიეწერება თავისი ლექსიკური რებრიკა და ცვლადი ან არაცვლადი [F/UF] მახასიათებელი თეორიის მიხედვით:

1. თუ ლექსიკაში არსებობს ფიზიკური ქმედების მქონე გარდამავალი ზმნა, მაშინ არსებობს ფსიქოლოგიური ზმნა – ომონიმი;

2. თუ ლექსიკაში არსებობს ზმნა, რომლის ობიექტი არის „ადგილი“, არსებული ურთიერთობიმართვა გამოხატავს

ბობს ზმნა-ომონიმიც, რომელიც აღნიშნავს მდგომარეობის შეცვლას;

3. ფსიქოლოგიური ზმნა ამავე დროს მდგომარეობის შეცვლის ზმნაც არის.

4. ფსიქოლოგიური ზმნისთვის ნორმა-ლურია ფიგურირებდეს NP1 être [Avant][pour NP2] ჩარჩოში.

აღსანიშნავია, რომ მოცემული თეორია მხედველობაში არ იდებს „ფსიქოლოგიური“ ზმნების მეტაფორულ და არამეტაფორულ მნიშვნელობას.

ზმნები „amuser“ და „manquer“ ირჩევენ არათემატურ გარეარგუმენტს. დამხმარე ზმნის სელექცია არ განიხილება, ვინაიდან ამ ტიპის ყველა ზმნა იუდლება ზმნით „avoir“. უპირო გამოთქმა აიგება არათემატური გარეარგუმენტით, რომლის ადგილი უჭირავს ცარიელ il-ს. გარდამავალი და არაერგატიული კონსტრუქციები არაგრამატიკულია, რადგან ორივეს აქვს თემატური გარეარგუმენტები. უპირო გამოთქმა სწორია არააკუზატივებითა და აასიური ფორმით.

ბურციო მიუთითებს, რომ il-იანი უპირო კონსტრუქციები დასაშვებია მხოლოდ არათემატურ გარე არგუმენტიან ზმნებთან. პრეზენტატივები შეიძლება აიგონ CP დამატებით:

- Il m'ennuie de partager avec les filles.
- Il m'étonne que M.Mauriac vous représente un idéologue.

ვინაიდან CP-ები არ არიან ბრუნვით მარკირებულნი, მეორე შინაგანი ბრუნვის არქონას არ მოაქვს შედეგი CP დამატებებისათვის.

თავისუფალი on არაგრამატიკულია manquer/amuser-სთან, quelqu'un (n'importe qui)-ის მნიშვნელობით. Nous-ს ინტერპრეტაცია ხშირად მისადებია და არა თავისუფალი:

- Dans ce pays lointain, on adore les idoles.
- On a bien amusé les enfants hier soir.

გამორიცხული არ არის თავისუფალი ინტერპრეტაციაც კონტექსტის არაარსებითი შეცვლით:

a. On ne manque jamais de respect à sa mère.

b. On amuse les enfants si on ne veut pas qu'ils soient désagréables.

მხოლოდ თემატური გარეარგუმენტები მართვებს უკუქცევითებს. გამონაკლისია ზმნები „manquer“ და „amuser“ :

- Les enfants se lavent les uns les autres.
- Les païens s'adorent les uns les autres.
- *Les enfants se manquent les uns les autres.

b. *Les enfants s'amusent les uns les autres.

ფრანგულ ენაში ნამდვილი გარდამავალი და გარდაუგალი (არაერგატიული) ზმნები კაუზატიურ კონსტრუქციებში არგუმენტის გარეშე ჩაერთვებიან.

დასკვნა

ფსიქოლოგიური ზმნების ანალიზის პროცესში ენათმეცნიერთა ყურადღება შემდეგმა თავისებურებებმა მიიპყრო:

1. ფსიქოლოგიური ზმნები მიაწერენ თემატურ როლს პაციენსს, ხოლო თემას – ობიექტს. საკმაოდ ბუნდოვანია, თუ რატომ ნაწილდებიან სხვადასხვა ადგილებზე მოცემული როლების მატარებელი არგუმენტები. მეტად გაჭირდება დასახელება სხვა ზმნური კონსტრუქციისა, სადაც ზედაპირულ სტრუქტურაში, აგენტის როლის მქონე არგუმენტი ხან ქვემდებარის ხან პირდაპირი ან ირიბი დამატების ადგილს დაიკავებს.

2. ზოგიერთმა ლინგვისტმა (ლაკოფი, პოსტალი) შენიშნა, რომ პირველ და მეორე კლასში გაერთიანებული ზმნები სემანტიკური არგუმენტების დისტრიბუციით, ხშირად, ერთნაირები არიან. ზოგიერთი ზმნა სხვა ზმნის თემატურ შებრუნებას წარმოადგენს, ზოგიერთ ზმნას კი თავად გააჩნია ცვლადი მნიშვნელობა. მნიშვნელობის ცვლა და თეტა როლების დისტრიბუცია პრობლემურს ხდის თემატური და არგუმენტული სტრუქტურების ურთიერთდაკავშირებას.

3. ფსიქოლოგიურ ზმნებზე დაკვირვების პროცესში მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარეარგუმენტთა არათემატურობის საკითხი, ვინაიდან ფსიქოლოგიური ზმნების შემცველ წინადადებათა არცერთი არგუმენტი არ წარმოადგენს ნამდვილ აგენტს და თემატურ იერარქიაში, თითოეული არგუმენტის თეტა როლი აგენტის როლზე დაბლა დგას.

4. არააგზატიურ ზმნათა არათემატურობა ისევე იქნა აღიარებული, როგორც გარდამავალ ზმნათა გარეარგუმენტის თემატურობა. არამიცემითი ზმნების სუბიექტის არათემატურობა კი პირდაპირ კავშირშია ბრუნვის შეწყვეტის საკითხთან, რაც ბურციოს განზოგადების ძირითადი დებულებაა.

უკუანაფორა წლების მანძილზე წარმოადგენდა ლინგვისტთა დავის საგანხ. ზოგიერთი ზმნა (მაგალითად, amuser) ეგუება ისეთი ანაფორის ხმარებას, რომელსაც შეიცვას სუბიექტი და აბამს ირიბი ან პირდაპირი ობიექტი, რითაც ირღვევა c-commandის შეზღუდვა, ტიპური გარდამავლების საპირისიროდ.

ლიტერატურა

1. Belletti A. and Rizzi L.(1988): Psych Verbs and Theta Theory. *Natural Language and Linguistic Theory* 6 :291-352
2. Burzio L. (1986): Italian Syntax. Dordrecht: Kluwer
3. Jackendoff R. (1987): The status of thematic relations in linguistic theory. *Linguistic Inquiry* 18, 369-412
4. Grimshaw J. (1990): Argument Structure. Cambridge, Mass: MIT Press
5. Pesetsky D. (1995): Zero Syntax - Experiences and Cascades. Cambridge, Mass: MIT Press
6. Postal P. (1971): Crossover Phenomena. New York: Holt, Reinhart and Winston

7. Ruwet N. (1972): Théorie syntaxique et syntaxe du français. Paris: Editions du Seuil

Psychological Predicates

Tamar Katsanashvili

Tbilisi State University

Faculty of Humanitarian science

36 Chavchavadze aven., 0179. Tbilisi, Georgia

Tel.: 595 223 723

E-mail : t_katsanashvili@yahoo.fr

Abstract

Linguists examine psychological verbs and concept of psycho-motion in different ways. They examine them from the point of view of transformative concept, from the semantic position and subject analysis. Each approach has its supporters and its enemies.

This article represents the reasons of the well-known linguists: Beletti and Rizi, Grimshaw, Pesetski, Ruve, Postal, Huber, Jekendrof, Filmor and Burcio, connected with those problematic questions, which relate to distribution of the psychological predicates subject roles in French language.

Keywords:

psychological verbs, experiencer, subject, variation, subject roles, psycho-motion.

Психологические предикаты

Кацанашвили Тамара Демуриевна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

пр. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел : 595 223 723

E-mail : t_katsanashvili@yahoo.fr

Резюме

Лингвисты по разному рассматривают психологические глаголы и понятие психодвижения. Они рассматривают их с точки зрения трансформативной концепции, с позиции семантического и тематического анализа. Каждый подход имеет своих сторонников и своих противников.

В статье представлены доводы известных лингвистов: Белетти и Ризи, Гримшоу, Песецкого, Рюве, Посталая, Губера, Джекендрофа, Филь-

мора и Бурцио, связанные с теми проблемными вопросами, которые относятся к дистрибуции тематических ролей психологических предикатов во французском языке.

Ключевые слова :

психологические глаголы, экспериенцер, тема, вариации тематических ролей, психо-движение.

გასტრონომიზმები ფრანგული არგოს ფრაზეოლოგიურ სისტემაში

ლოდიტა თაბუშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 468 184
E-mail: ltabuashvili@yahoo.fr

ციური ახელედიანი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediavi@yahoo.com

၁၂၆

ფრანგულ სამწერლო-სალიტერატურო
ენაში მიმდინარეობს არგოს ელემენტთა
შექრის მზარდი პროცესი. ლინგვისტთა
აზრით, არგო, თავისი არსით, მეტაფორული
ლექსიკონია და უპირატესად მეტაფორულ
ფუნქციებს ასრულებს ენაში: ქმნის ისეთ
ლექსემებს, რომელთა ეკვივალენტებიც არ
გააჩნია სალიტერატურო ენას; აძლიერებს
ენის ექსპრესიულობას; ასრულებს გან-
ზრახვათა ირიბი გადაცემის ფუნქციას და
სხვა.

ცნობილია, რომ ფრანგები მნიშვნელო-
ვან ყურადღებას უთმობენ გასტრონომიას.
ეს ეროვნული მახასიათებელი ნიშანი
ფართოდაა ასახული არგოში; მრავალი
არგოტიპული ფრაზეოლოგიზმი შეიცავს
გასტრონომიულ სახელწოდებათა კომპო-
ნენტებს. გასტრონომიზმებში იგულისხმება
ბოსტნეულის, ხილის, კვების პროდუქტების,
სასმელებისა და კერძების დასახელებათა
შემცველი ლექსიკური ერთეულები.

გასტრონომიზმები ხშირად ასრულებენ კომპარატივულ ელემენტთა როლს, განსაკუთრებით ფრაზეოლოგიზმთა თემატურ ჯგუფებში: ადამიანის ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციურ – ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ინტელექტუალური თვისებები და სხვ.

საკვანძო სიტყვები:

გასტრონომიზმები, არგო, მეტაფორა, ფრა-
ზეოლოგიზმები.

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკური და
ფრაზეოლოგიური არგოტიკული ერთეულებ-
ბის შექმნაში ასევე მონაწილეობს მეტონი-
მია და ჰიპერბოლაც, მეცნიერთა აზრით,
ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მეტაფორას
აკისრია. მეტაფორული არგოს მეტყველე-
ბაში გამოყენების წყალობით, ხორციელ-
დება მეტყველების ექსპრესიული გაჯერება
და მაქსიმალური ლაკონურობა. თვით მე-
ტაფორა ასახავს იმ მსოფლმხედველობას,
ფსიქოლოგიასა და ფსიქიკას, რომელსაც
ადამიანი იყონებს მეტყველებაში.

ძირითადი ნაწილი

ფრანგების დიდი ინტერესი გასტრონომისადმი, რაც ეროვნული ნიშან-თვის ების რანგშია აყვანილი, ნათლადაა ასახული არგოშიც. ადამიანის მახასიათებელი სემანტიკის მქონე მრავალი არგოტიპული ფრაზეოლოგიზმი შეიცავს გასტრონომიული დასახელების კომპონენტს. გასტრონომიულ

მეტაფორათა როლი ფრანგული არგოს სახასითო ფრაზეოლოგიზმთა შექმნაში უზარმაზარია.

გასტრონომიულ ფრაზეოლექსემებს შესაძლებელია არ პქონდეთ არავითარი კავშირი ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობასთან, ასეთ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ ფრაზეოლოგიურ შეზრდას; მაგალითად, არგოტიკულ ფრაზეოლოგიურ შეზრდათა **sentir l'ail, manger de l'ail** სემანტიკა შეუთავსებელია სიტყვების - **sentir „გრძნობა“, manger „ჭამა“, l'ail „ნიორი“** – მნიშვნელობასთან, რადგან აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება ადამიანის სექსუალური ორიენტაციის მახასიათებლებად, მნიშვნელობით « ლესბოსელი ».

ძალიან ხშირად გასტრონომიული სახელწოდებები შეაღგენენ ფრაზეოლოგიზმთა ხატოვან „საყრდენს“, ანუ წარმოადგენენ არგოტიკულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შექმნის პროდუქტიულ წყაროს. ამასთანავე, გასტრონომიულმა ერთეულებმა შეიძლება შექმნან არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმთა ხატოვანი საფუძველი როგორც პირდაპირი გასტრონომიული მნიშვნელობით, ასევე ახლებურად გააზრებული (გადააზრებული) არგოტიკული მნიშვნელობითაც; მაგალითად, ხილთა მრავალი სახელწოდება გამოიყენება არგოში ქალთა სასქესო ორგანოს (**abricot „გარგარი“** – არგო: „ქალის სასქესო ორგანო“) და ქალის მკერდის (**ananas „ანანასი“** – არგო: „ქალის მკერდი“; **orange „ფორთოხალი“, mandarine „მანდარინი“** – არგო: „ქალის პატარა მკერდი“) გამოსახატავად. ამასთან დაკავშირებით, მრავალი გასტრონომიული ფემინიური ფრაზეოლოგიზმი, ანუ ისინი, რომლებიც გამოიყენებიან მხოლოდ ქალთა მახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადმოცემისას, არიან ორხატოვანნი: **avoir l'abricot en folie** – 1). სიტყვასიტყვით: „გარგარის ქონა სიგიჟეში“ 2). „ქალის სასქესო ორგანოს ქონა სიგიჟეში“ – „სექსუალურად აღგზნებული ქალი“; **avoir**

des oranges (des mandarines) sur l'étagère (sur la cheminée) - 1). სიტყვასიტყვით: ფორთოხლების (ან მანდარინების) ქონა თაროზე (ან ბუხარზე), 2). პატარა მკერდის ქონა თაროზე (ან ბუხარზე) – „პატარა მკვრივი მკერდის ქონა“.

ორხატოვან ფუძის მქონე არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმთა ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მეორადი ხატი შეიძლება დაემთხვეს ფრაზეოსემების მნიშვნელობას; მაგალითად: **être une poire molle** - 1). სიტყვასიტყვით: „რბილ მსხლად ყოფნა“, 2). „დოყლაპიად ყოფნა“ – „ჩვარი, უნებისყოფო ადამიანი“.

გასტრონომიზმები ზოგჯერ განიცდიან სტრუქტურულ მოდიფიკაციებს (დამახინჯებას, წაკვეთას, რედუქციური კაციას). ასეთ მოდიფიცირებულ სახელწოდებებს აქვთ, როგორც წესი, განსაზღვრული არგოტიკული მნიშვნელობები, რომლებიც ქმნიან ფრაზეოლოგიზმთა მეორად ხატს: **extrait de navetou (naveton არგო: „ტუტუცი, რეგვენი, ხეპრე“ < nave ნეიტრ. „თალგამი“) – „გამოუსწორებელი ტუტუცი, საშინელი ხეპრე“.** ამასთანავე, მოდიფიცირებულ გასტრონომიზმებიანი ფრაზეოლოგიზმები გამოიყენებიან პროტოტიკულ გასტრონომიზმებიან ფრაზეოლოგიზმებთან ერთად.

გასტრონომიულ არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმთა დიდი რაოდენობა შეინიშნება ფრაზეოლოგიურ-თემატურ ჯგუფში „ადამიანის გარეგნული იერი, სახე“. ადამიანის გარეგნული მომხიბელებლობის გადმოსაცემად გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები გასტროსემით **jus „წვენი“: jeter du (son) jus – „შთაბეჭდილების მოხდენა; შნოიანად, მოხდენილად, პეტიანად, ბრწყინვალედ ყოფნა“.**

ადამიანის კანის ფერის ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში, საყრდენ კომპონენტებს წარმოადგენენ კვების იმ სხვადასხვა პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც აქვთ თეორი ან ძალიან ბაცი ფერი: **être bronzé comme un pot**

de crème fraîche – (სიტყვასიტყვით: „გარუჟული როგორც არაუნიანი ქოთანი“) – „მაღლიან თეთრი კანის ქონა“. მაღალ ადამიანს ადარებენ **სატაცურს:** **asperge montée (en graine)** – (სიტყვასიტყვით: „დიდი ან გრძელი სატაცური“) – „მაღალი ტანის ქონე ადამიანი“. უსიამოვნო, საძაგელი, აუტანელი სახის გადმოსაცემად გამოიყენება სხვადასხვა გასტრონომიული მეტაფორა: **face de crabe (de navet, d'œuf, de lard)** - (სიტყვასიტყვით: „კიბოს [თალღამის, კვერცხის, ღორის ქონის] სახე“ – „საზიზდარი სიფათი“. დიდ ცხვირს ადარებენ ბრის (ფრანგული ყველის) მეოთხედს: **quart de brie** – „უზარმაზარი ცხვირი, სარჩილავი“. ადამიანის სიმსუქნე გადმოიცემა წვნიანით კუჭის ამოვსების ხატით: **(un gros) plein de soupe** - (სიტყვასიტყვით: „[სქელი] წვნიანით სავსე“) – „ქონიანი, ჩასუქებული, სქელი ადამიანი“.

ფრაზეოლოგიურ-თემატური ჯგუფის - „ადამიანის გარეგნული იერი, შესახედაობა“ – ფემინიურ ფრაზეოლოგიზმებში, გასტრონომიული მეტაფორა გამოიყენება ქალის მკერდის დახასიათების გადმოსაცემად; ამისათვის ამჯობინებენ სხვადასხვა კერძების ხატებს, მათ შორის ყველაზე ხშირად კვერცხისაგან მომზადებული კერძებისა: **œufs sur le plat** - (სიტყვასიტყვით: „აუთქვეფელი ერბო-კვერცხი“) – „ქალის პატარა, ბრტყელი (მიტყეპნილი) მკერდი“.

მრავალი მასკულინური ფრაზეოლოგიზმი, ანუ ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც იხმარება მხოლოდ მამაკაცთა დასახასიათებლად, აგებულია გასტრონომიულ ხატებაზე. გაუპარსავი ან ცუდად გაპარსული სახისათვის იყენებენ ორცხობილის ხატს: **rasé à la (avec une) biscotte** – (სიტყვასიტყვით: „ორცხობილით გაპარსული“) – „გაუპარსავი ან ცუდად გაპარსული“. მელოტი თავის მახასიათებლად გამოიყენება ნესვის ან ქოქოსის ხატი: **avoir le melon (le coco) déplumé** - (სიტყვასიტყვით: „გაპუბული, ბეწვევაცლილი ნესვის [ან ქოქოსის] ქონა“;

„გაპუბული თავის ქონა“ – „გამელოტება“.

გასტრონომიული თემატიკის ერთეულები ასევე პროდუქტიულია ფრაზეოლოგიურ-თემატური ჯგუფის – „ადამიანის ინდივიდუალურ-პიროვნული ნიშნები“ – არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმებში. უარყოფით ნიშანთა შორის დომინირებს **სიხარბე:** **verser (servir) le potage à la seringue** (სიტყვასიტყვით: „დაასხა (მიართვა) წვნიანი შპრიცით“) – „სიხარბე; კანკალი თითოეულ წვეთზე, თითოეულ ნამცევზე“; **chercher à (trouver à) tondre (sur) un œuf (sur les œufs)** - (სიტყვასიტყვით: „ეძებო [ან იპოვო] შესაძლებლობა, რომ კვერცხიდან მატყლი მოკრიჭო“) – „ძუნწობა, ძუნწობით ეკონომიის გაკეთება ყავლაფერზე“; **pain dur** (სიტყვასიტყვით: „ხმელი, გამხმარი პური“) – „ძუნწობი ადამიანი“.

ადამიანის დადებით ნიშან-თვისებებს შორის, რომლებიც გადმოიცემა გასტრონომიული მეტაფორის საშუალებით, ჭარბობს **სიკეთვა:** **une bonne (la meilleure, une excellente) pâte d'homme** (სიტყვასიტყვით: „კარგი [ან უკეთესი, საუკეთესო] ცომი ადამიანისა“) – „გულკეთილი, გულთბილი ადამიანი“.

არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმებში, **სიმბდალე** ასოცირდება **თალღამთან:** **avoir du sang de navet** (სიტყვასიტყვით: „თალღამის სისხლის ქონა“) – „სულმოკლე, ლაჩარი ადამიანი“.

ფრაზეოლოგიურ-თემატური ჯგუფის – „ადამიანის ინტელექტუალური თვისებები“ – ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე შეიცავს გასტრონომიულ ელემენტებს, რომელთაგან მრავალი წარმოადგენს არგოტიკულ სუბსტიტუტს ლექსიკური ერთეულისა – **თავი:** **avoir le coco** - (სიტყვასიტყვით: „ქოქოსის ქონა“) – „ქვეაზე არ მყოფი, შეშლილი“; **(l'autre) pomme à l'huile (à l'eau)** - (სიტყვასიტყვით: „(მეორე) ვაშლი ზეთში (წყალში“) – „სულ მთლად სულელი“; **en avoir dans le chou** - (სიტყვასიტყვით: „მისი (თავის) ქონა კომბოსტოს თავში“), **avoir du chou** - (სიტყვა-

სიტყვით: „კომბოსტოს ქონა, თავის ქონა“ – „საზრიანი, თავიანი ადამიანი“.

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების უარყოფითი მახასიათებლების გადმომცემი ფრაზეოლოგიზმების წარმოქაში პროდუქტიულია თავში **ლაბა-სხმულის** არსებობის ხატი და არა ტვინისა: **avoir de la galantine dans la boîte crânienne** - (სიტყვასიტყვით: „ლაბა-სხმულის ქონა თავის ქალის კოლოფში“) – „სულელი, უტვინო, ინტელექტუალურად შეზღუდული“. გადამწიფებული მარწყვის ხატება გამოიყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც გადმოსცემენ მნიშვნელობას „მარაზმში ჩაგარდნა, საღად აზროვნება-განსჯის უნარის დაკარგვა“: **sucrer des (les) fraises** (სიტყვასიტყვით: „მარწყვის დაშაქრვა“).

დადებითი კონტაციის მქონე ფრაზეოლოგიზმები ხშირადაა აგებული ჭკვიანი (გონიერი) ადამიანის თავის ფორმის შედარებით კვერცხთან: **tête d'œuf** - (სიტყვასიტყვით: „კვერცხის თავი“) – „ინტელექტუალი, ერუდიტი“.

გასტრონომიული ერთეულები პროდუქტიულია ჩაკეტილ სტრუქტურიან, პრედიკატულ არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმთა აგებისას, როდესაც ისინი გადმოსცემენ ადამიანის ინტელექტუალური თავისებურებების უარყოფით მახასიათებლებს: **il s'(y) entend comme à ramer des choux** (სიტყვასიტყვით: „მას ეს ისეგე ესმის, როგორც კომბოსტოს მოსავლის ამდებს“) – „მას არაფერი არ ესმის ამ საქმისა, ვერ აზროვნებს“. ასეთ ერთეულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძაბით ფრაზეოლოგიზმებს: **quelle truffe!** (სიტყვასიტყვით: „რა ტრიუფელია (სოკო)“, **quel œuf!** (სიტყვასიტყვით: „რა კვერცხია!“) – „აი სულელი! აი რეგავნი!“.

ფრაზეოლოგიურ-თემატური ჯგუფი – „ადამიანის ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა“ შეიცავს მრავალ ისეთ გასტრონომიულ არგოტიკულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომლებიც გამოხატავენ სექ-

სუალური აღგზების მდგომარეობას. ასეთ ფრაზეოლოგიზმებში, ძირითადად, გამოიყენება ისეთი გასტრონომიული სახელწოდებები, რომლებიც ფორმით გვაგონებენ სახესო თრგანოებს: **avoir la banane** (სიტყვასიტყვით: „ბანანის ქონა“), **avoir le bamboo** (სიტყვასიტყვით: „ბამბუკის ქონა“) – „ადგზებულ მდგომარეობაში ყოფნა (მამაკაცის შესახებ)“; **avoir (mettre) le haricot à la portiere** (სიტყვასიტყვით: „გართან ლობიოს ქონა (დადება)“), **avoir le flageolet à la portiere** (სიტყვასიტყვით: „გართან (გარეთ) ფლავოლეს (ლობიოს სახეობა) ქონა“) – „სექსუალურად აღგზებულ მდგომარეობაში ყოფნა (ქალის შესახებ)“. ორსულ ქალბატონს აკავშირებენ ფუმფულა ომლეტთან: **omelette soufflé** (სიტყვასიტყვით: „ფუმფულა ომლეტი“) – „ორსული ქალბატონი“.

გასტრონომიული სახელწოდებები ხშირად გვხვდება კომპარატივულ ელემენტთა სახით, განსაკუთრებით ფრაზეოლოგიურთემატური ჯგუფის – „ადამიანის ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა“ – იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც აღნიშნავენ აღკოპოლური თრობის მაღალ ხარისხს: **bourré(plein) comme une andouille(tte)** (**un boudin, un œuf**) - (სიტყვასიტყვით: „გატენილი (სავსე) როგორც სოსისი (ან სისხლიანი ძეხვი, კვერცხი“) – „გალეშილი მთვრალი“. კომპარატივული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ფრაზეოლოგიურ-თემატური ჯგუფისა „ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა“, კერძოდ, ფრაზეოლოგიურ-სემანტიკური ქვეჯგუფისა - **გაკვირვება-გაოცება: (en) rester (être) comme deux ronds (sous) de flan (de frites)** - (სიტყვასიტყვით: „დარჩე (ან იყო) როგორც ორი მრგვალი დვეზელი ნაღუდი კრემით (ან ორი კვერი შემწვარი კარტოფილისა)“, **en être (rester) comme une saucisse (une tomate, une tourte)** - (სიტყვასიტყვით: „იყო (ან დარჩე) ამისაგან როგორც სოსისი (ან პომიდორი, დვეზელი)“ – „გაოცებისაგან, განცვიფრებისაგან გაშტერება“.

გასტრონომიული მეტაფორა პროდუქტიულია პოლისემიური მახასიათებელი ელემენტების შექმნისას, რადგან გასტრონომიული ხატი, საქმაოდ ხშირად, ბევრის მომცველია. პოლისემიური გასტრონომიული არგოტიკული ფრაზეოლოგიზმების ანალიზმა მათში გამოავლინა სემანტიკის ორგორც დავიწროების, ასევე გაფართოების ტენდენციები. მაგ., ფრაზეოლოგიზმში - *être dans le (en plein) potage* (სიტყვასიტყვით: „ყოფნა (საგსე, სრულ) წვნიანში“) – 1). „გაურკვევლობაში ყოფნა“, 2). „მძიმე მდგომარეობაში ყოფნა“, 3). „გონების დაკარგვა, გულის შეღონება, გულის წასვლა“ – მესამე მნიშვნელობა დაყვანილია ადამიანის მაქსიმალურად ვიწრო დახასიათებამდე. ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობების დავიწროება შეიძლება დავიდეს ამ არგოტიკულ ერთეულთა გენდერულ არჩევითობამდე, მათი განსაზღვრული მნიშვნელობით; მაგ., ფრაზეოლოგიზმის - *faire sa poire* - (სიტყვასიტყვით: „საკუთარი მსხლის გაკეთება“, საკუთარი სახის გაკეთება“) სამი მნიშვნელობიდან – პირველი ორი მნიშვნელობა: - 1). „ყველაფრით უცმაყოფილება, ბუზზნი, ჯუჯღუნი“, 2). „ცხვირის აწევა, დიდი წარმოდგენის ქონა საკუთარ თავზე“ – ორიენტირებულია ორივე სქესის პიროვნებათა დახასიათებაზე, მესამე მნიშვნელობა კი – 3). “უკარებად წარმოადგინო საკუთარი თავი (ქალის შესახებ)“ – გაცილებით ვიწროა პირველ ორ მნიშვნელობასთან შედარებით, რადგან მას გააჩნია დამატებითი ფრაზეოსემა – **მდედრობითი სქესი.**

გასტრონომიზმები წარმოადგენენ არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმთა ინტენსიფიკატორების პროდუქტიულ წყაროს; მაგ., ფრაზეოლოგიზმში - *bicher comme un pou dans la crème fraîche* - (სიტყვასიტყვით: „გიხაროდეს როგორც ტილს არაუანში“) – „ხარობდე, სიხარულისაგან თავი ადარგახსოვდეს; იყო მეშვიდე (მეცხრე) ცაზე“ – გასტრონომიზმი **crème fraîche** მხოლოდ

ინტენსიფიკატორის როლს ასრულებს, რადგან ფრაზეოლოგიზმი **bicher comme un pou** თავისთავად გადმოსცემს მნიშვნელობას „ხარობდე, სიხარულისაგან თავი ადარგახსოვდეს; იყო მეშვიდე (მეცხრე) ცაზე“.

დასკვნა

ფრანგული არგოტიკული ფრაზეოლოგიური სისტემის განვითარება, გასტრონომიულ მეტაფორათა პროდუქტიულობის ხარჯზე, დაკავშირებულია იმ ექსპრესიულობასთან, რომელსაც წარმოსახავს გასტრონომიული სახელწოდებები. გასტრონომიზმები ყველაზე მეტად პროდუქტიულია არგოტიკულ ფრაზეოლოგიზმთა შექმნის პროცესში, რადგან ისინი გადმოსცემენ ადამიანის გარეგნული სახის, ინდივიდუალურ-პიროვნული ნიშნების, ინტელექტუალურ თვისებათა, ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის მახასიათებლებს. არგოტიკული ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც გასტრონომიული სახელწოდებები წარმოადგენენ კომპარატივულ ფრაზეოლექსებს, როგორც წესი, გადმოსცემენ ალკოჰოლური თრობის ხარისხსა და გაოცება-განცვიფრების ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. გასტრონომიზმები ასევე ასრულებენ ინტენსიფიკატორთა როლს ფრანგული არგოს ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

ლიტერატურა

1. Collin J.-P., Mével J.-P., Leclère Chr (2011): Dictionnaire de l'argot français et de ses origines. Paris

2. Rigaud A. (1971): La langue populaire. Vie et langage. N233

Gastronomisms in Phraseological System of French Argot

*Lolita Tabuashvili
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 468 184
E-mail: ltabuashvili@yahoo.fr*

*Tsiuri Akhvlediani
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediavi@yahoo.com*

Abstract

The increasing process of the penetration of the elements of slang occurs in the French written literary language. By the linguists opinion argo in its essence is metaphorical vocabulary and are fulfilled in the language the predominantly metaphorical functions: created such lexemes, which has no equivalents in the literary language; increase expressiveness of language; it fulfills the function of the indirect transfer of intentions and etc.

It is widely-known that the Frenchmen focus significant attention on delicatessen. This national feature is widely reflected in the argot. Most of argot phraseologisms have gastronomical designations in their component. Gastronomisms are lexical units with the of vegetables, fruits, food products, beverages and dishes values. They frequently come out as the comparative elements, especially in the subject groups of the phraseologisms: „Physiological and physical state of man“, „is emotional - psychological state“, „intellectual characteristics“ and etc.

Keywords:

gastronomisms, argot, metaphor, phraseologisms.

Гастрономизмы во фразеологической системе французского арго

*Табуашвили Лолита Константиновна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 468 184
E-mail: ltabuashvili@yahoo.fr*

*Ахвледиани Циури Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediavi@yahoo.com*

Резюме

Во французском письменно-литературном языке происходит нарастающий процесс проникновения элементов арго. По мнению лингвистов, арго по своей сути представляет собой метафорический „вокабуляр“ и выполняет в языке преимущественно метафорические функции: создает такие лексемы, для которых нет эквивалентов в литературном языке; усиливает экспрессивность языка; исполняет функцию косвенной передачи намерений и др.

Общеизвестно, что французы обращают значительное внимание на гастрономию. Эта национальная черта широко отражена в арго. Многие аргофразеологические единицы имеют в своем компонентном составе гастрономические наименования. Под гастрономизмами понимаются лексические единицы со значением овощей, фруктов, продуктов питания, напитков и блюд. Гастрономизмы часто выступают в качестве компаративных элементов, особенно в тематических группах фразеологизмов: „Физиологическое и физическое состояние человека“, „Эмоционально – психологическое состояние“, „Интеллектуальные свойства“ и др.

Ключевые слова:

гастрономизм, арго, метафора, фразеологизмы.

ევროპული მოდერნისტული რომანის ძირითადი საფუძვლები

ნატო თხილავა
თბილისის პუმანიტარული უნივერსიტეტი
ევროპისტიკის დეპარტამენტი
ჩოლოფაშვილის გამზ. №53, 0113, თბილისი,
საქართველო
ტელ: 595 746 415
E-mail: meri.meri_001@yahoo.com

რეზიუმე

მოდერნისტული რომანი უწინ არსებული რომანის სხვა ტიპებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში შეხედულება სამყაროზე პერსონაჟების ცნობიერებაში იკვეთება და არა სამყაროსადმი მათ უშუალო დამოკიდებულებაში.

ბიურგერობა მოდერნისტული რომანის გარემოა და მისადმი მიმართებაში ახალი სუბიექტი აგებს ახალ ტრანსცენდენტს, სადაც იხსნება სამყაროს არა მხოლოდ ნათელი, რაციონალისტური შრეები, არამედ „სიბნელეც“. აქ გმირს შეუძლია სინამდვილეს გაექცეს... ასეთი რომანტიკა ერთ-ერთი ნიშანია მოდერნისტული რომანისა. ეს რომანტიკა სხნას არ გვიხატავს. ის ხშირად მელანქოლიის გამომხატველია და აღძრავს უპერსპექტივობის განცდას.

საქვანძო სიტყვები:

პოეტური შიფრები, სიბნელე, რომანტიკა, ახალი ტრანსცენდენტი, ტოტალურობის რეპრეზენტაცია.

შესავალი

რომანის ჟანრს განვითარების ვრცელი ისტორია აქვს. ევროპული ლიტერატურის დინამიკიდან გამომდინარე, განსხვავებულ ეპოქებში ის სხვადასხვა ნიშან-თვისებებით ხასიათდება. მაინც რით განსხვავდება ევროპის მოდერნისტული რომანი სხვა ტი-

პის რომანისაგან?! ამ შეკითხვას ერთმნიშვნელოვნად ვერ ვუპასუხებთ. საკითხი ისე მრავალმხრივად შეიძლება იქნას გარჩეული, რომ ჩვენმა მოკრძალებულმა წერილმა ვერც კი დაიტიოს. ჩვენი აზრით, უმთავრესი საკითხის დასმაა და პასუხის გარკვეული სისტემიდან მიება. ასეთ შემთხვევებში პრობლემას ხშირად შეპირისპირებითი ანალიზი პფენის ხოლმე ნათელს. მოდერნისტული რომანის ერთი მთავარი ნიშან-თვისების გამოსაკვთად, ის, როგორც ჟანრი, შევადაროთ მანამდე ჩამოყალიბებული რომანის ნებისმიერ სახეობას. ვიდრე შეგვადებით ამ ამოცანისთვის თავის გართმევას, გვსურს აღვნიშნოთ: XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მოდერნი აღიქმება როგორც სიახლე, რაც ხელოვნების ანტიკურობისგან „გათავისუფლებას“ ნიშნავდა.

ძირითადი ნაწილი

კატეგორია მოდერნი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სტილი და ის მხოლოდ ამდენად აღვიქვათ ჟანრის განმსაზღვრელად. ფრიდრიხ შლეგელი 1797 წელს ნაშრომში „სწავლება ბერძნულ პოეზიაზე“ მოდერნსა და ანტიკურობას ერთმანეთისაგან სილამაზის აღქმით განასხვავებს. შლეგელი ხაზს უსვამს, რომ ანტიკურობისთვის სილამაზე ობიექტურად აღქმადია, ხოლო მოდერნში ესთეტიკურ ძალას სუბიექტი ამჟღავნებს. აქვე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მოდერნი როგორც სტილი და მეთოდი, უფრო ადრეც ჩამოყალიბდა, ხოლო როგორც სკოლამ, მოგვიანებით მოიკიდა ფეხი. კლასიკური მოდერნისტული რომანებია: გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, ალფრედ დიობლინის „ბერლინ ალექსანდერ-პლატც“, ფრანც კაფკას „პროცესი“, მარსელ პრუსტის „ახალი დროის საძიებლად“.

ახლა შეპირისპირებით ანალიზს მივუბრუნდეთ. სიტყვა „romanz“-ი (ლათინურად – romanice) გულისხმობდა ლექსად ან პროზად ფრანგულ ხალხურ ენაზე დაწერილ მოთხოვდას, რომლის ცენტრშიაც წარმოჩნდებოდა სასიყვარულო ისტორია. ამგვარი რომანები, პიერ დანიელ ჰუეტის (1630–1721) აზრით, სალაღობოდ, მკითხველის „თვალთ გასართველად“ იყო გამიზნული; ფრიდრიხ ფონ ბლანკენბურგი თხზულებაში „მცდელობა რომანზე“ (1774) აღნიშნავს, რომ ეპოსისგან განსხვავებით, – რომელშიც ყურადღება ექცევა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, – სასიყვარულო რომანები ე. წ. „შიდა ისტორიებს“ ავითარებენ და ყურადღებას ადამიანის სიღრმისეულ განცდებზე ამახვილებენ. ბლანკენბურგი გამოკვლევაში „მცდელობა რომანზე“ გვეუბნება: „რომანის ავტორი ადამიანის ხასიათის სიღრმეებს თუ ვერ ჩასწვდი, შეიძლება ითქვას, რომ ის ტყუილუბრალოდ გარჯილა“.

ამრიგად, რომანის როგორც ჟანრის თავისებურება გახლავთ ის, რომ იგი ადამიანის აზრებს, გრძნობებს, ოცნებებს წარმოადგენს, ვით სულის ისტორიას, როგორც „მე“-ს მიერ განცდილ სინამდვილეს. ზოგადად, რომანში სუბიექტური ფაქტორი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ეპოსის შემთხვევაში; ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომანში სუბიექტური ფაქტორი აუცილებლად უნდა ჭარბობდეს ობიექტურ ფენომენს, – საქმე ეხება სუბიექტური აზრების აქტუალიზებას, ფსიქოლოგიურ წვდომას ადამიანის სულის სიღრმეებში.

მოდერნისტულ რომანში თხრობის განსხვავებული დონეებიდან აიგება ტრანსცენდენტი: ასე მაგალითად, რაინერ მარია რილკეს რომანში „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“, ასევე პრუსტის რომანში „ახალი დროის საძიებლად“ მოდერნისტული რომანის ფიქტიურ რეალობას „მე“ მთხოვბელი ააგებს. პრუსტი რეალობას მოგონე-

ბიდან გვიხატავს. კაფეას რომანში „პროცესი“ იოზეფ კ პრეინდუსტრიული სამყაროს მსხვერპლიც არის და ამ სამყაროს ნაწილიც... დიობლინის „ბერლინ ალექსანდერ-პლატც“ – ტიპურ ბერლინური რომანია.

თავდაპირველ რომანებში სასიყვარულო ისტორია გადმოცემულია მოვლენათა თანმიმდევრული განვითარების კასკადში და მკითხველის გართობას ისახავს მიზნად. მოდერნისტული რომანი უფრო სხვა დატვირთვას იძენს, იმის მიუხედავად, რომ მასში სუბიექტურ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოდერნისტული რომანი სასიყვარულო ისტორიების გამოხატვას არ უარყოფს. მაინც რით განირჩევა ის რომანის სხვა ტიპებისგან?

პირვანდელი რომანი ობიექტურ ვითარებაზე უშუალოდაა ორიენტირებული. მოდერნისტული რომანი, განსხვავებით სათავგადასავლო რომანისა და ეპოსისგან, ადარ წარმოგვიდგენს მგზავრის თვალით დანახულ სამყაროს; მისთვის სამყარო ცნობიერების გამონაშექია. მოდერნისტული რომანისთვის სამყარო ყოველი პერსონაჟისთვის საერთო ფენომენს ადარ წარმოადგენს; მოდერნისტული რომანის ყველა მოქმედ გმირს არ გააჩნია საერთო ინტერესი: რომანის ამ ახალ ტიპში თავს იჩენს გაუცხოების ელემენტი. გაუცხოება ხშირად რომანის მთავარ თემადაც კი წარმოგვიდგება. საზოგადოებრივი განპირობებულობა „მე“-ს პერსპექტივიდანაა დანახული. მოდერნისტული რომანში „მე“ ფილოსოფიურ-რაციონალური „მე“-სგან განსხვავებულია, – იგი ინტერესს სამყაროს ირაციონალური შრეებისადმიც ავლენს. შევტესბერი გამოკვლევაში „საუბარი საკუთარ არსებასთან“ ხაზს გაუსვამს: „რომანის ავტორმა ადამიანის გულის საიდუმლო უნდა ამოიკითხოს, თუ ის ადამიანის დამოკიდებულებების, მისწრაფებების, სულიერი ცვლილებების შესწავლას დაისახავს მიზნად.“

შვეიცარიელი თეოლოგი გოტჰარდ ჰაიდე-

გერი 1698 წელს თხზულებაში – „რომანგის მითოსკოპია ანუ დისკურსი რომანზე“ აღნიშნავდა: „რომანი ატყვევებს ადამიანის გონებას და მომნუსხველ განცდებს იწვევს, ხოლო ეს რომანის რევოლუციური ბუნების, მასში გამოხატული თავისუფალი შეხედულებების, ცეცხლოვანი გამონათქვამების, თავისუფალი წარმოდგენების შედეგია, რომლებმაც შესაძლოა თავიანთი ზემოქმედების ძალით მკითხველს ჯანმრთელობაც კი დაუზიანონ; ბევრს ძილიც გასტყდომია და ჭამის მადაც დაუკარგავს რომანების კითხვის შედეგად.“

მოდერნისტულ რომანში ობიექტზე სუბიექტის თვალსაწიერიდან წარმოებს თხრობა; მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მოდერნისტული რომანი ხშირად მკითხველის განცდათა სტიმულატორადაც გვევლინება და ზოგჯერ დეპრესიაშიც კი აგდებს მკითხველს.

1856 წელს, როცა „მადამ ბოვარი“ გამოიცა, კრიტიკოსები ფლობერს თავს დაესხნენ: ისინი თითქმის ერთხმად საყვედურობდნენ ავტორს „ადამიანური ბუნებისადმი“ მახინჯი მიღვომის გამო. აკრიტიკებდნენ ფლობერს იმ პესიმიზმის, ცხოვრებაზე იმ შავ-ბნელი წარმოდგენების გამო, რაც, მათი აზრით, რომანიდან გამოსჭვიოდა. იქამდე სასამართლოში საქმეც კი აღიძრა „მადამ ბოვარის“ წინააღმდეგ. ავტორის გარდა, გამომცემლებიც კი წარუდგნენ სასამართლოს. ფლობერი ზემოსხენებულ რომანთან დაკავშირებით წერდა: „დღევანდელი დროიდან გამომდინარე ყოველი გამოსხახულება სატირად აღიქმება, ხოლო რომანში ასახული ისტორიები კი ბრალდებად.“

„მადამ ბოვარიმ“ მელანქოლია აღძრა მკითხველში; მრავალმა რომანიდან ბრალ-მდებლური პათოსი შეიგრძნო, – დიდი იყო რომანიდან მიღებული შთაბეჭდილება; მაგრამ ეს შთაბეჭდილება არ აღმოჩნდა „ნათელი“. აქვე განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ კატეგორიაში – „ნათელი“; რენე დეკარტი

(1596-1650) ადამიანს რაციონალური შემეცნების ცენტრში მოიაზრებს. დეკარტის ფილოსოფიის მიხედვით, ობიექტის შეცნობის მეთოდოლოგია ეფუძნება „მე“-ს, რომელშიც ფიქსირებულია „ნათელი“ იდეაბი. დეკარტის მიხედვით, ყოველივე რაციონალური „ნათელია“. მოდერნისტულ რომანში მთხოვობელის ენა სამყაროს ირაციონალურ, „ბნელ“ ზონებშიც შეიტრება; გმირთა აზრებისა და ქმედებების „ბუნდოვანებას“ წარმოგვიდგნენს. ასეთი ენა, პოეტური განცდებითა და რომანტიკით, „მადამ ბოვარის“ რომანაროდიად წარმოაჩენს. აქ ჩვენ სიტყვა – „ბიურგერი“ ვახსენეთ. აღსანიშნავია, რომ ვილჰელმ ჰეგელი რომანს უწოდებს „მოდერნისტულ-ბიურგერულ ეპოქეას“. ჩვენთვის საინტერესოა ტერმინი – „ბიურგერული“ და ასევე ისიც, თუ რა მიმართება აქვს ამ კატეგორიას მოდერნისტულ რომანთან. ჰეგელის მრწამსით, რომანი ყოვლისმომცემელობით, პოლიპერსპექტივულობით, ტოტალურობით არის – ეპოპეა, ოდონდ ბიურგერული. გეორგ ლუკახი 1920 წელს გამოსცემს ნაშრომს „რომანის თეორია“, სადაც რომანისა და ეპოსის შედარებისას, ეპოსის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს. ლუკახის შეხედულებით, ეპოსი მითიურ სამყაროს გვიხატავს ანუ ისეთ სამყაროს, სადაც ღმერთები, ღემონები, ჯუჯები, ადამიანები, გველეშაპები და სხვ. თანხმობით არსებობენ; ეპოსი შემოქმედებით იმპულსებს სამყაროს უძველესი, პოეტური ვითარებიდან მოიხვეჭს, მოდერნისტული რომანი კი – პროზაულ, პოეზიისაგან დაშრებილ ვითარებას წარმოადგენს. ბიურგერობა არის გარემო მოდერნისტული რომანისთვის. მოდერნისტულ რომანში ბიურგერობაა ტოტალურობის რეპრეზენტაცია, ხოლო ინდივიდი (მადამ ბოვარი) დეზილუზიურად აღიქმის ასეთ სამყაროს. მოდერნისტულ რომანში იკვეთება ის, რომ სამყაროს აღქმის ძველებური ფორმები დარღვეულია, თუმცა ადამიანს აღარ შესწევს უნარი სიახლისათვის

იბრძოლოს. ლუკაზი მის თხზულებაში „რომანის თეორია“ აღნიშნავს: „ჩვენსავე არსში უნდა მოვიძიოთ ჭეშმარიტების სუბსტანცია.“ მკითხველს „მაღამ ბოვარის“ წაკითხვისას მელანქოლია უფლება, რამეთუ ანტიკური ეპონის პოეტურ-მითიური, ნათელი, რაციონალური განცდების ნაცვლად, აქ იგი „ბნელი“ ენობრივი შიფრებით ინდივიდის ბიურგერულ სამყაროსთან მიმართებას ეცნობა. რომანიდან მიღებული შთაბეჭდილება ასახული სამყაროს ანალოგიურია და ამ სამყაროს მკითხველი საკუთარ განაჩენად ადიქვამს. ემა ბოვარის სიყვარული სასახლეების აივნებთან, აბრეშუმის ფარდიან ბუდუარებთან, ხალიჩებით მოფენილ დარბაზებთან ასოცირდება. ემასათვის სიყვარული მატერიალურ კეთილდღეობას უკავშირდება. არსებულ გარემოში ფლობერი ვერაფერს ხედავდა დამაიმედებელს და სანუგეშოს. ამის საბაბს არ იძლეოდა არც რომანში დახატული „სიყვარულის რომანტიკა“.

რომანტიკა მოდერნისტული რომანის ერთ-ერთ ნიშნადაა მიჩნეული, მაგრამ ის არ უნდა აღვიქვათ, როგორც პერსპექტივა, როგორც სულის შემხუთველი გარემოდან ხსნა. მარსელ პრუსტი თავის რომანში „ახალი დროის საძიებლად“ პრეინდუსტრიულ საფრანგეთს გვიხატავს. რაინერ მარია რილკეს მოდერნისტულ რომანში „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ დიდი ქალაქის სივრცეში გადაჰყავს მკითხველი. იოზეფ კ კაფკას მოდერნისტულ რომანში ბანკის თანამშრომელია და ჩინოვნიკური სამყაროს შეზღუდულობას გამოხატავს. დიობლინის ბერლინური რომანი – „ბერლინ ალექსანდერ-კლატც“ ბერლინის სივრცეს გვიჩვენებს.

მოდერნი საზოგადოებაში ახალი სუბიექტის დამკვიდრებასაც გულისხმობს – დიდი ქალაქის ცხოვრებაში კომუნიკაციის ახალი ფორმებია შექრილი: ტელეფონი, ტელეგრაფი, რკინიგზა, მანქანები, მასობრივი პრესა, ახალი მედიასაშუალებები და სხვ. მოდერნი შეიძლება აღვიქვათ, როგორც

ახალი სუბიექტების მენტალობის ცვლილება პრეინდუსტრიულ ეპროპულ საზოგადოებაში. გასული საუკუნის ოციანი წლებიდან „მოდერნი“ ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ესთეტიკის, ლიტერატურული თეორიის ცენტრალურ ცნებადაც წარმოდგება.

ზოგი კრიტიკოსი, მაგალითად, ტალკოტ პარსონი, ზემიურ მარტინ ლიპსენი და სხვ. მოდერნის თემას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ ინდუსტრიულ სამყაროსთან აკავშირებენ. მოდერნის უკავშირებენ სიმდიდრის აკუმულაციას, სოციალურ დიფერენციაციას და სხვა. მოდერნულ ეპოქას რევოლუციურს, გლობალურს უწოდებს ჰანს ულრის ველერი წიგნში – „მოდერნიზმის თეორია და ისტორია“. ველერის აზრით, მოდერნისტული ეპოქა ისტორიულ ცვლილებათა პერმანენტულ პროცესს გამოხატავს.

მოდერნი ისტორიულ ცვლილებებს ასახავს და ამ ცვლილებებს, როგორც სისტემათა ერთობლიობას, საკუთარ არსში მოიაზრებს. ლიტერატურული მოდერნი აერთიანებს: ნატურალიზმს, სიმბოლიზმს, ფუტურიზმს, ექსპრესიონიზმს და სხვა ავანგარდისტულ მიმდინარეობებსაც.

ევროპის მოდერნისტული რომანის განმასხვავებელი ნიშანი სუბიექტურობაა. რეალობა „თავისთავადი“ მოვლენაა და მისი გამოხატვა შეუძლებელი იქნებოდა სუბიექტური აღქმის გარეშე. ადამიანს სამყაროსეული ცოდნა აღქმიდან აქვს მიღებული.

იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814) „მე“-ს აღიარებს შემეცნების ცენტრად. მისი აზრით, ნაღდი და ჭეშმარიტია ის, რის შეცნობაც შეიძლება. სხვა დანარჩენი, იმანუელ კანტის შეხედულებით, „წმინდა გონების კრიტიკა“ – ანუ ის, რის შესახებაც შეუძლებელია რაიმე ცნობა გაგვაჩნდეს. კანტი გონის ფილოსოფიის თვითრეფლექსირებად მიმართებას აყალიბებს და მას უწოდებს კატეგორიას. ადამიანის შემეცნება მსოფლმხედველობრივ სტრუქტურებს რეფლექსუ-

რად მოიაზრებს. თხზვას აწარმოებს აღქ-
მადი, შეცნობადი, შემგრძნები სუბიექტი.

ნოვალისი (1772-1801) „მე“-ს თანამედროვე
ესთეტიკის ამოსავალ პრინციპად აღიარებს.
ეს „მე“ გამოსახატავ თბიექტზე კი არ მია-
ნიშნებს, არამედ იგი ამსახველი „მე“ არის.
„მე“ არის ქმნადობის განმსაზღვრელი. ეს
„მე“ მოდერნისტულ რომანში მთხოვბე-
ლი „მე“-ა, რომელიც განიცდის და ამავე
დროს აკვირდება მოქმედებას. მთხოვბელი,
როგორც პიროვნება, ილუზიას აღძრავს –
თითქოსდა იგი იმყოფებოდეს მოქმედების
არეალში. მოდერნისტული რომანის მთხოვ-
ბელი „მე“ ცნობიერებაში ირკლავს მო-
ქმედებას. მოდერნისტულ რომანში თხოვბა
შეიძლება წარმოებდეს სხვადასხვა დონეზე.
თხოვბის მოდერნისტული სტილი უდიდეს
მნიშვნელობას ანიჭებს დროსა და სივრცე-
ებს. „მე“ თავად წარმოადგენს სივრცეს, საი-
დანაც გრძნობები იფრქვევა. სივრცე ზოგ-
ჯერ დროსთან არის შერწყმული და გამოხა-
ტავს კატეგორიას – „არსად“. „არსად“ არის
ის სავანე, სადაც ადამიანს შეუძლია იყოს
ბედნიერი.

პრუსტი თავის მოდერნისტულ რომანში – „დაკარგული დროის საძიებლად“ პრე-
ისტორიულ საფრანგეთს მოგონების პერ-
სპექტივიდან ხატავს; მალტე – რაინერ მა-
რია რილკეს რომანიდან „მალტე ლაურიდს
ბრიგეს ჩანაწერები“ დაკვირვების პერსპექ-
ტივიდან გვიხატავს საფრანგეთის დიდი ქა-
ლაქის სივრცეს. ამ სივრციდან წარმოდგე-
ბიან მარტობის შიფრირებული ხატები.
შეეჭვება აღიქმება გრძნობადობის მახა-
სიათებლად. თხოვბის პერსპექტივით სა-
მყაროს განსხვავებული ტიპები ყალიბდება:
სამყარო, რაც რეალურადაა აღქმადი და
სამყარო, რაც განკუთვნილია ასოციაციები-
სთვის. სწორედ მთხოვბელის ხმა შეიტანს
კრიტიკულ შენიშვნას გმირთა მიერ აღ-
ქმულ სამყაროში; მთხოვბელი „მე“ რეფლე-
ქსიებშია დამონტაჟებული კაფკას რომანში
„პროცესი“. რობერტ მუზილის რომანში

„უთვისებო კაცი“ ჰეტეროგენული თხოვბა
წარმოებს. ეს თხოვბის ის სახეა, როცა
პერსონაჟი ისეა გატაცებული თხოვბით,
რომ აქტიურად აღარ მოქმედებს. გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ მოდერ-
ნისტულ მსოფლადქმაზე ემოციურად გვაუ-
წყებს. აქ, ისევე, როგორც რილკეს „მალ-
ტეში“, „მე“ მთხოვბელი საკუთარი თხოვ-
ბით ააგებს ფიქტიურ სინამდვილეს. თომას
მანის „ჯადოსნურ მთაში“ დრო და სივრცე
ერთმანეთს ერწყმის და გამოიხატება მთის
სიმბოლიკით. „დაბლობში“ სხვა დროსა და
სივრცეს ვხვდებით.

დასკვნა

მოდერნისტული რომანის სივრცეში ავ-
ტორის მიერ აიგება იმგვარი ფიქცია, სადაც
„მე“ მთხოვბელი თამაშით შემოდის. ამგვა-
რი ხერხით ავტორი საკუთარ თავს ფიქცი-
ად აქცევს. მთხოვბელი ხშირად თავად მო-
ქმედებს, ხოლო ხეიტრალური მთხოვბელი
მოქმედ ფიგურას არ წარმოადგენს. მოდერნ-
ისტულ რომანში ფიქცია აგებულია ფაქტე-
ბიდან. რომანის ფიქტიური სამყარო სინამდ-
ვილიდანაა ნაწარმოები. მოდერნისტულ
რომანში შემოჭრილია ადამიანის დაპირი-
სპირება სამომხმარებლო, ინდუსტრიულ
საზოგადოებასთან. ინდივიდი წარმოდგება
როგორც მსხვერპლი, ვინაიდან მას არა აქვს
შესაძლებლობა, შეიტანოს წელილი საერთო
სასიკეთო საქმეში.

ლიტერატურა

1. Bachtin M. (1985): Formen der Zeit im Roman. Untersuchungen zur historischen Poetik. Übers. Von Adelheid Schramm. Frankfurt a.M.

2. Hegel G. W. F. Ästhetik. 2Bde. Mit einer Einführung von Georg Lukacs. Frankfurt a.M.o.J

3. Lukacs G. (1963): Die Theorie des Romans. Ein geschichtphilosophischer Versuch über die

- Formen der großen Epik. Neudruck Neuwied
4. Martinez M. und Scheffel m. (2005): Einführung in die Erzähltheorie. München (6. Aufl.)
 5. Novalis (d.i Friedrich von Hardenberg): Das philosophische Werk I. Hg. von Richard Saumel in Zusammenarbeit mit Hans-Joachim Mähl und Gerhard Schulz. Stuttgart 1965, Dritte, erweiterte und verbesserte Auflage 1981 (HKA II = Historisch Kritische Ausgabe, Bd. II)
 6. Shaftesbury A. Cooper A. (1981): Third Earl of Shaftesbury: Selbstgespräch. In: Sävtliche Werke, ausgewählte Briefe und nachgelassene Schriften. In englischer Sprache mit paralleler deutscher Übersetzung. Hg., übersetzt und kommentiert von Gerd Hemmerich und Wolfgang Benda. Bd. I.1. Stuttgart. S. 35ff.
 7. Wolf S. (2002): Der Beobachter im Gehirn. Essazs yur Hirnforschung. Frankfurt

Такая романтика один из признаков модернистического романа; она часто выражает меланхолию и создает чувства бесперспективности.

Ключевые слова:

поэтические шифры, темнота, романтика, новый трансцендент, репрезентация тотальности.

Bases of the European Modernist Novels

Nato Tkhilava

Georgian Humanitaria University

Department of European studies

53 Cholokashvili av., 0113, Tbilisi, Georgia

Tel.: 595 746 415

E-mail: meri.meri_001@yahoo.com

Основы европейских модернистских романов

Тхилава Намо Отаровна
Грузинский гуманитарный университет
Департамент европеистики
Пр. Чолокашвили №53, 0113, Тбилиси, Грузия
Тел.: 595 746 415
E-mail: meri.meri_001@yahoo.com

Резюме

Модернистский роман от типов ранее существующего романа отличается тем, что в нем понятие о вселенной отражается в сознании персонажей, а не в их прямом соотношении с миром.

Сферой модернистического романа является бюргерство, субъект создает новый трансцендент, где раскрываются не только светлые, рационалистические уровни вселенной, но и „темнота“, где герой может сбежать от реальности...

Abstract

Modernists novel type is differed from the types of earlier existing with the fact that the universe meaning mirrors in characters consciousness but not in their direct relations with the peace.

The modernists novel subject is Buerger subject creates new transcendent and it hides not only bright and rationalistic levels of the universe, but also „the darkness,“ where the hero can escape reality ... This kind of romantic is one of the modernists novels signs; usually it express melancholy and creates not availability feelings.

Keywords:

poetic codes, the darkness, romantic, new transcent, the representation of totality.

ევროპის მოდერნისტული ლირიკის სტრუქტურული თავისებურებანი

ნატო თხილავა

თბილისის პუმანიტარული უნივერსიტეტი
ევროპისტიკის დეპარტამენტი
ჩოლოფაშვილის გამზ. №53, 0113, თბილისი,
საქართველო
ტელ: 595 746 415
E-mail: meri.meri_001@yahoo.com

რეზიუმე

მოდერნისტი ლირიკოსები: ვალერი, ვერ-ლენი, რემბო, აპოლინერი, სენ-ჟონ პერსი, გარსია ლორკა და სხვ. თავიანთი ლექსის სტრუქტურას აგებენ ახალი პოეტური ში-ფრებით: პერმეტიზმი, სიბნელე, სიტყვათა და წინადადებათა დანაწევრება და სხვა.

მოდერნისტი პოეტები თავიანთი პოეზიით აგებდნენ „ახალ“ ტრანსცენდენტს, სადაც თხრობით ან აღწერით ნაწარმოები რეალობა კი არაა პოეტურად ამაღლებული, არამედ იქ აღძრულია ასოციაციური, შიშისაგან და ცხოვრებისეული ტკივილებისაგან თავისუფალი ახალი შუქი – შუქი სიბნელისა, სა-დაც „პოეზიის ვარდი იწყებს ყვავილობას.“

მოდერნისტული პოეზია უარყოფს, გაურ-ბის სევდას და იმ ყველაფერს, რაც ადა-მიანის ტკივილს უკავშირდება. ეს პოეზია გამოხატავს უშინაარსობას, სიცარიელეს, დირებულებათა კვდომას.

საქვანძო სიტყვები:

ტრანსცენდენტი, პოეტური ნიშნები, სა-მყაროსეული ხატ-სურათები, მოდერნისტუ-ლი ლირიკა.

შესავალი

ევროპული ლირიკის წიაღში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ლექსის ახალი ტიპი

იკვეთება. ამ სიახლეს თვალსაჩინოდ ავ-ლენის შარლ ბოდლერი, რემბო და მალარმე ბოდლერის მიმდევრები არიან; სენ-ჟონ პოეტები საკუთარი პოეზიით გამოხატავენ საერთო ხედვას და მისი ასახვისთვის მსგავს თემებს შეარჩევენ; მათი ლექსები სტილისტურადაც ერთმანეთის მსგავსია, – იდენტურია ცხოვრებისადმი სიმპტომატური დამოკიდებულებაც. ევროპულ ლიტერატუ-რაში მოდერნიზმი იწყებს ფეხის მოკიდე-ბას; მოდერნისტი პოეტებისათვის ამერიკუ-ლი ყდგარ პო და გერმანელი ნოვალისი არიან მისაბამნი.

ძირითადი ნაწილი

ესპანელი კრიტიკოსი რ. გომეს დე ლა სერ-ნა 1943 წელს ლიტერატურული წერილების მთელ სერიას აქვეყნებს სათაურით – Istimos; კრიტიკოსი მოდერნისტებად იხსენიებს იმ პოეტებს, რომლებიც თავიანთი პოეზიით მარადისობას კი არ მიეძღვნებიან, არამედ გაურკვეველ მომავალზე წერენ. მოდერნის პოეტთა მიერ წარსულიდან მომავლის ჭვრე-ბა ატარებს ექსპერიმენტის ხასიათს. ამ-რიგად, მოდერნისტები ევროპის ლიტერატუ-რულ სივრცეს, გარკვეული თვალსაზრისით, ექსპერიმენტატორებად ევლინებიან. ცნება – „მოდერნიზმი“ სიმბოლიზმის შემდეგ გან-ვითარებულ უამრავ სტილს, სკოლასა და მიმართულებას აერთიანებს.

იმის მიუხედავად, რომ მოდერნისტული ლირიკისათვის საერთო სტილია დამახა-სიათებული, მის წიაღში ურთიერთსაპი-რისპირო ტენდენციებიც თავს იჩენენ. ასეთი დაპირისპირება შეინიშნება რემბოსა და მა-ლარმეს ესთეტიკურ აზროვნებაში; რემბოს ლირიკა ფორმის თავისუფლებას გამოხა-ტავს და გამოირჩევა ალოგიკურობით, ხოლო

მალარმე კი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფორმას და გარდა ამისა, მისთვის „უაღრესად მნიშვნელოვანია ინტელექტიც.“

პოლ ვალერი ნაშრომში „სიურრეალიზმის რევიუ“ 1929 წელს მოდერნისტული პოეზიის შესახებ თავის შეხედულებას ასე გამოხატავს: „მოდერნისტულმა ლექსმა ინტელექტის რდვევა უნდა გამოიწვიოს (...) სრულყოფილება ლირიკისა სიზარმაცის ნიშანი გახლავთ.“ ამრიგად, ვალერი ემხრობა მოდერნისტული ლირიკის რემბოსეულ ხაზს.

მოდერნიზმში ინერგება მისწრავება ლექსის ავტონომიურობისადმი; მოდერნისტი პოეტისათვის ლექსი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ხატ-სურათს, რომელიც თვითვე ზრუნავს ფიქციური სინამდვილის წარმოებაზე; მოდერნისტული ლექსის შინაარსი ენობრივი თამაშით, ვიწრო ფანტაზიით, ირეალური მეოცნებეობით უნდა გამოიხატოს; მოდერნისტული პოეზია უარყოფს სენტიმენტებს, ის განუდგება საგნობრივ სამყაროს, რითაც უარიყოფა შეზღუდული მსოფლადქმა, – მოდერნისტულ პოეზიაში გრძნობათა ამოფრქვევა სამყაროსეული ხატ-სურათების ჩვენებისას მიმდინარეობს.

ხსენებულ მოთხოვნათა შესატყვისად, რექტოს პოეზიის ირეალურობა განვენილია „დიად რეალურ“ და „დიად აბსტრაქტულ“ ფენომენებს შორის.

მოდერნიზმი სტილისტურ ანალოგიებს ნერგავს ხელოვნების განსხვავებულ დარგებში და ამიტომაც, კრიტიკოსი ვ. პაუპტმანი ესეიში – „მეოცე საუკუნის მხატვრობა“ მოდერნისტ მხატვრებსა და პოეტებს ერთმანეთისაგან გაუმიჯნავად ასახელებს; კრიტიკოსი პენრი რუსოს, აპოლინერის, მაქს ფაკობის, პიკასოს, ბრაზის, გარსია დორკას, სალვადორ დალის მოდერნისტულ სტილზე საუბრობს.

მოდერნიზმის საერთო ნიშანად აღიარებულია „შინაარსისგან დაცლა.“ იოპან ვოლფგანგ ფონ გოეთე ერთ-ერთ ლიტერატურულ

ღონისძიებაზე პუბლიკას ჰებელის ლექსებს მხოლოდ შინაარსის გადმოცემით გააცნობს; ასეთი რამ შეუძლებელია მოდერნისტულ პოეზიასთან მიმართებაში, რადგანაც მოდერნიზმში აღქმადი საგნები არ გამოხატავენ ბუნებრივ წესრიგს და ამიტომაც, შეუძლებელია, მაგალითად, სენ-ჟონ პერსის ან ელიოტის ლექსების შინაარსის სიტყვიერი გადმოცემა. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მოდერნისტული ლექსის ენობრივ ტექნიკასა და ლექსის სიუკეტებს შორის არ არსებობდეს მძაფრი ურთიერთშეხება; გოტფრიდ ბერი მის საპროგრამო წერილში „თანამედროვე ლექსის პრობლემები“ აღნიშნავს, რომ ლირიკა ანაქრონული ხელოვნებაა.

მოდერნისტული ლექსის ფიქციაში ენობრივი მანიპულაციებითაა შექრილი კატეგორიები: ნორმალური და ჭეშმარიტი. ასეთ ლექსში გამოხატვის მანერასა და შინაარსს შორის წონასწორობა ირდვევა. მოდერნისტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია შეუსაბამობის არსებობა პოეტურ ნიშნებსა და აღნიშნებს შორის. მაგალითად, მოდერნისტულ პოეზიაში საათი კოშკზე დასაშვებია იყოს ტყის ნიშანი, ხოლო ლურჯი ფერი კი დავიწყების ნიშანად წარმოდგეს.

ლექსში პოეტის ფანტაზიითაა შემოჭრილი და ტრანსფორმირებული ნარჩენები ობიექტური სამყაროდან. მალარმეს პოეზია საგანთა სიმცირით გამოირჩევა; მალარმეს ლექსიდან ერთგვარი უწონადობა გამოსჭვივის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანთა სიმცირე მოდერნისტული პოეზიის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენს. ზოგიერთ მოდერნისტულ ლექსში ჭარბსაგნიანობა შეინიშნება, მაგრამ იქაც დაცულია მოდერნისტული პოეზიის ძირითადი პრინციპები, – საგანთა სიმრავლე ხელვის მოდერნისტულ კომბინაციებს ექვემდებარება.

მოდერნისტი ესპანელი პოეტის – ზალინას მრწამსით, მოდერნისტული ლირიკა „სუფთა“ ლირიკაა. ასეთი ლირიკის მთხველი პოეტი „უგულებელყოფს რა საგნებს,

დაძირულია საკუთარსავე არსებაში“, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს „სუფთა პოეზიის“ წინაპირობას. ამრიგად, „სუფთა“ – მოდერნისტული პოეზია არის თემებისა და საგნებისაგან დაცლილი; ეს ლირიკა ენას თავისუფალ სივრცეში კრეატიულად მოძრაობის საშუალებას ანიჭებს; მოდერნის ლირიკაში საგნები წარმოადგენენ ლექსიკურ საშუალებებს. „ფსიქოლოგიზმით გაჯერებულ მასალაში სუფეგს – არაფერი.“

აღსანიშნავია, რომ მოდერნისტული პოეზიის სტილი ავლენს ე.წ. ლიტერატურულ პრეტენზიებს, – „ახალი ენის“ ძიება დრამატულ ხასიათს იძენს.

აპოლინერი ქადაგებს: „პოეტს ახალი ენა უნდა სწუროდეს, რომელსაც გრამატიკასთან საერთო არაფერი უქნება“ (calligrammes). მაინც როგორია მოდერნისტული ლირიკის ახალი ენა? ეს ის ენაა, რასაც რექტო დაჟინებით იყენებს საკუთარ ლექსში. – მოდერნისტული პოეზიის ენა არის დისონანსური, ის ხშირად ხმოვანთა გარეშე აჟღერებს თანხმოვნებს; ეს ენა არის ბრუტალური და ა. შ.

არაგონი მიიჩნევს [Yes Yeus d'Esa. 1924]: „მოდერნისტული პოეზია ოდენ ენის განგრძობითი ახალქმადობის წყალობით არსებობს, რაც ენობრივი ქსოვილის რდვევას იწვევს, რის შედეგადაც გრამატიკული და სამეტყველო წესრიგი ერთმანეთს უთანაბრდება.“ პროგრამულად, სიახლის დანერგვის სურვილი ასახავს სიძველის რდვევას. უეტსი აღნიშნავს: „მე არ ვფლობ ენას; ხელთ მხოლოდ ხატები, ანალოგები, სიმბოლოები მიპყრია.“ ელიოტი აღიარებს: „უსიტყვო ენას, სიტყვას უენოდ.“ სენ-უნ პერსი კი იტყვის: „ჩვენ – მოდერნისტები ვჭრდავთ ახალ ენას და მას ლექსში სიტყვებად ვანაწილებთ“. მოდერნისტი პოეტები ახალი ენით იძიებენ ახალ ტრანსცენდენტს, რაც ცარიელია და განუსაზღვრელია. პოეტს მაუწყებლური მისია ენიჭება ასეთ ტრანსცენდენტში.

კატეგორია – „ახალი ენა“ ზუსტია მაშინ, როცა ის თავის აგრესიულ განზრახვას ახორციელებს. „ახალი ენა“ შოკის მომგვრელია მკითხველისთვის. ბოდლერი მოულოდნელობის პრინციპებს ნერგავს, ხოლო ეს პრინციპი დროთა მანძილზე მოდერნისტული პოეზიის დარგის აღმნიშვნელ ფუნქციას შეიძენს. მოდერნისტული ლირიკის „ახალი ენა“ აგრესიულია, შოკის მომგვრელია მკითხველისთვის. ბრეტონის აზრით, მოდერნისტული პოეზიის „ახალი ენა“ წარმოადგენს „პროტესტის განვრცობას“. მოდერნისტი ავტორი, პროტესტითა გამსჭვალული გარემოსადმი და თავს ესხმის მკითხველს, – შოკისმომგვრელი ეფექტები ავტორსა და მკითხველს შორის უფსკრულს შეაგვებს.

საგულისხმოა, რომ ბოდლერი „ახალი ენისადმი“ მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, 1859 წელს წერდა: „რომანტიზმისგან დაცლილ რომანტიზმს წარმოადგენს მოდერნისტული პოეზია. სიცარიელე, დაფერფლილი რეალობა, სიმწარის განცდა – ესაბ მოდერნისტული ნიშნები.“

მოდერნისტი ფრანსუა ვიონი აღნიშნავს: „მე ვენდობი არაფერს, ვით საკუთარ არსებას“. ასეთ „არაფერში“ გაისმოდა შლის, რდვევის, კრიმინალურობის ინტონაციები, რაც „საინტერესო“-ს რანგში იყო აყვანილი.

აღსანიშნავია, რომ 1801 წელს მადამ დე სტალის მიერ ჩამოყალიბდა ლირიკის ფორმულა, რის მიხედვითაც, ლექსით საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გამოხატულიყო. ასეთი დებულება მოდერნისტულ გემოვნებას არ შეესიტყვება. მოდერნი ეგზოტიკურ ატმოსფეროს ეძიებს და ბიურგერული ატმოსფეროდან ცდილობს თავის დაღწევას. განმარტოება მოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი თემაა. მოდერნისტულ ლექსის ატმოსფეროს ქმნის: სიზმარი, უძილობა, ოკეანე, ფერიები, დამე…

მოდერნისტი ლირიკოსებისთვის მსოფლმხედველობის გამომხატველია სტილი, ხო-

ლო მოტივი კი ვარიაციის სავარჯიშო ელემენტს წარმოადგენს. ვალერის აზრით, ერთი და იგივე სიუჟეტით მოდერნისტმა ავტორმა უამრავი ვარიაცია უნდა აწარმოოს. მოდერნისტული ლირიკა უნდა გამოხატავდეს იდუმალს, საკვირველს. პოეტი თავგადასავალს უნდა ეძიებდეს მისთვის უცნობ ენობრივ სივრცეში.

გოტფრიდ ბენი 1951 წელს საპროგრამო ესეიში – „ლირიკის პრობლემები“ სტილის და ფორმის საკითხებს წამოჭრის და აღნიშნავს, რომ სიმართლეს ლექსში სწორედ ზემოხსენებული კატეგორიები (სტილი, ფორმა) ამკვიდრებენ. ბენი აღნიშნავს: „მე ვარ პრიზმატიკოსი და მინაზე ვმუშაობ ლექსის თხზვისას.“ ვალერის მრწამსით, პოეტი ლექსში მეტრული ფორმებით სპირიტუალურ თამაშობებს აწარმოებს, – პოეტური ქაოსიდან ასე იძერწება ფორმა.

მოდერნისტი პოეტი კონტრასტის აგებით ლექსის მეტრული სიზუსტის განსაკუთრებულობას ავლენს. აი, ეს მრწამსია განკუმანურების პარადოქსი. იაკობ ბურკარტი ლექსის შინაარსებად აღიქვამდა საგნებს. საგნები – პური, სიგარები, სანთელი, – პონეის პოეზიაში წარმოადენენ ლექსის შინაარსებს.

ნაშრომში „ლირიკული ფენომენოლოგია“ სარტრი ფიქტიური „მე“-ს შესახებ საუბრობს, რომლის მარტივი, რეალიზმს მოშორებული ენა დეფორმაციის გამომწვევია. დიქტატორი „მე“ შეგრძნებებს ინადგურებს, მას თავისუფლება სწადია და ამიტომაც, სამყაროდან თავს განიდევნის. ასეთი თავისუფლება არის შიშისმომგვრელი. ამგვარი შიში იგრძნობა სენ-ჟონ პერსის პოეზიაში. შიშს აპსოლუტურ ტკივილს უწოდებს აუდენი. მოდერნიტული პოეზია ამგვარი შიშის გამო უუცხოვდება სანდოს, გაურბის მახლობლურს და სიშორეს ეტანება. შიში ადამიანთა შორის კონტაქტს არღვევს. „პოეტმა სიყვარულსა და მეგობრობაშიც ანტიპატიური უნდა დალანდოს, რაც პიროვნე-

ბათა შორის წარმოიქმნება.“ სიშორეა ადამიანური სიახლოვე, – ეს არის მოდერნისტული ლირიკის თემა. უნგარები აღნიშნავდა, რომ მოდერნისტ პოეტს „სიშორის სიახლოვე“ უნდა შეეგრძნო.

ალბერტი ორმხრივ დავალებას აძლევს ენას, – ენა ერთდროულად აზრის გამომხატველიც უნდა იყოს და დამფარველიც. „სიბნელე, ესთეტიკურ პრინციპად უნდა წარმოდგეს. მოდერნისტულ ლექსში ენას მაუწყებლური ფუნქცია არ უნდა გააჩნდეს. პატეგორიასთან „სიბნელე“ დაკავშირებულია გაგების ფენომენი.“

ესპანელი პოეტი სარინასი თხზვის მაღალ ფორმას უწოდებს ლექსს და ეს სიმაღლე, პოეტის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ლექსი არ მთავრდება დაწერისთანავე, მოდერნისტული ლექსი დუმილში, მკითხველში, ავტორში, საკუთარ არსებაში უნდა ეძიებდეს საკუთარ არსს. სენ-ჟონ პერსი მიიჩნევდა: „დამის პირმშოა სიბნელე, პოეტური სიბნელე მისტერიიდან, სულიერი სიბნელიდან მომდინარეობს, რაშიც უნდა დაიძიროს პოეტის არსება.“ სიბნელე გარესამყაროს ნიდაბს წარმოადგენს, ის ხმაურს, მომაკვდინებელ ამქვეყნიურ ყაყანსაა გაშორებული; თავის მხრივ, სიბნელე შუქს წარმოქნის, რაც რეალურის უგულებელყოფით მიიღწევა. სიბნელის შუქში პოეზიის ვარდი ადმოცენდება და კოკორი ფურცელობას იწყებს. საგულისხმოა, რომ ვარდი მაღარმესთან წარმოადგენს პოეტური სიტყვის სიმბოლოს.

უნგარები, მონტანე, კუაზიმოდო ე.წ „ბნელი“ პოეზიის სიმბოლოდ მიიჩნევენ პერმეტიზმს. დანურსოს მრწამსით, ე.წ წმინდა პოეზიისათვის (poesie pure) „ენობრივი სიბნელის“ გარდა, მნიშვნელოვანია ფრაგმენტულობა; მოდერნისტულ პოეზიაში ე.წ ტონალურ ფორმულებად წარმოდგებიან სიტყვის ფრაგმენტები. ისინი მოძრაობები, იხსენებენ, გამოსცემენ შუქს, თრთიან, შემოაქვთ სიცხადე. სიტყვების ასეთი დინამი-

კა აბსტრაქტულია და გამოხატავს უმნიშვნელო მოვლენის იდუმალებას. ლექსის ფინალი ინარჩუნებს სიზუსტეს იმით, რომ არ ამჟღავნებს საიდუმლოს. ლექსის სიმშვიდე ფინალს გვაუწებს. ენის სიბრძლიდან იდუმალება მოედინება, რაც მკითხველმა უნდა შეიცნოს.

რილკე თავისი „ორფეოსის სონეტების“ შესახებ აღნიშნავდა, – „სონეტს ანუ უნდა იცნობდე ან უნდა ამოიცნო.“ მოდერნისტული ლექსის იდუმალება ენობრივი მაგიითა გამოწვეული. ანრი ბერგსონი [Les donnes immédiates de la conscience. 1889] საუბრობს მოდერნისტული პოეზიის ენობრივ მაგიაზე. მკითხველზე ზემოქმედება სწორედ ენობრივი მაგიით წარმოებს, რაც მკითხველზე შესაბამის შთაბეჭდილებას ახდენს. ენობრივი მაგია მკითხველს წყვეტს რეალობიდან და „ბნელი თხზით“ მას ახალ ტრანსცენდენტოან აზიარებს. ელიოტი, მალარმე იყვნენ ე. წ. „ბნელი თხზის“ პოეტები. სალინასი წერდა: „პოეზია იმ მაღალ ფორმას ესწრაფვის, რაც გაუგებრობას იწვევს. უკვე დაწერილი ლექსი აღძრავს დაუსრულებლის შეგრძნებას, იგი არაა შემწყდარი; შეთხული ლექსი საკუთარსავე წიაღში ეძიებს ახალ ლექსს. სიბრძლე ახალი სიტყვებით, ანორმალური მეტაფორებით აიგება, რათა სიღრმისეული სამყარო გაიხსნას და გარე სამყარო წაიშალოს. ლექსის ფიქცია მოკვდინებას, ხმაურს აბათილებს და სიბრძლეს აგებს, რეალურის არარსებობას შუქში აფიქსირებს. ლექსი სიბრძლის შუქში გაფურჩქნილ ვარდად ხარობს.“

ვალერის, გარსია ლორკას, ელიოტისა და სენ-ჟონ პერსისათვის ხელოვნებას სიტყვა წარმოადგენს, – მათთვის არსებობს მნიშვნელოვანი ლექსის გერბალური ტრანსცენდენტი ანუ ის, რომ ლექსი, ვიდრე შეითხვებოდეს, ითხვება მანამ.

პოფმანსტალი „კრეატიულ ინდივიდს“ უწოდებს პოეტს. რეალური სამყაროს ცვლილებას, იქამდე მის ნგრევას მოდერნისტი პოეტი მისი დიქტატორული ფანტაზიის მეო-

ხებით აწარმოებს.

„მოდერნისტულ ლირიკაში თვალშისაცვემია კონტრასტი არსებულსა და მოჩვენებითს შორის. მოდერნისტი ლირიკოსის კრეატიული ფანტაზია მტრულად განწყობილია რეალური სამყაროსადმი. დანაწევრებული წინადაღებებით მოდერნისტი ავტორები სამყაროს დეფორმაციას გვიხატავენ. ლირიკოსთან სულიერება ბუნებრივ საგნებს შესწოდება, მაგრამ ეს საგნები რეალობიდან ნაწარმოები კი არ არის, არამედ ასახიერებენ ე.წ. ახალ ტრანსცენდენტს.“ დიეგო პოეზიას უწოდებს თხზვას იმისა, რასაც ვერასოდეს იხილავს ადამიანი. ორტეგა გასეტი მიიჩნევდა, რომ მეტაფორულობას არაფერი ესაქმება ჰეშმარიტებასთან. სამყაროსეული „ნეგატიური ხატ-სურათები“ მეტაფორათა „არაფერშია“ განდევნილი. მაგ.: ლასკერ შიულერი დამის მეტაფორად გვიხატავს „შავ მტრედს“. „მოდერნისტული პოეზია ზღაპრულია. მის ბაღნარში ხარობენ ყვავილები; იქ ქვათა გროვასაც ვაწყდებით და გვნუსხავენ ქიმიური ფერიები. ნარკოტიკის შიშით ვთრთივართ, ნანგრევების მდელოზე ვეძლევით სიყვარულს ძალუმად.“

დასკვნა

მოდერნისტული ლირიკისათვის ნიშანდობლივია ის, რომ იგი ობიექტის აღწერას არ აწარმოებს; ეს ლირიკა უარყოფს თხრობას და ამდენადვე, არ გამოხატავს ობიექტურ სამყაროსა და მის შინაარსს. მოდერნიზმის ლირიკაში შედარებით უმნიშვნელო თემებია დამუშავებული და ლირიკულ სიტყვაციებში შეინიშნება საგანთა სიმცირე. ზემოთქმული არის ზოგადად მოდერნისტული პოეზიის სტილის მსაზღვრელი.

მოდერნისტული პოეზია – სიცარიელეს, დუმილს, ილუზიების მსხვევებს გამოხატავს, მაშინ, როდესაც განმანათლებლობის ეპოქაში ლირიკა – რწმენის, სიბრძნის, განმანათლებლური ელიტურობის გამომხატველი იყო.

ლიტერატურა

1. Baudelaire Ch. (1954): OEuvres completes. Ed. J.-G. Le Dantec (Bibl. de la Pleiade). Paris; ed. revisee par Cl. Pichois. Paris 1969
2. Rimbaud A. (1954): OEuvres completes. Ed. A. Rolland de Reneville et J. Mounquet (Bibliotheque de la Pleiade). 3. Aufl. Paris
3. Mallarme St. (1965): OEuvres completes. Ed. H. Mondor et G. Jean-Aubry (Bibliotheque de la Pleiade), Paris 3
4. Valery P., Ed. J. Hytier (1957–1960): (Bibliotheque de la Pleiade). Bände. Paris
5. Apollinaire G. (1962): Cœuvres poetiques. Texte etabli et annoté par M. Adema et M. Decaudin (Bibliotheque de la Pleiade), 2. Aufl. Paris
6. Saint-John Perse (1911): Oeuvre poetique. 2Bde., Paris 1953-60 (enthält u.a.: Eloges; Anabase, 1924; Exil, 1941; Vebs, 1946; Amers, 1957).

Структурные своеобразия европейской модернистической лирики

Тхилава Намо Отаровна
Грузинский гуманитарный университет
Департамент европеистики
пр. Чолокашвили №53, 0113, Тбилиси, Грузия
Тел.: 595 746 415
E-mail: meri.meri_001@yahoo.com

Резюме

Модернисты-лирики: Валери, Верлен, Рембо, Апполинер, Сен-Жон Перс, Гарсия Лорка и др. структуру своих стихов составляют новыми поэтическими шифрами: герметизм, темнота, разбивка слов и предложений и т. п.

Поэты-модернисты своей поэзией строили „новый“, трансцендент, где не реальность была возвышена поэтически, а показан был новый свободный свет, свободный от страха и от жизненных болей – свет тьмы, где „раскрывается цветок поэзии“.

Модернистская поэзия отрицает и не принимает грусть, а так же все то, что связано с человеческой болью. Она выражает бесодержательность, пустоту, потерю ценностей.

Ключевые слова:

трансцендент, поэтические знаки, миросозерцательные картины, модернистская лирика.

Structural Uniqueness of European Modernists Lyric Poetry

Nato Tkhilava

Georgian Humanitaria University

Department of European studies

53 Cholokashvili av., 0113, Tbilisi, Georgia

Tel.: 595 746 415

E-mail: meri.meri_001@yahoo.com

Abstract

The modernists lyric poetry: Valeri, Verlen, Rembo, Appoliner, Sen-John Pers, Garcia Lorca and other they compose the structure of their verses by the new poetic codes: hermetism, darkness, the divide words and sentences and etc.

Poetry modernists built a „new“ transcendent in their poems, and they elevated not reality, there had been shown a new free light, which had been free from the fear and life pains – light of darkness, where is revealed the flower of poetry“.

Modernist poetry denies and not accept melancholy and all what is linking with the human pain. It expresses insignificance, vacuum, loss of values.

Keywords:

transcendent, poetic signs, world view, modernist lyric poetry.

ენა, აზროვნება და სინამდვილე. ლინგვისტური ფარდობითობის თეორია ფემინისტური ლინგვისტიკის ჭრილში

თინათიძე ფურცელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლინგვისტიკისა და ლიტერატურის ფაკულტეტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო

ტელ.: 593 954 733

E-mail: tinatinipurtseladze@mail.ru

რეზიუმე

თანამედროვე გერმანულენოვან სივრცუში ენის გამოყენების დონეზე შეიმჩნევა ცალკეული ცვლილებები პიროვნებათა აღნიშვნელ სახელებთან მიმართებაში. ემპირიული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ პიროვნებათა დესიგნაცია ხშირად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ აღნიშვნა, მიმართვა ან მინიშნება-მითითება, ამასთან ახალი აღნიშვნების შემოტანა და დამკვიდრება ენაში საჭიროა ასახვადეს, ეხმაურებოდეს, ეთანხმებოდეს, შეესაბამებოდეს და ემსახურებოდეს საზოგადოების განვითარების პროცესებსა და მის მოთხოვნებს. პიროვნებათა ენობრივი აღნიშვნები აუცილებელია საზოგადოებრივი ცვლილებებისამებრ გადასახელდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისმის კითხვა, შეუძლია კი გადასახელდებას ჩვენი აზრების გადასხვაფერება ან გამოწვევა? არის თუნდაც ნეიტრალური ფორმა-*Studierende* გენერირებული მასკულინუმის ფორმით-(*Studenten*) გამოწვეული მამრობითი პიროვნებების ასოციაციის გადასხვაფერების გარანტი? რა კავშირია ენობრივი ერთეულების ფორმასა და სტრუქტურას და მათ შინაარსს შორის? ან ზოგადად, ძალუძს ენას, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, აზროვნების შეცვლა? თუ აზროვნება ყოველთვის წინ უსწრებს ენას და ამიტომ ენის გავლენა მასზე შეუძლებელია?

საკვანძო სიტყვები:

დესიგნაცია, დესიგნატორი, ფემინიზმი, მასკულინუმი, გენერირებული მასკულინუმი

შესავალი

ენას, აზროვნებასა და სინამდვილეს შორის არსებულ მიმართებათა კვლევა პლატონის დროიდან მომდინარეობს და მას შემდეგ ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ენის ფილოსოფიის თემას წარმოადგენს (1). XX საუკუნის დასაწყისში ფილოსოფოსი ლუდვიგ ვიტგენშტაინი გვთავაზობს სამყაროს სურათული აღქმის მოდელს და მასთან მიმართებაში ანგითარებს ენის სურათულ თეორიას, რომლის თანახმადაც ენაში ყველა საგანს თავისი სახელი აქვს. ეს სახელები მნიშვნელობას მხოლოდ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით იძენენ. წინადადება სინამდვილის სურათია და თავის მხრივ, ისევე როგორც სინამდვილე, საგნებად და მათ სახელებად ნაწევრდება. აქედან გამომდინარე, ვიტგენშტაინისთვის ენა აზრების გამოხატვის საშუალებაა. მოგვიანებით, „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“ ის ენას „აზროვნების ეტლს“ („das Vehikel des Denkens“), ე.ი. აზრების ტრანსფორმირების / გავრცელების საშუალებას უწოდებს და აღნიშნავს, რომ სამყაროში ყველაფრის აღქმას საფუძვლად უდევს ლოგიკა, რომელიც ამავდროულად ცალკეული შემეცნების საზღვრებს შემოფარგლავს: „ჩემი ენის საზღვრები ჩემი სამყაროს საზღვრებს ნიშნავს“ („die Grenzen meiner Sprache bedeuten die Grenzen meiner Welt“, (თარგმანი ჩვენია, იხ. 2).

ძირითადი ნაწილი

ენის ფილოსოფიის პარალელურად ენის კვლევით დაკავებულია ენათმეცნიერება,

რომლის დამოკიდებულება საკითხისადმი „ენა-აზროვნება-სინამდვილე“ შედარებით პრაგმატულია. ამის იღუსტრირება შეგვიძლია ამერიკელი ენათმეცნიერის ბ. უორფის მაგალითზე. პროფესიონალი ქმითის ინჟინერი, სწავლის დამთავრების შემდეგ, XX საუკუნის 1920-იან წლებში მუშაობდა ერთ-ერთ სადაზღვევო ორგანიზაციაში, რომელიც სანდრის თავიდან აცილებისა და მის შედეგად გამოწვეული ზარალის პრევენციით იყო დაკავებული. ამ პერიოდში უორფს არაერთხელ პქონდა შეხება ისეთ (ზოგისთვის ანეკდოტურ) შემთხვევებთან, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: „მეთილის ალკოჰოლის ერთ-ერთ სახდელში წარმოებდა დესტილირების (სითხის გამოსახდელი) კოლბების იზოლირება მასისგან, რომელიც კირქვისგან შედგებოდა. საიზოლაციო მასის მაღალი ტემპერატურისგან ან ცეცხლისგან დასაცავად სიფრთხილის არანაირ ზომებს არ მიმართავდნენ. ერთხელაც ერთ-ერთ ჭურჭელში იქ მომუშავეთა გასაოცრად „კირქვას“ ცეცხლი გაუჩნდა. წვის პროცესში კირქვა (იგივე კალციუმის კარბონატი) კალციუმის აცემაზად გარდაიქმნება, როდესაც ეს უგანასკნელი ცხელდება, იწვევს ძლიერ წვას მასში შემავალი აცეტონის გამო. გაუფრთხილებელმა ქცევამ არ დაეცვათ ცეცხლისგან საიზოლაციო მასა (რაც უპირველეს ყოვლისა განსაკუთრებული ინსტრუქციების ცოდნის ნაკლებობით იყო განპირობებული), გამოიწვია აღნიშვნამ „კირქვა“, რადგან ეს სახელი მთავრდება სიტყვით-„ქვა“ და ამით არაწვადს სუგერირებს“ (თარგმანი ჩვენია, იხ. 3).

ამგვარი ფაქტები გახდა უორფისთვის დასტური იმისა, რომ ენა ჩვენი სინამდვილის აღქმასა და ჩვენს აზროვნებაზე ახდენს გავლენას, თუ საერთოდ არ განსაზღვრავს: „ადამიანები ცხოვრობენ არა მხოლოდ სუბიექტურ სამყაროში, არამედ იმ სამყაროშიც, რომელსაც ჩვეულებრივ საზოგადოებას უწოდებენ. ამავდროულად ისინი ცხოვრო-

ბენ კონკრეტული ენის სამყაროში, რომელიც მათი საზოგადოებისთვის გამოხატვის მედიუმს წარმოადგენს. იღუზია იქნებოდა გეფიქრა, რომ არსებითად სინამდვილეს ენის დახმარების გარეშე ვეწყობით და ენა საეციფიკური პრობლემების გადმოცემისა და რეფლექსის მხოლოდ შემთხვევითი დახმარების საშუალებაა. „რეალური სამყარო“ ჯგუფის ენობრივ ჩვევებზე ფაქტობრივად შეუცნობლად შენდგბა... ჩვენ გხედავთ, გვესმის და ვქმნით ჩვენს გამოცდილებას ჩვენი ენობრივი საზოგადოების ენობრივ ჩვევებზე დაყრდნობით, რაც გარკვეულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.“ (თარგმანი ჩვენია, 4).

ადსანიშნავია, რომ უორფი არ იყო პირველი, ვინც ენას, აზროვნებასა და სინამდვილეს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს იცავდა. თითქმის ერთი საუკუნით ადრე ვილ-ჰელმ ფონ პუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ ენა მხოლოდ უბრალო ურთიერთგაგებინების საშუალებას კი არ წარმოადგენს, ის მეტყველის სულისა და მსოფლებელის გამოვლენაცაა, რადგან ადამიანი აზროვნებს ისე, როგორც მეტყველებს და მეტყველებს ისე, როგორც აზროვნებს: „*Sprache sei....., durchaus kein blosses Verständigungsmittel, sondern der Abdruck des Geistes und der Weltansicht des Redenden.*“ (თარგმანი ჩვენია, 5).

პუმბოლდტმა განავითარა თეორია, რომლის თანახმადაც ცალკეული ენები ადამიანურ აზროვნებაზე ზემოქმედებენ და მათი მოსაუბრის კულტურას განსაზღვრავენ. ენის აკვანს, სამშობლოს და საცხოვრისს ადამიანის გონება წარმოადგენს, სადაც ის შეუმჩნეველად არის ჩამაღლული და ახერხებს თავისი ანაბეჭდი დაასვას ადამიანურ აზროვნებას: „*Denn da das menschliche Gemüt die Wiege, Heimat und Wohnung der Sprache ist, so gehen unvermerkt, und ihm selbst verborgen, alle ihre Eigenschaften auf dasselbe über...., „Insofern aber die Sprache, indem sie bezeichnet, eigentlich schafft, dem unbestimmten Denken ein Gepräge verleiht, dringt der Geist, durch das Wirken mehrerer*

unterstützt, auch auf neuen Wegen in das Wesen der Dinge selbst ein.“ (თარგმანი ჩვენია, 6).

შეიძლება კოქვათ, რომ ლინგვისტური ფარდობითობის თეორია („სეპირ-უორფის ჰიპოთეზა“), რომელიც ამერიკლა ლინგვისტებმა ედვარდ სეპირმა და ბენჯამინ ლი უორფმა განავითარეს, ასევე პუმბოლდტის თეორიის ერთგვარ განვრცობას წარმოადგენს.

სეპირ-უორფის ჰიპოთეზის ინტერესისა და კვლევის სფეროს შეადგენს კავშირი სინამდვილის შემეცნებას, ადამიანურ აზროვნებასა და ენას შორის. ამასთან შემეცნება გაიგება როგორც ინფორმაციების ორგანულ-აზრობრივი მიღება და კოგნიტიური გადამუშავება. აზროვნება გაიგება არა როგორც ზოგადად აზროვნების/ფიქრის უნარი, არამედ როგორც ნააზრვების გამოყენება, რასაც ინდივიდი აზროვნების უნარის წყალობით აღწევს. საყურადღებოა ფაქტი, რომ უორფი არაფერს გვეუბნება ენის მიერ აზროვნების დეტერმინირების შესახებ. ის ამოდის აზროვნების რელაციური/ფარდობითი ზეგავლენიდან (7, 42).

სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად, სხვადასხვა ენაზე მეტყველ ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვაგარად შეიმუცნებენ სამყაროს, რაც მშობლიური ენის კარნასთ არის განპირობებული. ადამიანი მოვლენათა სამყაროს ანაწევრებს გარკვეულ კატეგორიებად არა ამ კატეგორიების რეალურად არსებობის საფუძველზე, არამედ მის ცნობიერებაში შენახული ენის სისტემის ზემოქმედების შედეგად. სეპირ-უორფის ჰიპოთეზა მოიცავს ორ ძირითად მტკიცებულებას:

სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვანაირად აღიქვამენ და შეიცნობენ სამყაროს. მაგ., ესპორენებს აქვთ უამრავი სიტყვა თოვლისა და ყინულის აღსანიშნად, რაც თბილ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანების ენებში არ არსებობს.

შემეცნებით პროცესში არის განსხვავებანი, რომლებიც ენობრივ განსხვავებულობა-

ზეა დამოკიდებული. არსებობს ცალმხრივი მიზეზობრივი კავშირი ენასა და შემეცნებით პროცესებს შორის. მაგალითად, ერთ-ერთმა მუშამ ანთებული სიგარეტი ჩააგდო კასრში, რომელიც ცარიელი ჩანდა, სინამდვილეში კი თვალით უხილავი გაზით იყო სავსე. უორფისთვის ნათელი გახდა, რომ აღნიშნული შემთხვევისას მუშაზე გავლენა იქონია ენამ, რადგან მან სამყაროს ინტერპრეტაცია სიტყვიდან „ცარიელი“ გამომდინარე მოახდინა და კასრი, რომელიც სინამდვილეში სავსე იყო, „ცარიელად“ აღიქვა.

მაშასადამე, ადამიანური შემეცნება, იგივე სინამდვილის ინტერპრეტაცია და ადამიანური აზროვნება არა ობიექტური, არამედ ფარდობითია. ინდივიდის დაქვემდებარებაში არსებული ენობრივი სტრუქტურა (უორფის სიტყვებით „linguistic backgrounds“/ „ლინგვისტური საფუძვლები“) სხვა ფაქტორების გვერდით ამა თუ იმ კულტურის (როგორც სინამდვილის ნაწილის) გარემოცვით ფორმირდება. შედეგად ვიღებთ ე.წ. მიმოქცევის თეორიას: კულტურა (როგორც სინამდვილის ნაწილი) ფორმას აძლევს ენას→ენა ზეგავლენას ახდენს აზროვნებაზე→აზროვნება ცვლის კულტურას (როგორც სინამდვილის ნაწილი)→კულტურა (როგორც სინამდვილის ნაწილი) ფორმას აძლევს ენას... და ა.შ.

ფემინისტური ლინგვისტიკა მიიჩნევს, რომ ქალების ჩაგვრის ფსიქოლოგიური ფაქტორების ემპირიული კვლევა შესაძლებელია ლინგვისტური ფარდობითობის თეორიასთან მიმართებით. როდესაც საუბარია ან წერენ მხოლოდ სიტყვებს *Mathematiker, Linguisten, Wissenschaftler, Inhaber, Fahrer, Fußgänger, Polizisten* და ა.შ. შესახებ, კონსტიტუირდება მსოფლეობა, რომელშიც ქალები არ ჩანან. ენა მუშაობს სურათებით. წინადაღება „*Mechaniker reparieren Autos*,“ ჩვენს წარმოსახვაში მექანიკოსი კაცების სურათებს ქმნის და არა ქალებისას. სქესთა სენსიბილიზებული ფორმულირებით – „*MechanikerInnen wechseln Öl*“, ქალები ქსპლიციტურად

სახელდებიან და ჩვენს წარმოსახვაში ამოტივტივებული სურათებიც ქალებს ასახავენ და არა მამაკაცებს.

უოველდღიურ მეტაფორებში, როგორებიცაა *den Schlips getreten fühlen (verletzt, gekränkt sein über j-s Reden oder Verhalten), vor jemand den Hut ziehen (vor j-m alle Achtung haben, seinen Respekt nicht versagen können), der kluge Mann baut vor (1. Vorsorge treffen, 2. vorbeugen), der Bart ist ab (eine Schwierigkeit überwinden, etw. bewältigen)* და ა.შ. მანიფესტირებულია დომინანტური სამყაროს სურათი და კონსტიტუირდება მსოფლებელია, სადაც მამრობითი ნორმად მიიჩნევა.

უამრავი მაგალითი გერმანული ან სხვა ენებიდან გვიჩვენებს რომ წყობაში, სადაც ელემენტები მრავალნაწილიან გამოხატვებად ეწყობიან, ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი პირველ პოზიციას იკავებს: *Adam und Eva, Tristan und Izolde, Männer und Frauen, Brüder und Schwester, Mutter und Kind, Herr und Hund, Kind und Kegel* და ა.შ. ამგარ გაყინულ გამოხატვებს ეფუძნება წარმოდგენები დომინანტური ჯგუფის ლირებულებებისა და ნორმის შესახებ და რადგან უმრავლეს შემთხვევაში პირველ პოზიციას მამრობითი ელემენტი იკავებს, კიდევ უფრო მყარდება ვარაუდი იმისა, რომ ენობრივ გამოხატვებში პატრიარქატული მსოფლებელია მანიფესტირებული. ალტერნატიული წყობა *Eva und Adam, Frau und Mann, Kind und Mutter, როგორც წესი, უწვევულო გადახვევად მიიჩნევა.*

გენერირებული მასკულინუმის შესახებ მთელი რიგი გამოკვლევები ამტკიცებს, რომ ამგვარი ფორმების სქესობრივად ნეიტრალური ინტერპრეტაცია ფსიქოლოგიურ რეალობას მოკლებულია. აღნიშნული გამოხატვები ნეიტრალურად არ გაიგება და არ აღიქმება როგორც ქალების, ისე კაცების მხრიდან. ამასთან, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები გენერირებული მასკულინუმის ფორმებში ვერ ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას.

ზამელს (9, 83) წარმოდგენილი აქვს შეელესა და გაულერის (1993) მიერ წარმოებული ემპირიული კვლევები, სადაც ისინი შეეცადენ გამოეკვლიათ გრამატიკულ სქესა და ბიოლოგიურ სქესს შორის არსებული მიმართებები პიროვნების აღმნიშვნელ სახელებთან. ლინგვისტური ფარდობითობის თეორიის თანახმად, გრამატიკულ და ბიოლოგიურ სქესს ისინი განიხილავენ როგორც გრამატიკის აზროვნებასთან უთიერთკავშირს. კვლევებისას მათ მიზანს წარმოადგენდა არა მარტო გენერირებული მასკულინუმის დისკრიმინაციული ხასიათის დადგენა, არამედ ის ფაქტი, თუ რამდენად გამორიცხავდა ფემინისტი ლინგვისტების მიერ შემუშავებული ალტერნატიული ფორმები დისკრიმინაციას. პრობანდებს დაურიგდათ ტექსტები, სადაც გამოტოვებული ადგილები უნდა შეევსოთ პიროვნების აღმნიშვნელი მამრობითი, მდედრობითი ან ნეიტრალური ფორმებით. მიღებული შედეგების საფუძველზე შეელმა და გაულერმა დაასკვნეს, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმები *Menschen* და *Individuen* მიუხედავად მათი ნეიტრალური შინაარსისა, პრობანდების უმრავლესობის მიერ დისკრიმინაციულ ვარიანტებად იქნა მიჩნეული. მკვლევართა აზრით, გამორიცხული არ არის, რომ მიღებული შედეგი სიტყვების *Mensch* და *Individuum* ყოველდღიურ ნებატიურ კონტაკტით გამოყენებას უკავშირდებოდეს. არადისკრიმინაციულ ვარიანტებად მიჩნიეს: წყვილი ფორმები (*Männer und Frauen*), მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის *wir* გამოყენება, სიტყვების გადაფორმება აღნიშნის *Person* გამოყენებით, წერილობით ენაში მდედრობითი სქესის წარმოჩენისთვის ფემინისტი ლინგვისტების მიერ შემოთავაზებული I სიტყვის შეაში (*LehrerInnen, LesserInnen*). შეელისა და გაულერის აზრით, წინადადება ბიოლოგიურ სქესზე ორიენტირებულ რაც უფრო ნაკლებ ინფორმაციას შეიცვს, მით უფრო წინა პლანზე დგება წინარე

ცოდნისან მეტყველთა განწყობის კონტექსტუალური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა სპეციფიკური დასახელება მხოლოდ ამცირებს ქალების დისკრიმინაციის ხარისხს, მთლიანად პრობლემას კი მაინც ვერ ჭრის, რაც შეეხება გრამატიკას (ამ შემთხვევაში გრამატიკულ სქესს), იგი ყოველდღიური აზროვნებისას გავლენას ახდენს შემუცნებაზე.

ფაქტი, რომ გენერირებული მასტელინუმი მამაკაცების ასოციაციას უფრო იწვევს, ვიდრე ქალებისას (ანუ გრამატიკული სქესი ზემოქმედებს აზროვნებაზე) დადგენილ იქნა ირმენისა და კონკას (1996) ემპირიულ კალევებშიც (10, 35).

დასკვნა

ადამიანური შემუცნება გარკვეულწილად მართლაც ფარდობითია. ადამიანი მოვლენათა სამყაროს ანაწევრებს გარკვეულ კატეგორიებად, მის ცნობიერებაში „შენახული“ ენის სისტემის ზემოქმედების შედეგად. ჩვენს მსოფლიხედვასა და სამყაროს შესახებ წარმოდგენებზე დიდწილად ენა ახდენს ზეგავლენას. ენა ქმნის და ამაგდროულად, ასახავს სინამდვილეს.

ანალიზი ლინგვისტური ფარდობითობის თეორიასთან კონტექსტში ცხადყოფს, რომ სწორედ ენის გავლენის შედეგად იძენს ადამიანი ბავშვობიდანვე დომინანტური სამყაროს სურათის ასპექტებს, რომლის თანახმადაც, მასტელინუმი პირველია და შესაბამისად, მაღალი სტატუსის/რანგის მატარებელი, ვიდრე ფემინიუმი.

ლიტერატურა

1. <http://www.zeno.org/Philosophie/M/Platon/Kratylos> (ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
2. http://de.wikipedia.org/wiki/Ludwig_Wittgenstein (ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
- 3)http://www.uibk.ac.at/sprachenliteraturen/sprawi/pdf/Hajnal/Hajnal_Sprache_Denken_Wirklichkeit.pdf(ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
4. https://docs.google.com/viewer?a=v&q=cäche:AY445BI91EcJ:files.adulteducation.at/uploads/sprache1.pdf+sprache,+denken,+wirklichkeit&hl=ka&gl=de&pid=bl&srcid=ADGEESiOraY6i96d59nsPNBXs1bQXzaFY6dV3LrMEiA87jCEr0h-Gul6NtaqdUaZiMa1qGf9MznrgwMEJNbPAGcoufp_m9qxLqeA3HTCfd29XqfmIaAbtFqchLaji-WArW7C-aJkT4heg_&sig=AHIEtbRT1pKVZRr6r374Bb5UpFfrAX39qw: 6 (ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
5. http://www.uibk.ac.at/sprachenliteraturen/sprawi/pdf/Hajnal/Hajnal_Sprache_Denken_Wirklichkeit.pdf: 2 (ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
6. http://de.wikipedia.org/wiki/Wilhelm_von_Humboldt(ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
7. Hellinger M.(1990): Kontrastive Feministische Linguistik. Max Hueber Verlag. München
8. http://www.uibk.ac.at/sprachenliteraturen/sprawi/pdf/Hajnal/Hajnal_Sprache_Denken_Wirklichkeit.pdf: 3 (ukanasknelad iqna gadamowmebuli 22. 02. 2013)
9. Samel I. (1995): Einführung in die feministische Sprachwissenschaft. Berlin
10. Stelzer, E. (2008): Feministische Theorie und Feministische Linguistik: problemtheoretische Erläuterungen. Universität Wien

Language, thinking and reality. Lingual Theory of Relativity from the feminists linguistic point of view

Tinatin Purtseladze
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : 593 954 733
E-mail: tinatinipurtseladze@mail.ru

Abstract

In the modern German-speaking space at the level of language usage are noted single changes according to the relation of the calling personalities names.

It is possible to see that designation of personalities means much more than definition, handling or indication.

The administration of new determinations and its introduction into the language must show the development processes of society and its needs also. The lingual determination of individuals requires to rename compulsorily according to the indices of public changes, but here raises the question: can renaming change our consciousness? What is connection between the forms of lingual units and structures and by their content. Can our language change thinking, or it always pass ahead of language, therefore its influence on the language is impossible.

Keywords:

designation, designator, feminine, masculine, generated masculine.

Язык, мышление и реальность. Теория лингвистической относительности в разрезе феминистической лингвистики

Пурцеладзе Тинатин Гивиевна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 954 733
E-mail: tinatinipurtseladze@gmail.com

Резюме

В современном немецкоязычном пространстве на уровне использования языка замечаются единичные изменения по отношению имен называющих личностей.

Исходя из рассмотренных предметов можно увидеть, что дессигнация личностей означает часто больше, чем определение, обращение или указание.

Введение новых определений и их внедрение в язык должен показать процессы развития общества и его потребностей. Языковые определения индивидуумов требует переименовать обязательно по показателям общественных изменений, но тут возникает вопрос: может ли переименование изменить наше сознание? Какая связь между формами языковых единиц и структур, а также и их содержанием. Может ли наш язык изменить мышление, или же оно всегда опережает язык? Следовательно, влияние языка на мышление невозможно.

Ключевые слова:

десигнация, десигнатор, фемининум, маскулинум, генерированный маскулинум.

სოციალური
გენერაციები

Social Sciences

Социальные науки

ქართული სათვისტომო ქალაქ ხარბინში (გაზეთის „დამოუკიდებელი საქართველო“ მასალების მიხედვით)

თინათინ აფხაიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო

ტელ: 599 480 058

E-mail: T_apkhaidze@yahoo.com

რეზიუმე

XX საუკუნის დასაწყისში ჩინეთის პროვინცია – მანჯურია გახდა ერთ-ერთი საიმედო თავშესაფარი ქართველ ემიგრანტთათვის. სტატიაში განხილულია გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი საინტერესო მასალა. სწორედ ამ გაზეთის საშუალებით შევძელით აღგვედგინა მანჯურიაში ქართული სათვისტომოს საქმიანობის მნიშვნელოვანი მოვლენები.

საკვანძო სიტყვები:

ხარბინელი ქართველები, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, ქართული სათვისტომო, მანჯურია.

თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობის რეალიზებას უცხოეთში შეეცადნენ.

ქართველ ემიგრანტთა ცხოვრება-მოდვაწეობის შესწავლა შესაძლებელი გახდა ქართული ემიგრაციის მუზეუმის გახსნის შემდეგ, 1933 წლიდან. მანჯურიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა შესახებ მწირი ინფორმაცია არსებობს, რაც იმით აიხსნება, რომ დიდი ხნის მანძილზე ემიგრაციის თემა ტაბუდადებული იყო მკვლევართათვის, გარდა ამისა, მათი ცხოვრება და მოდვაწეობა, ხშირ შემთხვევაში, ხელმიუწვდომელია ჩვენთვის, ამიტომ საჭიროა მათ ოჯახებში დაცული წერილების შესწავლა-გაანალიზება, არსებული ფოტო-მასალის გამომზეურება, მათი ქველმოქმედების ამსახველი ფაქტების შესწავლა და მკითხველთათვის მიწოდება.

XX საუკუნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ არაერთი ლირსეული შვილი აიძულა დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრანტთა მწარე ხვედრი უცხოეთში გაეზიარებინა.

ძირითადი ნაწილი

შესავალი
საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შენების პროცესში ქართული საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებისა და საქმიანობის, მათი დვაწლის წარმოჩინების საკითხი. დღეს ჩვენი ვალია შევისწავლოთ იმ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრება, რომლებიც არსებული რეჟიმის გამო გასული საუკუნის 20-იან წლებში ნებსით თუ უნებლივით აღმოჩდნენ სამშობლოსგან შორს და

ერთ-ერთი თავშესაფარი ქართველებმა ჩინეთის პროვინციაში, მანჯურიის ქალაქ ხარბინში ჰპოვეს. ქალაქი ხარბინი 1898 წელს დააარსეს რუსებმა ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციაში, აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოსული მშენებლები, ინჟინრები, მუშები, ასევე პოლიტიკატიმრები, რომლებსაც კატორდის მოხდისთანავე გზავნიდნენ მანჯურიაში მიმდინარე რკინიგზის მშენებლობაზე. 1905–1907

წლებში, რუსეთში მომხდარი რევოლუციის მარცხის შემდეგ, ხარბინში ჩავიდნენ რუსეთის რეაქციისგან დევნილი ქართველები და ხარბინი ჩინეთში ლტოლვილ ემიგრანტთა მთავარი ცენტრი გახდა. ხარბინში მრავლად აღმოჩნდნენ 1921 წლის საქართველოს ოკუპაციისა და 1922–24 წლების აჯანყების მარცხის შემდეგ რეპრესიებს თავდაღწეული ქართველებიც.

ხარბინელ ქართველთა შესახებ საინტერესო ინფორმაციებია დაცული გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე, რომელიც გამოდიოდა 1926 წლიდან პარიზში. ამ პუბლიკაციების წყალობით ჩვენ შეგძლით აღგენდგინა ქართული სათვისტომოს საქმიანობის საინტერესო ფაქტები. 1927 წლისთვის ხარბინში დაახლოებით 100-150 ქართული ოჯახი ცხოვრობდა, მათი დიდი ნაწილი ეწეოდა ვაჭრობას, ასევე ბევრი მათგანი დასაქმებული იყო რკინიგზაზე ინჟინრად, ექიმად და ა.შ. 1905 წელს ხარბინში დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის უფასო ბიბლიოთეკა, რომელიც დაახლოებით 20 ათასამდე ძვირფას წიგნს მოიცავდა.

ხარბინში არსებობდა ქართველთა ურთიერთდახმარების საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა საკუთარი სახლი, სადაც მოთავსებული იყო თავად საზოგადოების ბინა, საზოგადოებას გააჩნდა თავისი გამგეობა და დამტკიცებული წესდება. გამგეობა უმთავრესად საზოგადოების წევრებს შორის ჩამოგარდნილ უთანხმოებებს აწესრიგებდა და ქონებრივ დახმარებას ეწეოდა, განსაკუთრებულ შემთხვევებში ხარბინელი ქართველები თვლიდნენ, რომ გამგეობას უფრო დიდი მოვალეობა ეკისრებოდა: „გამგეობის მოვალეობა უფრო დიდია... ჩვენ ყველანი მოწევეტილი და მოშორებულები ვართ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, რომელიც უკვე მეშვიდე წელიწადია კვენეს და გმინავს რუსეთის წითელი კლანჭების უღელქვეშ. გამგეობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ხარბინის

ქართველებს შორის ეროვნული შეგნების ამაღლებას, აუხსნას და განუმარტოს, თუ რას განიცდიან დღეს საქართველო და მისი საუკეთესო შვილები“ – ვკითხულობთ გაზეთის ფურცლებზე.

სწორედ ამ წერილის საპასუხოდ, ძალიან მალე, გაზეთის ფურცლებზე იბჭდება ახალი სტატია ქართული სკოლის გახსნის შესახებ: „25 ნოემბერი, 1928 წელი, ისტორიული დღეა შორეული აღმოსავლეთის ქართველების ცხოვრებაში. ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა ქართულ სკოლას, მოხდა ქართული საკვირაო სკოლის საზეიმო გახსნა.“

ეროვნული დროშებითა და ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა სურათებით მორთულ ქართული საზოგადოების შენობის ერთ-ერთ დარბაზში შეიკრიბნენ განსაკუთრებული ბარათებით მოწვეული საზოგადოების წევრები, თავთავიანთი ბავშვებით. საზეიმო კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ – ივლიანე ხაინდრავამ, რომელმაც მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრე საზოგადოებას შეკრების მიზეზი. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამავე სკოლის მომავალმა მასწავლებელმა – კირილე კედიამ. მან რუსულ ენაზე განუმარტა დამსწრე საზოგადოებას ქართული ენის სიდიადე, მისი შესწავლის მნიშვნელობა...“ სკოლის დამაარსებლები ვარაუდობდნენ, რომ მოსწავლეთა რიცხვი კიდევ გაიზრდებოდა.

სტატიას თან ერთვის სკოლის ანგარიშზე თანხების შემომწირავ ადამიანთა ვრცელი სია, ეს თანხები სრულიად მოულოდნელად შეგროვდა და საკმაოდ სოლიდურ ოდენობამდე ავიდა.

ხარბინელი ქართველები თითქმის ყოველ წელს განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ამას მოწმობს გაზეთიდან ამონარიდი სტატიის ნაწილი, კერძოდ: „დღესასწაული დიდი ზეიმით იქნა გადახდილი და დაესწრო აუარებელი ხალხი, როგორც ქართველები,

ისე უცხოელებიც. ლამაზად მორთულ დარბაზს ამშვენებდა როგორც საქართველოს, ასევე იმ ერების დროშებიც, რომელთაც ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. საზოგადოების თავჯდომარებ ივ. ხაინდრავამ ფარდა ახადა ნოე ქორდანიას სურათს. შესრულდა ქართული ჰიმნი... წაიკითხეს მოხსენებები საქართველოს დიდებულ წარსულზე, ამას მოჰყვა ლექსების წაკითხვა და რომანსები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. დამსწრე საზოგადოება მადლიერი იყო... მსგავსი ღონისძიებების ჩატარებით ისინი თავს სამშობლოსთან ახლოს გრძნობდნენ“.

ხარბინში განსაკუთრებული ზეიმითა და ბრწყინვალე ვახშმით აღნიშნავდნენ თამარობას, ნინობას, აღდგომის დღესასწაულებს, იქაური ყველა ქართველი თავს იყრიდა ივერიის დვინისმშობლის სახელობის ეკლესიაში.

ხარბინელი ქართველები ყოველთვის დიდი მწუხარებით აღნიშნავდნენ ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეების გარდაცვალებას, უხდიდნენ მათ პარაკლისს, რასაც არა მხოლოდ ქართველები, არამედ ხარბინში მყოფი სხვა ერების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. 1931 წელს სპეციალური პანაშვიდი გადაიხადეს ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ტრაგიულად დაღუპული ნოე რამიშვილის ხსოვნის უპდაგსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ ხარბინელ ქართველთა შესახებ ვრცელი ინფორმაციები იძეჭდებოდა ქალაქში გამომავალი რუსული გაზეთის „ხარბინსკოე ვრემიას“ ფურცლებზეც. საყურადღებოა ისიც, რომ ქართველთა მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს სისტემატიკურად ესწრებოდნენ პოლონეთის, დანიის, ლატვიის კონსულები, სტუმრები ჩინეთიდან, იაპონიდან და სხვა ქვეყნებიდან.

გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ რედაქციას ეკუთვნის 1936 წელს გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი წერილი მიძღვნი-

ლი შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები ქართველებისადმი. წერილში ხაზგასმულია, რომ უცხოეთში არსად არ მოეპოვებათ ისეთი მტკიცე ორგანიზაცია, როგორიცაა ხარბინის ქართველთა ორგანიზაცია. იგი ძლიერია ქონებრივადაც და ეს ქონება მას შეძენილი აქვს არა ქველმოქმედების წყალობით, არამედ ერთსულოვანი დახმარებით და მუშაობით.

დასკვნა

ქართველებმა შორეულ აღმოსავლეთში შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ძლიერი სათვისტომო. ხარბინელი ქართველები უანგაროდ ეხმარებოდნენ არა მხოლოდ მანჯურიაში მცხოვრებ ქართველებს, არამედ სხვა ეროვნების ხელმოკლე ადამიანებსაც და ასევე აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკროპის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მცხოვრებ შეჭირვებულ თანამოძმებებს.

სათვისტომო ფართოდ აწარმოებდა ეროვნულ-კულტურულ მოღვაწეობას და ქართველი სკოლისა და სამკითხველოს შექმნით თუ მოხსენებების, საღამოების ჩატარებით, პრინციპულად იცავდა ქართველობას გადაგვარებისაგან. მას ყოველთვის და ყველასთან მაღლა პქონდა აღმართული ქართული დამოუკიდებლობის დროშა, იგი არასოდეს ივიწყებდა თავის სამშობლოს, პირიქით ცდილობდა „უცხოეთის ცის ქვეშ“, უცხო მიწაზე შექმნა პატარა საქართველო...

ლიტერატურა

1. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1927 წ. №20 გვ. 4

2. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1929 წ. №41 გვ. 14
3. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1929 წ. №46 გვ. 16
4. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1929 წ. №38 გვ 15–16
5. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1932 წ. №87. გვ 15
6. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1933 წ. №79 გვ. 15
7. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ 1936 წ. №122 გვ. 14/

The Georgians of Harbin (newspaper „Independent Georgia“)

Tinatin Apkhaidze
Georgian Technical University
Department of Social Sciences
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 480 058
E-mail: T_apkhaidze@yahoo.com

Abstract

Manchuria was one of the asylum for Georgian emigrants at the beginning of XX century. The article deals with the interesting facts that are published on the papers of „Independent Georgia“ covering

interesting events of Georgian communities activity in Manchuria.

Keywords:

The Georgians in Harbin, newspaper „Independent Georgia“, Georgian community, Manchuria.

Грузины в Харбине (газета „Независимая Грузия“)

Anxaidze Tinatin Nugzarovna
Грузинский технический университет
Департамент социальных наук
ул.Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 480 058
E-mail: T_apkhaidze@yahoo.com

Резюме

Маньчжурия в начале XX века являлась одним из убежищ для грузинских эмигрантов. Статья посвящена материалам, напечатанным на страницах газеты „Независимая Грузия“, которая освещает значительные факты деятельности Грузинской общины в Маньчжурии.

Ключевые слова:

Грузины в Харбине, газета „Независимая Грузия“, грузинская община, Маньчжурия.

ქრისტიანული სახისმეტყველება

როგორც პოლისემიის სამოტივაციო მოვლენა ქართულ ენაში

თამარ გიორგიელია
ხოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №9, 0186, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 558 449 355
E-mail: tamargitolendia@gmail.com

ანალიზი ემყარება ქართული ენის გან-
ვითარების სხვადასხვა ისტორიული ეტაპის
ამსახველ სალექსიკონო მონაცემებს.

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქა-
რთულ ენაში სემანტიკის ცვლის ერთ-ერთი
მიზეზი - ქრისტიანული სახისმეტყველება.
ქრისტიანული რელიგია ქართულ ენობრივ
სამყაროში სიტყვის ახალი მნიშვნელობების
გაჩენის სამოტივაციო მოვლენად იქცა.

ქრისტიანული რელიგია მისი გავრ-
ცელების დროისათვის სრულიად ახალი
კულტურულ-ისტორიული მოვლენა იყო. მან
მაღალ მოახდინა დიდი გავლენა ქართვე-
ლი ერის ცხოვრების სხვადასხვა სფერო-
ზე, მათ შორის ქართულ ენაზეც. სწორედ
ქრისტიანობის გავლენით სიტყვათა საკ-
მაოდ დიდმა ჯგუფმა შეიძინა ახალი სე-
მანტიკა, ამის შედეგია ის, რომ ქართული
ენის ლექსიკაში წარმოიქმნა პოლისემიურ
სიტყვათა მთელი კლასი. ამ კლასის ლექ-
სიკის რელიგიური სემანტიკით დატვირთვა
მოხდა შედარების, ანალოგიის, სიმბოლიზ-
ების ნიადაგზე, რაც ყველა რელიგიას ახა-
სიათებს. წარმართობისდროინდელი მნიშ-
ვნელობების მქონე სიტყვებს რელიგიური
შინაარსით დატვირთვის შედეგად, ზოგ შემ-
თხვევაში, ძველი მნიშვნელობები დაეკარგა,
ზოგ შემთხვევაში კი სიტყვებს შეუნარჩუნ-
და კომპონენტური კავშირი წარმართობის-
დროინდელ მნიშვნელობებთან. მაგალი-
თისათვის განვიხილავთ წარმართი; მწყსა/
დამწყსნა, მწყემსი პოლისემიურ ლექსიკურ
ერთეულებს ქართულ ენაში.

საკვანძო სიტყვები:

პოლისემია, ქრისტიანული სახისმეტყვე-
ლება, სემანტიკა, მნიშვნელობის ცვლა,
წარმართული მნიშვნელობა, თეოლოგიური
შინაარსი.

შესავალი

სემანტიკის ცვლის ერთ-ერთი მიზეზია
ქრისტიანული სახისმეტყველება. როგორც
ცნობილია, ლექსიკური მნიშვნელობა იცვ-
ლება კულტურულ-ისტორიული, ფსიქოლო-
გიური და სხვა ფაქტორების ზეგავლენით
[გამყრელიძე. 2003:358]. მითოლოგიური და
წარმართული კულტურული არეალიდან
ახალ კულტურულ არეალში გადასვლის
დროს შეიცვალა ქართველი ხალხის შეხე-
დულებები. შესაბამისად, ენაში ახლებური
აზრი შეიძინა წარმართობისდროინდელმა
სახებმა თუ ლექსიკამ. ქრისტიანულ კულ-
ტურულ არეალში ლექსიკის წარმართობის-
დროინდელ სემანტიკას ენაცვლება ქრის-
ტიანული რელიგიისათვის მისაღები ახალი
მნიშვნელობები.

ძველი ქართული ტექსტები და ლე-
ქსიკონები საშუალებას იძლევა დავინახოთ
ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა დღეისათ-
ვის გამქრალი თუ შენარჩუნებული კონკრე-
ტული სემანტიკა, თანამედროვე ქართულ-
თან შეპირისპირებით, სიტყვის სემანტიკური
განვითარების ისტორიაზე დაკვირვებით,
თვალი მივადევნოთ ერის მატერიალური და
სულიერი კულტურის, აზროვნების განვითა-
რების ისტორიას, აქედან გამომდინარე ენის
ლექსიკის სემანტიკური განვითარების ის-
ტორიასაც.

ძირითადი ნაწილი

წარმართი//წარმართული//წარმართობა ქველ ქართულ შივე პოლისემიური სიტყვები იყო. მათში იგულისხმებოდა ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ქრისტიანობამდელ, არაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებობას. სპეციალისტთა განმარტებით, წარმართობა არის სხვადასხვა მითო-რელიგიურ სისტემათა მონაცელების ხანა, რომელ შიც ჩაისახადა განვითარდა ქრისტიანობა [4, გვ. 3].

ილია აბულაძის „ქველი ქართული ენის ლექსიკონში“ წარმართი განიმარტება როგორც: 1. ურწმუნო, კერპომსახური; 2. უცხო თესლტომი, „ბარბაროზი“, „თესლი“, „ნათესავი“; 3. უშჯულოებით მავალნი [1, 1973].

სულხან-საბას „სიტყვის კონასა“ და თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წარმართი მონოსემიური სიტყვაა და ეწოდება „ყოველთა უსჯულოებით მავალთა“. წარმართი (წარმართისა) 1. წარმართობის მიმდევარი, - კერპომვანისმცემელი (ან მნათობთა თაყვანისმცემელი) [5]; წარმართობა - კერპომვანისმცემლობა; რელიგია, რომელიც დაფუძნებულია ბევრი ღმერთის თაყვანისცემაზე; წარმართი - წარმართობის მიმდევარი, კერპომვანისმცემელი, ან მნათობთა თაყვანისმცემელი [7].

საანალიზო წარმართ სახელისათვის ამოსავალი ზმნური ფუძე წარმართვა ქველ ქართულ ში პოლისემიურია. მისი ამოსავალი სემანტიკური ბირთვია **სვლა**; ხოლო მეორეულია დანარჩენი მნიშვნელობები: **სვლა** რაიმე მიმართულებით; კეთილად მოსვლა; **სწორ გზაზე** დადგომა; საქმის წაყვანა/გაძლილა; გამგზავრება; მიმართულების მიცემა; გამარჯვება; გაძლილა; ხელის მომართვა; განგება... იხ. წარმართება - [1]; [3]; [5]; [7].

ზმნური ფუძიდან მომდინარე წარმართ სახელის პირვანდელ სემანტიკად მოჩანს გარკვეული მიმართულებით (მოლაპარაკისაგან იქით) სვლა... მაგალითად, „შუ-

შანიკის წამებაში“ ამ სახელის ამოსავალი ზმნა წარმართება გამოიყენება ამჟამინდელი გაემართა „იქითკენ წავიდა“ სინონიმის მაგიერ: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა გარსქენ პიტიახში... [8] სახელი წარმართი, ჩვენი აზრით, სწორ გზაზე მავალს, სწორ გზაზე მდგარს აღნიშნავდა თავდაპირველად, რაზეც უნდა მიანიშნებდეს მისი მართ ძირის მატერიალური კაგშირი მართალ, მართლ ვარიანტებთან და მათ მნიშვნელობებთან. შდრ.: აღნიშნავს მიმართულებას: აღმართ, გამომართ, უკუმართ, შედმართ... ხოლო მართალ - წრფელი, სწორი, ნამდვილი; მართლ - პირისპირ, სწორად, ნამდვილად. ამდენად წარმართი ქველ ქართულ ში ნიშნავდა სწორ რელიგიურ პოზიციაზე მდგომს, ჭეშმარიტ მორწმუნებს, ჭეშმარიტების გზაზე მყოფს, მართლმადიდებელს.

ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს წარმართი და მართლმადიდებელი სიტყვების სემანტიკური სინონიმია. პირველი მათგანი გამოიყენებოდა ქრისტიანობამდელი მორწმუნის აღსანიშნავად, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ კი, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლივად, ახალი რელიგიის აღმსარებლის, ქრისტიანის აღმნიშვნელად ენამ შექმნა ახალი სიტყვა მართლმადიდებელი: ბუნებრივია, ქრისტიანი ახალ ეტაპზე ჭეშმარიტი რწმენის მიმდევრის მარკერი იქნებოდა, ისევე როგორც მანამდე წარმართი იყო ამავე სემანტიკის მატარებელი. რაკი სიტყვა წარმართმა შეინარჩუნა ძველი სემანტიკა და შეირჩინა ქრისტიანობამდელი რწმენის მიმდევრის აღნიშვნის ფუნქცია, გაჩნდა აუცილებლობა, ქრისტიანის როგორც ახალი და ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევრის აღმნიშვნელი ნეოლითის შექმნისა. სწორედ ამ ფუნქციით გაჩნდა ენაში ტერმინები მართლმადიდებლობა და მართლმადიდებელი, რომლებიც ბერძნული ორთოდოქსია და ორთოდოქსი სახელების

ქართული კალკებია: **ორთოდოქსია „სწორ აზროვნებას, რაიმე მოძღვრების განუხრელ მიმღევრობას, რაიმე შეხედულებათა ურყევ თანმიმდევრობას ნიშნავს“** (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989), **ორთოდოქსი** კი ის პირია, ვინც ამ თვისებებით ხასიათდება; შედრ.: **მართლმადიდებლობა** – ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი მიმღინარეობა, რომელიც გავრცელებული იყო ბიზანტიაში, საქართველოში, რუსთაბ და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში [7]; იქსო ქრისტიანი და მოციქულების მოძღვრება, ჩამოყალიბებული ძველი რწმენის სიმბოლოებში და გადმოცემული ეკლესიის მამების და მასწავლებლების მიერ [6]; **მართლმადიდებელი** კი ზედმიწევნით ნიშნავს „ჭეშმარიტების, სიმართლის მადიდებელს“. შედრ. **მართლმავლობა** – სწორად სვლა; შეუმცდარობა; **მართლმდგომარება-ვ** – სწორად დგომა; **მართლმეცნიერება-ვ** – ჭეშმარიტი ცოდნა [3].

ამრიგად, საქართველოში ახალი რელიგიის გავრცელებამ და მისმა ერთადერთ ოფიციალურ რელიგიად გადაქცევის აუცილებლობამ გამოიწვია ენაში უკვე მყარად დამკვიდრებული ტერმინების – **წარმართისა** და **წარმართობის** შენარჩუნება უფრო ვიწრო მნიშვნელობით, ვიდრე ადრე პქნედათ: ქრისტიანობამდელი რელიგიისა და მისი აღმსარებლისა. შეიცვალა რელიგია, მაგრამ ძველი სარწმუნოების სახელი დარჩა, ახალ რელიგიას კი ბერძნული ტერმინების კალკირების გზით შექმნილი ახალი სახელი დაურქვა.

მწყსა/დამწყსა ზმნური ლექსიკური ერთეულები ძველ ქართულშივე პოლისემიური იყო. ილია აბულაძის ლექსიკონში, რომელშიც შესულია V-XI საუკუნეების ტექსტების ლექსიკური მასალა, საანალიზო ფორმები წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: **მწყსა** აღნიშნავს ძოვნას, ხოლო მისი მორფოლოგიური ვარიანტი „**დამწყსა**“ განმარტებულია შემდეგნაირად: 1. დაძოვე-

ბა, 2. პოვნა, 3. დამორჩილება, 4. ცოხნა [1]. იმავე ლექსიკონში განმარტებების გვერდით დამოწმებულია ფრაზები ძველი ქართული ტექსტებიდან, რომელთა კონტექსტი უფრო ხათელს ხდის სემანტიკის გაგებას:

„**მწყსიდა** რად ცხოვართა ლაბანისათა“;

„**ვმწყსიდი** მე საცხოვართა მამისა ჩემისათა“;

„უშიშად თავთა თჯსთა **მწყსიან**“;

„**დამწყსენ** კრავნი ჩემნი“ - იმავე ტექსტის სხვა რედაქციაში: „**დააძოვენ** კრავნი ჩემნი“;

„რომელმან დამწყსოს ერი ჩემი“ მათ. 2.6;

„ყოველი ბუნებად მჯეცოა... დაიმწყესების“ იაკ. 3.7;

„ვითარცა რკინამან დააწულილის და დაამწყსის ყოველი“ (იქვე).

ქართული ენის განვითარების შემდგომი პერიოდისათვის **მწყსა/დამწყსა** ფორმას ფონეტიკური ცვლილება განუცდია. იგი სულხან-საბას ლექსიკონში წარმოდგენილია **მწყს** გაუხმოვანებული ფორმით და უდასტურდება ერთადერთი, მოვლა-პატრონობის მნიშვნელობა. ზმნა ვმწყსი სულხან-საბას განმარტებული აქვს შემდეგნაირად: „მწყემსად უვლი, მწყსად უარ“; **მწყსის „დამწყსოს“**.

მაშასადამე, სალექსიკონო მასალის მიხედვით, ძველი ქართული პოლისემიური **მწყსა/დამწყსა** ფორმები XVIII საუკუნისათვის მონოსემიური გამხდარა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **მწყემსავა** ფორმას მოვლა-პატრონობის სემანტიკა აქვს: **მწყემსავს** - მწყემსია რისამე, უვლის, პატრონობს (საძოვარზე გაშვებულ პირუტყვას) [7].

ამრიგად, ძველი და თანამედროვე სალექსიკონო მასალის მიხედვით **მწყსა/დამწყსა** ზმნის სემანტიკური განვითარების ისტორია ასეთია:

1. **ძოვა/დაძოვება;**
2. **პოვნა;**
3. **დამორჩილება;**
4. **ცოხნა (V-XI ს.);**

5. მწყემსვა (მოვლა-პატრონობის სემანტიკა) (XI-XVII სს.);

6. რისამე მოვლა-პატრონობა (XIX-XX სს.).

საანალიზო ზმნის ძველი ქართული მნიშვნელობები – ძოვა, პოვნა, დამორჩილება – ერთიანდება მოვლა-პატრონობის სემანტიკაში, ე.ი. დასახელებული სემების საერთო სემანტიკური კომპონენტია – **მოვლა-პატრონობა, ზრუნვა.** ვფიქრობთ, რომ მოვლა-პატრონობის სემანტიკა **მწყესა//დამწყესა** ზმნურ ფორმებს ძველ ქართულშიც უნდა ჰქონოდა. ამას გვავარაუდებინებს ილია აბულაძის მიერ დამოწმებული „მათეს სახარებისეული“ ფრაზა: „**რომელმან დამწყესო ერი ჩემი**“, მათე 2.6. [1].

ლექსიკონებში არ ასახულა კიდევ ერთი კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც **მწყესა** ფორმას უნდა ჰქონოდა - **მწყემსვა, საქონლის მოვლა-პატრონობა.** ამ სემანტიკის არსებობას ადასტურებს ძველ ქართულში ფართოდ გამოყენებული **მწყემსი** სიტყვა „მენახირის“ მნიშვნელობით.

ჩვენი ვარაუდი რომ უფრო ნათელი იყოს, დავიმოწმებთ ვრცელ მონაკვეთს, რომელშიც ჩანს, რომ აღნიშნულ ზმნას ჰქონდა მოვლა-პატრონობის ზოგადი მნიშვნელობაც: „ხოლო მათ პრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტრანისასა, რამეთუ ესრე წერილ არს წინასწარმეტყუელისა მიერ: და შენ, ბეთლემ, ქუეყანად ესე იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყესო ჩემი ისრაცლი (მათე 2.6).“.

პოლისემიური სიტყვაა ასევე **მწყესა** ზმნური ფორმიდან წარმოქმნილი სახელი **მწყემსი.** ის ილია აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მენახირე“.

წყემსი ფორმის მორფოლოგიური ვარიანტი **მწყესელი** პოლისემიურადაა წარმოდგენილი ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში: **მწყესელი** - მწყემსი; გამხედველი; გამწვრთნელი; გეცხარე, ხოლო კაცთა მწყემსი - მღვდელი (XI-XVII სს.)> გინც მწყემსავს (მეცხარე, მენახირე, მეჯოგე), 2. ეკლესიის მოძღვარი, მღვდელი; 3. უფალი.

ლი - მრევლი [6]. რაკი მწყესილი ნიშნავდა მრევლს, ლოგიკურად უნდა ვივარაუდოთ, რომ **მწყემსი/მწყესელი** მღვდლის მნიშვნელობითაც უნდა ყოფილიყო ცოცხალ მეტყველებაში, თუმცა ეს ძველი ქართულის ლექსიკონებში დაფიქსირებული არ არის.

მწყემსი სულხან-საბა ორბელიანს შემდეგნაირად აქეს განმარტებული: მეცხარე, მწყემსი, მღვდელი (მღვრდელი). **მწყემსი** არს მეცხარე, ხოლო **კაცთა მწყემსი** – მღვდელი.

მწყემსი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სამი მნიშვნელობით არის დამოწმებული:

1. ვინც მწყემსავს (მეცხარე, მენახირე, მეჯოგე) „**მწყემსი** ქალი ვარ... ამ მთის კალთებზე ცხვარს ვაძოვებდი მამიჩემისას“;
2. ეკლესიის მოძღვარი, მღვდელი.
3. გადატანითი მნიშვნელობით მწყემსი ჰქვია უფალს - „**მწყემსო** კეთილო, შენს წმინდა სამწყესოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს“.

საანალიზო **მწყემს** ფორმის სემანტიკური განვითარების ისტორია ასეთია: მენახირე, მწყემსი; გამხედველი; გამწვრთნელი (V-XI სს.)> მეცხარე, ხოლო კაცთა მწყემსი - მღვდელი (XI-XVII სს.)> გინც მწყემსავს (მეცხარე, მენახირე, მეჯოგე), 2. ეკლესიის მოძღვარი, მღვდელი; 3. უფალი.

მწყესა//დამწყესა ფორმების ძველი ქართული მნიშვნელობები – „ძოვა“, „პოვნა“, „დამორჩილება“, „ცოხნა“, რომლებიც ერთიანდება მოვლა-პატრონობისა და მზრუნველობის უფრო ფართო სემანტიკაში, დროთა განმავლობაში მიიჩქმალა. განვითარდა, გაფართოვდა და დამკვიდრდა მოვლა-პატრონობის მნიშვნელობა. მოვლა-პატრონობის სემანტიკის განვითარების მიზეზი უნდა იყოს ქრისტიანული სახისმეტყველება. **მწყესა** ფორმის ძირითადმა მნიშვნელობამ, კულტურულისტორიული ფაქტორის გავლენით, ასოციაციური კავშირის საფუძველზე შეიძინა რელიგიური სემანტიკური კომპონენტი. რე-

ლიგიური დატვირთვა მოხდა შედარების, ანალოგიის, სიმბოლიზმის ნიადაგზე, რაც ყველა რელიგიას ახასიათებს.

ვფიქრობთ, „ძოვა/დაძოვება“, „პოვნა“, „დამორჩილება“, „ცოხნა“ - **მწყსა//დამწყსა** ზნის წარმართობისდროინდელი მნიშვნელობები იყო. თეოლოგიური შინაარსით დატვირთვის შედეგად ძველი მნიშვნელობები გაქრა. დღეისათვის **მწყსა//დამწყსა** ფორმას შემორჩენილი აქვს პირუტყვის ან სხვა რისამე მოვლა-პატრონობის, ზედამხედველობის მნიშვნელობა.

დასკვნა

ამრიგად, სტატიაში განხილული კონკრეტული ენობრივი მასალა და მისი სხვა ანალოგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთ ნაწილში მომხდარია სერიოზული სემანტიკური ცვლილებები, რაც გამოწვეული ყოფილა ქვეყანაში რელიგიური სიტუაციის რადიკალური ცვლით, წარმართობის ნაცვლად ქრისტიანობის საყოველთაობავრცელებით, ქრისტიანული სახისმეტყველების მძღავრი ზეგავლენით ქართულ ენაზე. ქართული ენის ლექსიკაში მომხდარი ეს ცვლილებები ქართველთა კონფესიური მსოფლეოდელობის გამოვლინებისა და ისტორიული გამოცდილების შედეგია. ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი წვლილი შეიტანა ენაში, რომელშიც თანდათანობით მკვიდრდებოდა ქრისტიანული პლასტი და სიტყვათა წარმართობისდროინდელი სემანტიკა ტრანსფორმაციას განიცდიდა.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. (1973): ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი
2. გამყრელიძე, თ., კიქაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. (2003): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
3. სარჯველაძე ზ. (1995): ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
4. სურგულაძე ი. (2003): მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
5. ორბელიანი ს. (1991): ლექსიკონი ქართული. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი
6. პაპუაშვილი ნ. (2002): მსოფლიო რელიგიები საქართველოში. თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1963): 8 ტომეული. VIII ტ. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი
8. ცურტაველი ი. (1990): შუშანიკის წამგა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი

ნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი

3. სარჯველაძე ზ. (1995): ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი

4. სურგულაძე ი. (2003): მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი

5. ორბელიანი ს. (1991): ლექსიკონი ქართული. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი

6. პაპუაშვილი ნ. (2002): მსოფლიო რელიგიები საქართველოში. თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი

7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1963): 8 ტომეული. VIII ტ. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი

8. ცურტაველი ი. (1990): შუშანიკის წამგა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი

Христианская образность как явление, мотивирующее развитие полисемии в грузинском языке

Гитолендия Тамар Генадиевна

Сухумский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Ул. А. Политковской №9, 0186,

Тбилиси, Грузия

Тел.: 558 449 355

E-mail: tamargitolendia@gmail.com

Резюме

В статье рассматривается одна из причин семантических изменений в грузинском языке – христианская образность. Христианская религия стала явлением, мотивирующим возникновение новых значений у слов грузинского языка.

Под воздействием христианской религии, под влиянием новых культурно-исторических факторов, некоторые слова грузинского языка приобрели религиозно-семантический компонент, что

обусловило образование в лексике грузинского языка новых полисемантических групп слов. Слова приобрели новые семантические значения на основании сходства, аналогии и сравнения, чем характерны все религии. В результате появления теологического значения, у слов, происхождение которых относится к языческим временам, в некоторых случаях старые значения были утеряны, а в других случаях значения сохранили тематическую связь с компонентами значения, относящимися к языческой эпохе. Анализ описывается на лексикографические данные, отражающие различные исторические этапы развития грузинского языка.

Ключевые слова:

полисемия, христианская образность, семантика, изменение значения, языческое значение, теологическое содержание.

paring, analogy and symbolism, which are characteristic of all religion, became the main bases of words having semantic meanings. The pagan time words, after getting the theological contests lost their old meanings or in some cases they preserved the links with their old meanings.

The analysis is based on the vocabulary data of the different development stages of the Georgian Language.

Keywords:

Polysemy, Christian Facial Language, Semantic, change of the meaning, pagan meaning, theological contest.

Christian Facial Language, as a Fact of Motivation of Polysemy in the Georgian Language

Tamar Gitolendia

Sokhumi State University

Faculty of Humanitarian Science

9 A. Politkovskaia Str., 0186, Tbilisi, Georgia

Tel: 558 449 355

E-mail: tamargitolendia@gmail.com

Abstract

The article deals with the one of the reason of the semantic change, Christian Facial Language, in the Georgian Language. Christianity appeared as a motivation of the birth of new meanings of the words in the Georgian Language.

Christian religion, as a new cultural-historical fact influenced on some words and made them got religious semantic components, which supported of appearance of new polysemy groups of words. Com-

აგტორები

ციური ახვლედიანი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

თინათინ აფხაიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

ქეთევან გაბუნია – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების სელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი

რუსულან გოცირიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

ლიანა გელევანიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

თამარ გიორგეგიძია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

თამილა დავითაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეფროპეისტიკის დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ლამზირა ქობაძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ნანა ლომია – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, იტალიური კულტურის ცენტრი, დოქტორანტი

მარინა ზორანიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნატო თხილავა – თბილისის პუმანიტარული უნივერსიტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მთარგმნელი

ლოლიტა თაბუაშვილი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ნატალია სალუქევაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეფროპეისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი

ქეთევან სურგულაძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენების ცენტრის უფროსი მასწავლებელი

ნატალია სურგულაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეფროპეისტიკის დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნანა ჩხეიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი

თინათინ ფურცელაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

თამარ ქაცანაშვილი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თინათინ სინჯიაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

მანანა ივანისელი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ალა მიშენკო – კიროვოგრადის ვლ. ვინჩენკოს სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მასწავლებელი

შურნალის რედაქტორებია

მაია ჩხეიძე – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

რუსულან თაბუკაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი

ვიოლა ფურცელაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ია ჩიქვინძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჰანს რუდიგერ ფლუკი – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კულპაშ ბეიბიტოვა – გუმილიოვის სახ. ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)

ტანია გრისამერი – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)

ქეთეგან გაბუნია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

ია ბურდული – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

მარია მიხაილოვა – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი

სილვია ბოტეგა – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტატიანა მეგრელიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ალბა გრაციანო – იტალიის ქ. ტუსკიას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ალესანდრა სპადაფორა – იტალიის ქ. ტუსკიას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გიორგი გუფარაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რუსულან გოცირიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

Редколлегия журнала

Майя Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, фулл-профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, фулл-профессор

Виола Пурцеладзе – Тбилисский Государственный Университет, доктор филологических наук, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор.

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Тания Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Кетееван Габуния – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, фулл-профессор

Ия Бурдули – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассистент-профессор

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клемента Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, ассоциированный профессор

Альба Грациано – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

Аlessандра Спадафора – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Георгий Купарадзе – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

Русудан Гоциридзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, фулл-профессор, ассоциированный член оксфордского университетского общества

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Full Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor

Viola Purzeladze – Tbilisi's State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisi's State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Direction in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Full-Professor

Ia Burduli – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Assistant Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Assosiated Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology

Georgi Kuparadze – Tbilisi's State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor, the member of Oxford Society